



ავტორის სტილი დაცულია

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის  
უნივერსიტეტი

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ქმდების კვალიფიკაცია,  
წამების ან წამების მუქარით ჩვენების მიცემის იძულებისთვის

ნანო ვაჭარაძე

დისერტაცია

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი  
სამართლის დოქტორი, პროფესორი თამარ სადრაძე

თბილისი

2024

# სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I. სამოხელეო დანაშაულების შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი.....	9
§1.1 სამოხელეო დანაშაულები ძველ ქართულ სამართალში.....	9
§1.2. სამოხელეო დანაშაულები მსოფლიო სამართლის ისტორიაში .....	14
§1.3 წამების სამართლებრივი კვალიფიკაცია, რომელიც გამოიყენება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩვენების მიცემის იძულებისთვის: გერმანიის კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი .....	21
§1.4 სამოხელეო დანაშაულები მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში.....	28
§1.4.1 სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ხერხი და მოტივი.....	32
თავი II წამება/წამების მუქარა დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა .....	34
§2.1 წამების დეფინიცია საერთაშორისო აქტებში .....	34
§2.2 წამების დეფინიცია ეროვნულ კანონმდებლობაში და მისი .....	40
შედარებით-სამართლებრივი ანალიზი კონვენციით დადგენილ განმარტებასთან .....	40
§2.2.1 სხვაობა წამებასა და დამამცირებელ არაადამიანურ მოპყრობასა და დასჯას შორის.	48
§2.3 სისასტიკის მინიმალური ზღვარი წამების დანაშულთან მიმართებით.....	55
§2.4 წამება და წამების მუქარა .....	57
§2.4.1 წამების მიზანი.....	60
თავი III. განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება.....	63
§3.1 ნორმის ობიექტური შემადგენლობა.....	64
§3.2. 335-ე მუხლის ჩადენის ხერხი.....	66
თავი IV. ზოგადი და სპეციალური მუხლების მნიშვნელობა სისხლის სამართალში	69
თავი V. ურთიერთმომიჯნავე შემადგენლობების კვალიფიკაციის პრობლემები.....	76
§5.1 არასათანადო მოპყრობა და წამება .....	76
§ 5.2 არასათანადო მოპყრობის ამკრძალავი სპეციალური ნორმები .....	79
§5.3 სამოხელეო დანაშაულის ზოგადი (სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლები) ნორმები .....	85
§5.4 სსკ-ის 335-ე და 378-ე მუხლების ურთიერთმიმართება .....	91
§5.5 144 <sup>1</sup> და 335 მუხლების ურთიერთმიმართება .....	92
§5.6 სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე და 144 <sup>1</sup> -144 <sup>3</sup> მუხლების ურთიერთმიმართება..	96
§5.7 ცალკეულ დანაშაულთა ურთიერთმიმართება .....	97
თავიVI. წამება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში .....	102

§6.1 მოკლე ისტორიული ექსკურსი.....	102
§6.2 სხეულის მძიმე დაზიანებები პატიმრობისას .....	113
§6.2.1 სულხან მოლაშვილის საქმე.....	118
<b>თავი VII. წამების ფორმები.....</b>	<b>123</b>
§7.1 ცემა, როგორც წამების და არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთი ფორმა .....	123
§7.2 ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც წამება .....	128
§7.2.1 ლუკა სირაძის საქმე.....	131
<b>თავიVIII. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი .....</b>	<b>133</b>
§8.1 საქმეები, რომლებშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა წამებას.....	133
§8.2 ეროვნული სასამართლო პრაქტიკა .....	136
<b>თავი IX. წამების/არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება .....</b>	<b>145</b>
§9.1 არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევის გამოძიება.....	147
§9.2 პირთა დაცვა წამებისა არასათანადო მოპყრობისგან .....	157
<b>თავი X. სასჯელის მიზანი სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით</b>	<b>159</b>
<b>თავი XI. საკანონმდებლო ნაკლოვანების აღმოფხვრის საჭიროება .....</b>	<b>166</b>
<b>დასკვნა .....</b>	<b>171</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>175</b>

## შესავალი

**კვლევის აქტუალობა:** ადამიანის უფლებების დაცვა სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს, ადამიანის უფლებათა დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო კონვენციებითა და დეკლარაციებით დადგენილი წესითა და სტანდარტით.

კონსტიტუციის მეორე თავით დაცულია:

- ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა;

დისერტაციაში განსახილველი მუხლები კი სწორედ ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას გულისხმობს.

როგორც დოგმატურად ასევე პრაქტიკულად უდიდესი მნიშვნელობა აქვს თუ, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ქმედება, როდესაც წამების ხერხი გამოყენებულია, სასურველი ჩვენების თუ ინფორმაციის მისაღებად.

აღნიშნული საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს არაერთი მუხლი, რომელიც შეიცავს მსგავსი ქმედების ნიშნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მუხლები კოდექსის სხვადასხვა თავშია მოქცეული, ხოლო საქნეციის ზომა მკვეთრად განსხვავებულია. სწორედ ამიტომ, პრობლემური საკითხის დარეგულირებას, არამხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ხსენებული მუხლებია: წამება- სსკ-ის 144<sup>1</sup> და განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება - სსკ-ის 335-ე მუხლი, რომელთაგანაც პირველი შედის ადამიანის უფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ხოლო უკანასკნელი კი, სამოხელეო დანაშაულთა თავში.

მეტი კონკრეტიკისთვის, წამების მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი დამამდიმებელ გარემოებად აცხადებს ქმედებას, რომელიც ჩადენილია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის

დამამძიმებელი გარემოება კი გულისხმობს - დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის წამებას.

აქვე გვერდს ვერ ავუვლით წამების მიზანს, იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული სტანდარტის თანახმად, წამების შემადგენლობა არის მიზნით დაფუძნებული დელიქტი, იგი ითვალისწინებს სხვადასხვა მიზნის არსებობას, მათ შორის ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღებას, პირის იძულებას და სხვა.

ამდენად, წამებად შეირაცხება ქმედება, როდესაც, მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი აწამებს ბრალდებულს/მოწმეს/ექსპერტს, რათა მისგან მიიღოს გარკვეული ინფორმაცია. ინფორმაცია შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს: მტკიცებულება, აღიარებითი ჩვენება, ყალბი დასკვნის გაცემა და სხვა. მთავარია, ნაწამებმა პირმა გასცეს ის ინფორმაცია, რაც სჭირდება მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს სისხლის სამართლის საქმის საწარმოებლად.

რაც შეეხება 335-ე მუხლს აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულებას მისცეს განმარტება ან ჩვენება, სიცოცხლისთვის ან ჯანმთელობისთვის საშიში ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

საკითხის სიმწვავე მდგომარეობს თუ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მსგავს შემთხვევებში უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას, ვინაიდან 335-ე მუხლი არის სპეციალური უპირატესობა მიენიჭება 335-ე მუხლს.

დასმული საკითხის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნულ მუხლებში იკვეთება, როგორც კონკურენციის, ასევე კოლიზიის ნიშნები. უფრო კონკრეტულად, კი საკანონმდებლო რეალობაში სახეზე გვაქვს ორი ნორმა, რომელიც ხასიათით, ხანგრძლივობითა და ინტენსივობით მსგავსია, ამავდროულად იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკიფილს ან/და მორალურ თუ ფსიქოლოგიურ ტანჯვას. ამასთანავე ორივე ზემოაღწერილი ქმედება საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. ორივე შემთხვევაში სახეზეა საერთო მიზანი, კერძოდ - ინფორმაციის, აღიარებისა თუ მტკიცებულების მიღება პირისგან, რომელიც არის ბრალდებული, დაზარალებული ექსპერტი ან სხვა.

აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოებები ზოგ შემთხვევაში არ არის აღწერილი თავად მუხლის დისპოზიციაში, თუმცა იგულისხმება.

აქვე საინტერესოა დანაშაულის სუბიექტიც, ორივე მუხლის, სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, შემთხვევაში სახეზეა - მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადი არის სსკ-ის 144<sup>1</sup>, ხოლო სპეციალური სსკ-ის 335-ე მუხლი. არგუმენტისთვის შეგვიძლია განვავითაროთ შემდეგი მსჯელობა:

### 1. დანაშაულის სუბიექტი

სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლი არის საერთო დელიქტი, რაც გულისხმობს, რომ მისი ჩადენა შეუძლია ნებისმიერ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულ პირს (14 წელი), რაც შეეხება სსკ-ის 335-ე მუხლს, სახეზე გვაქვს სპეციალური დელიქტი, ვინაიდან ამსრულებელი მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირია.

### 2. ქმედების დისპოზიცია

სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოება სწორედ წამებაა, რასაც მუხლის დისპოზიციაშივე ვხვდებით, ხოლო სსკ-ის 335-ე მუხლი წამების ხერხის გამოყენებას სასურველი ინფორმაციის, დასკვნის თუ აღიარების მისაღებად, განიხილავს მხოლოდ მის დამამდიმებელ გარემოებაში.

### 3. ქმედების მიზანი

როგორც ავღნიშნეთ, ორივე მუხლის მიზანი ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა გვაქვს მაინც მცირედი განსხვავებები. სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მიზანი შესაძლოა იყოს აღიარების, ინფორმაციის, მტკიცებულების მიღება, ასევე პირის დასჯა როგორც პირადი მიზნებისთვის. რაც შეეხება სსკ-ის 335 მუხლს, მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს მიიღოს სისხლის სამართლის საქმისათვის საჭირო ინფორმაცია.

შესაჯამებლად შესაძლოა ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიზანი სისხლის სამართლის საქმეს უკავშირდება, უპირატესია სსკ-ის 335-ე მუხლის გამოყენება.

თითქოს ყველაფერი მარტივია, თუმცა მაშინ რა გარემოების არსებობაა საჭირო ქმედების სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით დასაკვალიფიცირებად?

საკითხი შემდეგნაირად უნდა დარეგულირდეს, მთავარია განისაზღვროს ქმედების ჩამდენი სუბიექტის მიზანი. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მიზანი შესაძლოა იყოს, როგორც პირადი შურისძიება, ასევე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. თუ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი არ აწარმოებს გამოძიებას ან სისხლისამართლებრივ დევნას, თუმცა მაინც მიმართავს წამებას, რათა დასაჯოს პირი, სწორედ ამ შემთხვევაშია უპრიანი სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის გამოყენება.

ქმდების კვალიფიკაციაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას - სანქციის ნაწილი. განსხვავებით ნორმების შინაარსობრივი მსგავსებისა, რადიკალურად განსხვავდება მათი სანქციები. კერძოდ, სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას პირს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრება, თავისუფლების აღკვეთა ვადით 5-დან-9 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 5 წლამდე. რაც შეეხება სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, კანონმდებელი გაცილებით მკაცრია და სანქციის სახედ და ზომად გათვალისწინებულია, თავისუფლების აღკვეთა ვადით 9-დან-15 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 5 წლამდე.

როგორც, ჩანს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი წამება, რომელიც ექცევა სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის კვალიფიკიის ქვეშ, გაცილებით მკაცრად ფასდება და ისჯება, ვიდრე იმ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირისა, რომლის ქმედებაც სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კვალიფიცირდება. ბუნებრივია, კანონმდებლის მსგავსი მიღვომა, სრულიად გაუმართლებელია და ბადებს, როგორც გარკვეულ კითხვის ნიშნებს, ასევე უსამართლობის განცდას.

**კვლევის მიზანი:** სადისერტაციო ნაშრომის მიზანია წარმოჩინდეს სსკ-ის 144<sup>1</sup> და 335-ე მუხლების ურთიერთმიმართების საკითხი ასევე დაზუსტდეს სსკ-ის 335-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

**კლევის მეთოდი:** სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, შედარებით ისტორიული, სისტემური, ლოგიკური, და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

**კვლევის ობიექტი:** წინამდებარე დისერტაციის კვლევის ობიექტია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ქმედების კვალიფიკაცია, როდესაც წამება ან წამების მუქარა გამოყენებულია ჩვენების მიცემის იძულებისთვის. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული 144<sup>1</sup> მუხლისა და 335-ე მუხლების დამამძიმებელ გარემოებებზე, ასევე სასჯელის სახეებსა და ზომებზე. გარდა ამისა ყურადღება ეთმობა თავად წამების დეფინიციის სახესხვაობებს და ამავდროულად სისასტიკის მინიმალურ ზღვარზე რა შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება ესა თუ ის ქმედება წამების ჭრილში განვიხილოთ. ეროვნული და სასამართლო პრაქტიკის გამოყენებით შევეცდები ლოგიკური კავშირის დამყარებასა და ლოგიკური კავშირის დასაბუთებას.

**დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:** მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ქმდების კვალიფიკაცია, წამებით ან წამების მუქარით ჩვენების მიცემის იძულებისთვის ძალზედ აქტუალური სადისკუსიო საკითხია. ვფიქრობ, რომ დისერტაციაში მოყვანილი მოსაზრებები საინტერესო იქნება, როგორც სისხლის სამართლის თეორიტიკოსი, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისთვის, ვინაიდან დასმული პრობლემა განხილულია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

**დისერტაციის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილებისგან. კერძოდ: შესავალი ნაწილის, 11 თავის, 24 პარაგრაფის, 5 ქვეპარაგრაფის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

# თავი I. სამოხელეო დანაშაულების შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი

## §1.1 სამოხელეო დანაშაულები ძველ ქართულ სამართალში

სახელმწიფო (საჯარო) მოხელის ინსტიტუტი ქართული რეალობისთვის უცხო არ არის. აღნიშნული ინსტიტუტი ჯერ კიდევ, ადრეულ ეტაპზე, სახელმწიფოებრივი გაერთიანების დაარსებიდანვე იღებს სათავეს. ამის ნათელი დასტურია საქართველოში პირველი პოლიტიკური გაერთიანებები დიაოხი და კოლხა.<sup>1</sup> სახელმწიფოებრივმა გაერთიანებებმა დასაბამი მისცა სამოხელეო თანამდებობების გაჩენას. ძველ ქართულ სამართალში, სამოხელეო თანამდებობის პირებს ერისთავები წარმოადგენდნენ. ერისთავი ძველი ქართული სიტყვიდან მომდინარეობს - „ერი“ - ხალხი, ჯარი და „თავი“ - უფროსი, გამგებელი. სწორედ აღნიშნულ პირებს ევალებოდათ, როგორც სახელმწიფო ტერიტორიულ - ადმინისტრაციული გამგებლის ფუნქციის შეთავსება, ასევე ჯარის სარდლის ფუნქციის განხორციელებაც. დროთა განმავლობაში, მოხელის ინსტიტუტი განვითარდა და მიიღო ორგანიზებული სისტემის ფორმა. ძველი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველის მოხედვით, ქართლის მეფე ფარნავაზმა, ჯერ კიდევ ძვ.წ III საუკუნეში, ჩამოაყალიბა 8 საერისთავო და 1 სასპასპეტო.<sup>2</sup> სახელმწიფოებრიობის ამ ადრეულ ეტაპზეც კი, საკმაოდ მკაფიოდ ჩანს საჯარო სამსახურის როლი და მათი უფლება-მოვალეობების დანაწილების პრინციპი.

მეფის მიერ გარკვეულ პირებზე თანამდებობის მინიჭება, ბუნებრივია ამ პირებს გარკვეულ უფლება-მოვალეობებს აკისრებდა, როგორც მეფის ასევე სახელმწიფოს წინაშე. თუმცა, დაკისრებული ვალდებულებების უგულებელყოფა, არაჯეროვანი შესრულება, უფლებამოსილების გადამეტება თუ ბოროტად გამოყენება უცხო არც წარსულ წლებში ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორია

<sup>1</sup>იხ. მეტრეველი ვ. „საქართველოს სახელმწიფოსა დასამართლის ისტორია“, თბილისი, მერიდიანი 2003, გვ. 43.

<sup>2</sup>იხ. ბახტაძე მ. „ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში (ძვ.წ. აღ-ის. III საუკუნიდან- ან.წ. აღ-ის X საუკუნის ბოლომდე“. დისერტაცია, თბილისი, 2005, გვ.5.

გაჯერებული იყო სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებით.

კაცობრიობის განვითარების ადრეული სტადიებიდან, მანამ სანამ სასამართლო სისტემა შეიქმნებოდა, ეს საპასუხისმგებლო საქმიანობა შეთავსებული ჰქონდათ მეფეებს, ქურუმებს, მთავრებს და სხვა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს. აღნიშნული ფაქტი გაკვირვებას არ იწვევს, ვინაიდან სწორედ ეს პირები წარმოადგენდნენ ავტორიტეტს მოსახლეობისთვის, შესაბამისად მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება სანდო, ჭეშმარიტი და რაც მთავარია აღსრულებადი იყო მათთვის.

საქართველოს ისტორია საკმაოდ მდიდარია საერო და საეკლესიო ძეგლების სიმრავლით, რომელთაგანაც არაერთის განხილვაა შესაძლებელი, თუმცა მნიშვნელოვანია გამოიყოს რამდენიმე მათგანი:

- „ოპიზის სიგელი“ (1027-1072 წწ.);
- დავით აღმაშენებლის „სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი“ (1123 წ.);
- გიორგი მესამის სიგელი (1170 წ.);
- „ხელმწიფის კარის გარგება“ (მე-14 საუკუნე);
- გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ (1334-1335 წწ.);
- ბექა აღბუღას სამართლის წიგნი (XIII-XIV საუკუნე);
- სვიმონ მეფის განწესება მეკობართმდებნელის შესახებ (1590 წ.);
- „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ - იგივე ვახტანგ მე-6 სამართლის წიგნი (1704-1709 წწ.).

აღნიშნული სამართლის ძეგლების არსებობა მიუთითებს საქართველოში საჯარო ინსტიტუტებისა და სამოხელეო დანაშაულების განვითარების შესახებ.

ბუნებრივია, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებდა სათანადო მართვის გარეშე, რასაც მხოლოდ მეფე ვერ შეძლებდა. სწორედ აქედან იღებს სათავეს მოხელის ინსტიტუტის განვითარება. მოხელეების მთავარი უფლება-მოვალეობა კი მეფის ბრძანებისადმი დამორჩილება და ქვეყნის მართვაში დახმარება გახლდათ.

ბაგრატ IV-ის მიერ ოპიზის მონასტრისადმი ნაბომებ სიგელში საუბარია მოხელეთა ორ ძირითად ჯგუფზე, ესენია: „ხელისუფალნი“ და „საქმის-მოქმედნი“. ამ უკანასკნელებს შორის იერარქიული განსხვავება გახლდათ კერძოდ, ხელისუფალნი უფრო მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ. თუმცა მათ შორის სხვაობა მხოლოდ იერარქიით არ შემოიფარგლებოდა, თავის მხრივ ისინიც იყოფოდნენ ორ ჯგუფად.

ჯგუფებად დაყოფა ძირითადად განპირობებული იყო დაკისრებული უფლება-მოვალეობების მიხედვით. პირველ, ანუ შედარებით მაღალ ჯგუფს მიეკუთნებოდნენ „დარბაზის კარს მყოფნი:“, ხოლო მეორე ჯგუფს, „საქვეყნოდ გამრიგენი“. თავად „საქმის-მოქმედნი“ პირებიც 2 ჯგუფად იყოფოდნენ: „დიდნი და მცირენი“.

ვახტანგ VI-ის პერიოდში გაჩნდა, ცენტრალური და ადგილობრივი აპარატის მოხელეების ახლებური კლასიფიკაცია. თითოეულ თანამდებობის პირს ჩაბარებული ჰქონდა გარკვეული ფუნქციები, მაგალითისთვის:

- „უსაფრთხოებაზე ზრუნავდა - ეშიკასბაში, ბოქაული, იასაული და ბოქალთუხუცესი;
- სამეურნეო ფუნქცია მოვალეობებს - ნაზირები სახლთუხუცესი და მოლარები ინაწილებდნენ;
- სასამართლო ხელისუფლება შედგებოდა - მდივანბეგის, მდივანის და სასამართლოს იასაულისგან;
- თავად სამდივნოში შედგებოდა - მდივანის, მორდალის, მწერლებისა და სხვა პირებისაგან;
- ტერიტორიული ერთეულების მოხელეების ფუქნქციებს ასრულებდნენ - არაგვისა და ქსნის ერისთავები, სარდლები, ფეოდალები, მოურავები, მამასახლისები და ნაცვლები“.
- რაც შეეხება ფუქნცია-მოვალეობებს შემდეგნაირად იყო მოწესრიგებული:
- ქალაქს მართავდა მოურავი, რომელსაც როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო ფუნქციები ევალა.
- მოადგილე-მოურავის ნაცვალი.

- მელიქი და მამასახლისი, რომლებიც ქალაქის მოხელეები იყვნენ.<sup>3</sup>

სამოხელეო თანამდებობების განვითარებასთან ერთად გაჩნდა სამოხელეო დანაშაულებიც, რომელთა განხილვაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

„მეგლის დადებაში“ სპეციალური მუხლითაა განსაზღვრული ერისთავთა, გამგებელთა და ხევისბერთა სამხედრო ვალდებულებები<sup>4</sup> და ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობსა თუ არაჯეროვანი შესრულებისთვის დაწესებული შესაბამისი სანქცია.

ომში წაუსვლელობის შემთხვევაში პირს 1 წლის გამმავლობაში დაედებოდა სანქცია კერძოდ, გარდა საქვეყნო სირცხვილისა, მას ჩამორთმეოდა ქონება. ქონების ჩამორთმევასთან ერთად, მას ასევე საქონელი უნდა მიეგვარა ხევის ბერისთვის. 1 წლის გასვლის შემდეგ უკან დაუბრუნდებოდა მამული, თუ სხვა დანაშაულს არ ჩაიდენდა.<sup>5</sup>

ქართული სამართლის ისტორია განილილავს დანაშაულის 4 კატეგორიის არსებობას:

- დანაშაულებანი სახელმწიფოს წინააღმდეგ;
- სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაულებანი;
- დანაშაულებანი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ;
- დანაშაულებანი საკუთრების წინააღმდეგ.

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში მოიაზრებოდა განდგომა და ღალატი. „განდგომა“ პოლიტიკურ დანაშაულობად განიხილებოდა. განდგომა და ღალატი თავის მხრივ ორი სახის იყო.

1. შინაური, როცა განდგომილნი ადგილობრივ ასპარეზზე მოქმედებდნენ და მარტოოდენ ადგილობრივი ძალისა და თანამგრძნობთა მოხვეჭით კმაყოფილდებოდენ;

<sup>3</sup>იხ. სურგულაძე ი., „ქართული სამართლის ისტორიის წყაროები“. თბილისი, 2002, გვ.15-17.

<sup>4</sup>იხურბნელისა ნ. „მეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“. თბილისი, „ივერიის“ რედაქციის გამოცემა, 1890, გვ.20-22.

<sup>5</sup>იხ. ჯავახიშვილი ი. „ქართული სამართლის ისტორია“. წიგნი მე-2, თბილისი, 1928.გვ. 93-95

2. გარეშე ძალის დახმარებით, როდესაც განდგომილნი, უცხო, მოსაზღვრე სახელმწიფოს დახმარებასა და შესაწევარს სთხოვდნენ ხოლმე და მათი მოშველებითა და თანადგომით თავიანთ სამშობლოსა და სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდნენ.<sup>6</sup>

აღნიშნული დანაშაულები პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა, მეფის (სახელმწიფოს) წინააღმდეგ ჩადენილი ქმდებისთვის, თუმცა არსადაა ნახსენები თავად სახელმწიფოს წარმომადგენელი პირის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებსა და მათ დასჯადობაზე.

საბჭოთა კავშირის დროინდელი სისხლის სამართალი ითვალისწინებდა თანამდებობრივ დანაშაულთა ცნებას და მას ჯერ კიდევ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მთელი მე-7-ე თავი ეძღვნებოდა. აღნიშნული თავი, სხვა ქმედებებთან ერთად, დანაშაულებრივად აცხადებდა ხელისუფლების ან სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (მუხლი 186) და ხელისუფლების ან სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას (მუხლი 187).<sup>7</sup>

საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლი კოდექსი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას სამოხელეო დანაშაულებისთვის, განხვავებით საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის მე-7-ე თავისა საქართველოს სისხლის სამართლის 39-ე თავში გაერთიანებულ დანაშაულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, სხვა მრავალ დანაშაულთან ერთად კანონმდებელმა ცალკე დანაშაულად განსახლვრა ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება. ხოლო აღნიშნული დანაშაულის ჩამდენ პირს პასუხისმგებლობის სახედ და ზომად დაუწესა თავისუფლების აღკვეთა ვადით 3-წლამდე. ხოლო იგივე ქმედების ჩადენა ძალადობით, აბუჩად აგდებითა და წამებით თავისუფლების აღკვეთა ვადით 2-დან 8 წლამდე.<sup>8</sup>

2003 წელს, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად სსკ-ის 335-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

<sup>6</sup>იხ. ჯავახიშვილი ი. „ქართული სამართლის ისტორია“. წიგნი მე-2, თბილისი, 1929.გვ.185.

<sup>7</sup>იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (30.12.1960), [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/321696/1/Saqartvelos\\_Sabchota\\_Socialisturi\\_Respublikis\\_Sisxlis\\_Samartlis\\_Kodeksi.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/321696/1/Saqartvelos_Sabchota_Socialisturi_Respublikis_Sisxlis_Samartlis_Kodeksi.pdf)

<sup>8</sup>იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (22.07.1999) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=261>

„განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით შანტაჟით, ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისთვის, ანდა ექსპერტისა დასკვნის მიცემისათვის“ ისჯება:

თავისუფლების აღკვეთით ვადით: 2-დან 5 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით 5 წლამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი:

- ა) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
- ბ) დაზარალებულის წამებით

თავისუფლების აღკვეთით 4-10 წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით 5 წლამდე.<sup>9</sup>

2005 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად 335-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოება შეიცვალა, კერძოდ ამოღებული იქნა მეორე ნაწილის ბ) ქვეპუნქტი, რომელიც წამებას ითვალისწინებდა. პარალელურად სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ახალი მუხლი, კერძოდ 144<sup>1</sup>, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წამებისთვის. ხოლო მის დამამძიმებელ გარემოებად გაჩნდა ჩანაწერი იგივე ქმედება ჩადენილი: ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.

## §1.2. სამოხელეო დანაშაულები მსოფლიო სამართლის იუტორიაში

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოხელეო დანაშაულები, მასთან დაკავშირებული კანონები და სასჯელები იცვლებოდა უძველესი ცივილიზაციების პერიოდებსა და რეგიონებში.

<sup>9</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1995, მუხლი 335.

რომის სამართალი საილუსტრაციოდ ერთ-ერთი კარგი მაგალითია, რადგან უძველესი სამართლის ძეგლებიდან, სწორედ ის გახდა ფუმემდებელი სხვა ევროპული ქვეყნებისთვის სამართლის სისტემებისა.

რომის სამართალში არსებობდა სიტყვა Crimina – რომლითაც გამოხატავდნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. თავად სიტყვა, ოთხ კატეგორიად იყოფოდა. ოთხივე მათგანის განხილვა, საკვლევი თემის მიზნებიდან გამომდინარე არ არის უპრიანი, შესაბამისად მხოლოდ პირველი კატეგორიით შემოვითარებული აქანყების მოწყობა, ღალატი, ხაზინის გაქურდვა, მექრთამეობა, არჩევნების გაყალბება, იმპერატორის მიერ აკრძალულ კავშირებში მონაწილეობა, ყალბი ფულის დამზადება, წონისა და ზომის ერთეულების გაყალბება და სხვა<sup>10</sup>.

ქრისტეს შობამდე, რომში თითოეული დანაშაულის ჩამდენი პირი საკმაოდ მკაცრად ისჯებოდა. მათ შორის ყველაზე მძიმე, ბუნებრივია სიკვდილით დასჯა იყო, რომელიც ნელ მტანჯველ სიკვდილს გულისხმობდა, ასევე საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა საკატორლო სამუშაოები და ქონების კონფისკაცია. ძველ რომში საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს ძალიან სერიოზულად აღიქვამდნენ. ძველ რომში მოხელეები, განსაკუთრებით კი გუბერნატორები სხვადასხვა სამოხელეო დანაშაულის ჩადენაში იყვნენ ბრალდებულნი, როგორებიცაა: გამოძალვა, მოსყიდვა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და სხვა. უფრო მეტიც გამოძალვის აღმოსაფხვრელად ძველ რომში კანონიც კი მიიღეს - Lex Julia de Repetundis. რაც შეეხება სასჯელებს, ძირითადად გამოიყენებოდა ჯარიმა, გადასახლება ან პატიმრობა. განსაკუთრებით მძიმე შემხვევებში ჩინონვნიკებს ასამართლებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ. აღნიშნული სასჯელი ძირითადად დამახასიათებელი იყო გვიანი რესპუბლიკის დროს.<sup>11</sup>

ძველ მესოპოტამიაში, სამოხელეო დანაშაულის ყველაზე გავრცელებულ ფორმას - კორუფცია და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება წარმოადგენდა. ძველ მესოპოტამიაში, განსაკუთრებით კი ჰამურაბის მეფობის დროს (დაახლოებით ძვ.წ. 1792-1750), მოხელეები ძირითადად აღნიშნული დანაშაულების ჩადენაში იყვნენ

<sup>10</sup> იხ. მეტრეველი ვ. „რომის სამართალი“. თბილისი, მერიდიანი, 2009, გვ. 111-133.

<sup>11</sup> Crook, J. A. (1967). Law and Life of Rome. London: Thames and Hudson. pg. 143-160.

ბრალდებულები. ჰამურაბის კოდექსი მოიცავდა კონკრეტულ დებულებებს მექრთამეობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. კოდექსი ამავდროულად ითვალისწინებდა სასჯელებს ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად. სასჯელები ხშირ შემთხვევაში განსხვავდებოდა, ძირითადი ინდიკატორი დანაშაულის სიმძიმე გახლდათ, ასევე შესაძლოა ყოფილიყო ჯარიმა, საჯარო დამცირება ან სიკვდილით დასჯა.<sup>12</sup>

ძველ ეგვიპტეში მოხელეები ძირითადად შემჩნეულები იყვნენ სახელმწიფო ქონების არასწორად მართვასა და გაფლანგვაში. ფარაონები ატარებდნენ მკაცრ სანქციებს აღნიშნული ქცევის წინააღმდეგ. სასჯელი შესაძლოა ყოფილიყო: იძულებითი შრომა, დასახიჩრება, ან სიკვდილით დასჯა. გარდა ამისა საჯარო მოხელის დასჯას პრევენციული ხასიათი უნდა ჰქონოდა სხვა მოხელეებისთვის, რათა არ გასჩენოდათ სურვილი სახელწიფოს ქონების გაფლანგვის.<sup>13</sup>

ძველ საბერძნეთში მოხელეებს ძირითადად ბრალი ედებოდათ მექრთამეობასა და კორუფციაში, განსაკუთრებით ოფიციალური დოკუმენტებისა და არჩევნების გაყალბებაში. ბრალდებული მოხელეების მიმართ გამოყენებული იყო, როგორც ჯარიმა, ასევე ოსტრაციზმი (ქალაქიდან გაძვება) ან განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში სიკვდილით დასჯა. აღნიშნული სასჯელები მიზნად ისახავდა საზოგადოების ერთიანობის შენარჩუნებასა და სამოხელეო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას.<sup>14</sup>

ძველ ჩინეთში განსაკუთრებით კი ჰანის დინასტიის მმართველობის დროს (ძ.წ.206-ა.წ. 220წ), ბრალი ედებოდათ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და კორუფციაში. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა მკაცრ სასჯელებს. სასჯელის სახედ და ზომად გათვალიწინებული იყო: ჯარიმა, თავისუფლების აღვეთა ან სიკვდილით დასჯა.<sup>15</sup>

კიდევ ერთი ქვეყანა, რომელიც ცნობილია დანაშაულებითა და საჯელებით უმველესი პერიოდიდან არის ინდოეთი. ინდოეთში არსებული სახელმწიფო

<sup>12</sup> Roth, M. T. (1997). Law Collections from Mesopotamia and Asia Minor. Atlanta: Society of Biblical Literature. pp. 103-120.

<sup>13</sup> Kanawati, N. (1997). Corruption in Ancient Egypt. Cairo: American University in Cairo Press. pp. 45-60.

<sup>14</sup> Ober, J. (2008). Democracy and Knowledge: Innovative Politics in Ancient Athens. Princeton: Princeton University Press. pp. 215-230.

<sup>15</sup> Huang, Y. (1995). The History of Chinese Law. Beijing: Chinese Legal Publishing House. pp. 90-105.

წყობილება ემყარებოდა ოთხ ვარნას (ფენას), მათგან ბრაჟმანთა (ქურუმთა) და ქშატრიათა (სამხედრო დიდებულები, მოხელეები, არისტოკრატია) ვარნებს გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. „ოფიციალური წარმოდგენებით ბრაჟმანი უპირველეს ხალხთაგანაა. მათი საქმიანობა საღვთო წიგნების შესწავლა, სასამართლოსა და მმართველობაში მონაწილეობა, კანონებისა და წერილობითი განკარგულებების შემუშავება. მას ეკუთვნის ყველაფერი, რასაც ხედავს; მას შეუძლია მოითხოვოს, რასაც მოისურვებს“.<sup>2</sup> როგორც ჩანს, ძველ ინდოეთში ბრაჟმანთა ვარნა, სხვა მოხელეებისგან განსხვავებით განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდა. მათ წინააღმდეგ მხოლოდ ორი სახის სასჯელი იყო გამოყენებული ესენი იყო: გაძევება და გაკრეჭა.<sup>16</sup>

ძველ ინდოეთში მოხელეები იცავდნენ მაღალ მორალურ და ეთიკურ სტანდარტებს. ძველ ინდოეთში მოხელეების დანაშაულები მოიცავდა კორუფციას, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, გაფლანგვასა და ქრთამის აღებას. ასეთი დანაშაულისთვის სასჯელი იცვლებოდა სიმძიმისა და კონტექსტის მიხედვით, ასევე, დამნაშავედ ცნობილ ოფიციალურ პირებს (მოხელეებს) შეიძლება დაეკისრებოდა ჯარიმა, თანამდებობიდან გადაყენება ან სხვა სასჯელი.

საინტერესოა ასევე, იაპონიის მაგალითი. დიმიტრი სუროვენი დაინტერესებული იყო აღნიშნული ქვეყნის შესწავლით, უფრო მეტიც მან კვლევაც კი ჩაატარა იაპონიაში სამოხელეო დანაშაულებისა და მათი ჩადენის შემთხვევაში დაკისრებული სასჯელების შესახებ. ჯერ კიდევ III-IV საუკუნეების მიჯნაზე ცენტრალური იაპონიის ტერიტორიაზე შექმნილ იამატოს სახელმწიფომ დაიწყო ერთიანი სამართლის სისტემის ფორმირება. ამისათვის მათ დაიწყეს იმპერატორის ბრძანებებისა და იაპონური სამართლის ნორმების კოდიფიკაცია-სისტემატიზაცია.

იამატოს სამართალისთვის უცხო არ გახლდათ სამოხელეო დანაშაულების სახეები. ტაიხო რიცუს კანონებში (702-718 წწ.) სამოხელეო დანაშაული აღინიშნებოდა ტერმინით „კუდზაი“. „კუდზაი“ სამოხელეო დანაშაულების საკმაოდ ფართო ჩამონათვალს გულისხმობდა: ქრთამის აღება-მიცემას სამსახურებრივი

<sup>16</sup> იხ.ჩერნილოვსკი ზ.მ., „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1992წ, გვ. 24.

მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივ გულგრილობას (იმ შემთხევვესში, თუ ჩადენის შედეგად მოქალაქეს, ან საზოგადოებას ზიანი მიადგებოდა).

ისტორიაში არაერთი დასჯილი მაღალი თანამდებობის პირის მაგალითის მოძიებაა შესაძლებელი, რომელთა შორისაა გუბერნატორი და ელჩიც კი.<sup>17</sup>

სამოხელეო დანაშაულთა რიცხვის დრამატული ზრდის გამო 645 წელს იმერატორმა გამოსცა ბრძანება, რომელიც მოხელეებისათვის ერთგვარი შეხსენება იყო ერთგულად ემსახურათ ქვეყნისა და იმპერატორითვის.

გარდა ამისა, იმპერატორმა პრობლემის აღმოსაფხვრელად შექმნა ეგრეთწოდებული „საჩივრების ყუთი“. ნებისმიერ პირს შესაძლებლობა ჰქონდა მოეთავსებინა, იმპერატორის დაქვემდებაში მყოფი მოხელეების წინააღმდეგ საჩივარი. 646 წელს საცავიდან მოიპარეს სახელმწიფო ხმალი, რისთვისაც პასუხისმგებლობაში მიეცა საცავის ზედამხედველობაზე პასუხიმგებელი პირი. მას ბრალი წარედგინა სამსახურეობრივი გულგრილობისთვის. იგივე ბრალდება წარედგინა 3 ოლქის გამგებელსაც, საჩივრის უპასუხოდ დატოვების გამო. სამწუხაროდ, არ არსებობს ჩანაწერები, თუ რა სახის სასჯელი დაეკისრათ აღნიშნულ პირებს, სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო.

სამსახურეობრივი გულგრილობის ნათელი მაგალითია, ქარავნის (ურმების) მცველის ქმედება, 430 წელს, რომელმაც თვითნებურად მიატოვა სამსახური სხვა მცველებთან ერთად. იმპერატორმა, მას ჩადენილი ქმედებისათვის, დაკავებული თანამდებობა ჩამოართვა. ასევე, იმპერატორის ბრძანებით 646 წელს, გაასამართლეს ორი გუბერნატორი, რომელთაც ბრალი სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში ედებოდათ. კერძოდ, ამ უკანასკნელებმა თავად გაასამართლეს დამნაშავეები. 645 წლის კანონით, დასჯადად ცხადდებოდა ქმედება და საჯელი ეკისრებოდა პირს მოხელეთა საშტატო რაოდენობის ზრდისთვის.

არაერთი გუბერნატორი მვაცრად გასამართლდა სამსახურეობრივი უფლებამოსიელების გადამეტებისთვის, კერძოდ ისინი ქალაქში შესულ უცხოელებს

<sup>17</sup> об.Суровенъ Д.А., Должностные преступления в древней и раннесредневековой Японии Издательская группа "Юрист" (Москва) Номер: 20, 2011, Страницы: 39-44.

აიძულებდნენ სხვადასხვა მძიმე სამუშაოს შესრულებას. იმპერატორმა მსგავსი ქმედებები სასტიკად აკრძალა და დააწესა მკაცრი სასჯელი.

იაპონური სამართლისათვის ცნობილი გახლდათ ისეთი დანაშაულები, როგორიცაა ქრთამის აღება და მიცემა, ასევე ზეგავლენით ვაჭრობაც. 527 წელს, სილლას სახელმწიფოს მცხოვრებლებმა მოისყიდეს ცეკუსის გუბერნატორი. იმპერატორის მოსყიდვის მიზანი ჯარის კორეაში გამგზავრების გადავადება იყო. აამისათვის ის პერიოდულად დიდალ ძღვენს იღებდა. ასევე ქრთამის სანაცვლოდ, მოქალაქეები გარკვეულ უპირატესობებს იღებდნენ, მათ შორის საჩივრების უპირატესად განხილვის შესაძლებლობასა და სხვა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ქრთამის ამღებს სასჯელის სახით ეკისრებოდა, ქრთამის გაორმაგებული ოდენობის სახელმწიფოსთვის გადახდა. თუმცა, როგორც ისტორიიდან იკვეთება, აღნიშნული ნორმა არც ისე ქმედითი აღმოჩნდა და იმპერატორი იძულებული გახდა ერთი წლის თავზე, 646 წელს, გაემკაცრებინა სასჯელი. ახლად ფორმულირებული სასჯელი, ჯარიმასთან ერთად რანგით ჩამოქვეითებასაც ითვალისწინებდა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დამნაშავე დაბალრანგიანი იყო, მას ბამბუკის ჯოხებით სცემდნენ. მიუხედავად პრევენციული ღონისძიებების გატარებისა, იაპონიაში მექრთამეობამ ღრმად გაიდგა ფესვები, მათ შორის იმპერატორის კარზეც. იმდენად შეუქცევადი გახდა პროცესი, რომ ქრთამს იღებდნენ, როგორც ე.წ სეფე ქალები, ასევე პრინცებიც კი. აღნიშნულის გამო, იაპონიის იმპერატორს კიდევ ერთხელ მოუწია რადიკალური ზომების მიღება. 681 წელს, მან გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ქრთამის აღებაში შემჩნეული წებისმიერი პირი მკაცრად დაისჯებოდა, მიუხედავად მისი სტატუსისა და სამოხელეო რანგისა. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელეთა დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად, იმპერატორის კარზე არსებობდა ცენზორთა პალატა, რომელიც თანამედროვე გენერალური ინსპექციის ფუნქცია-მოვალეობას ასრულებდა. როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, იაპონური სამართალი თითქმის ყველა სახის სამოხელეო დანაშაულს იცნობდა. რის გამოც ძველ და ადრეფეოდალურ იაპონიაში, სამოხელეო დანაშაულთა ბრძოლის საკმაოდ დახვეწილი პოლიტიკა არსებობდა. გარდა პოლიტიკისა საკმაოდ დეტალურად იყო გაწერილი ყველა ქმედება კანონში, კანონის დამრღვევი პირისათვის კი მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული.

როგორც ისტორიული ანალიზი ცხადჰყოფს იმ პერიოდისთვის ცნობილი იყო სამოხელეო დანაშაულთა ისეთი სახეები, როგორიცაა: ქრთამის აღება, მოვალეობის შეუსრულებლობა, ქრთამის მიცემა ანუ მოსყიდვა, იმპერატორის ბრძანების შეუსრულებლობა და სხვა. შესაბამისად, ძველ პერიოდში არსებული სამოხელეო დანაშაულები გარკვეულწილად განსხვავდებოდა თანამედროვე დანაშაულებისგან და ძირითადად, შემოიფარგლებოდა იმპერატორის, გუბერნატორის ბრძანების შეუსრულებლობით.

სასჯელებს რაც შეეხება, სამოხელეო დანაშაულებისთვის დადგენილი იყო ჯარიმა, გადასახლება, თანამდებობიდან გათავისუფლება, გარკვეულ შემთხვევებში კი სიკვდილით დასჯაც კი.

განსახილველად საინტერესოა, XVI საუკუნის რუსეთი და ივანე IV (მრისხანე)-ის მეფობის დროს გატარებულ სამართლებრივი რეფორმაც.

1550 წელს, რუსეთის სახელმწიფოში შეიქმნა სამართლის წიგნი, რომელიც „Судебник Ивана IV“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნული წიგნი მეფის ბრძანებებისა და ცალკეული სამართლის ნორმების კრებულს წარმოადგენდა.

ივანე მრისხანეს სამართლის წიგნი 100 მუხლს აერთიანებდა, მათ შორის კი სამოხელეო დანაშაულებიც შედიოდა.

სამართლის წიგნის პირველივე მუხლი ეთმობა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ თავს, კერძოდ მოსამართლეების მიერ ქრთამის აღების აკრძალვასა და ანგარების მიზნით უკანონო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანას.<sup>18</sup>

ეს მცირე ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზიც ნათელ სურათს იძლევა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს განვითარების ადრეული ეტაპებიდან, მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების აღკვეთასა და სწორი სამართლებრივი პოლიტიკის შემუშავებას. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამართლის ადრეული და ფეოდალური ეპოქის ძეგლები სამოხელეო დანაშაულებს, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიიჩნევდა, რაც თავის მხრივ

<sup>18</sup> ი. Цыганова В. Б. Перевод „Судебник Ивана IV“

ასოცირდებოდა: ღალატთან, ქრთამის აღებასან, ამბოხთან, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებასთან და სხვა.<sup>19</sup>

სამოხელეო დანაშაულთა პრობლემა პირველად გაეროს ყურადღების ცენტრში მოექცა, 1975 წლის ჟენევის კონგრესზე<sup>20</sup>, სადაც აღნიშნეს, რომ დანაშაული საერთაშორისო ბიზნესის სახით უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე კრიმინალური საქმიანობის ტრადიციული ფორმები. თეთრ საყელოიანი დანაშაულების სიმრავლის ძირითადი გამომწვევი მიზეზი სახემწიფოა. არამდგრადი ეკონომიკა და სუსტი კანონმდებლობა სწორედ ის ძირითადი ფაქტორებია, რაც კიდევ უფრო აღვივებს სამოხელეო დანაშაულების ჩადენის სურვილს. სახელმწიფოს, რომელსაც არ აქვს მდგრადი ეკონომიკა და ეფექტური კანონმდებლობა, ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.<sup>21</sup>

განხილლი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ უძველესი სამართლებრივი სისტემები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ წესრიგი და კეთილსინდისიერება მოხელეებს შორის მკაცრი კანონებითა და სამოხელეო დანაშაულების პრაქტიკისთვის მკაცრი სასჯელებით. ამ უძველეს საზოგადოებებში შექმნილი ისტორიული პრეცედენტები განაგრძობენ გავლენას თანამედროვე სამართლებრივ ჩარჩოებზე.

### §1.3 წამების სამართლებრივი კვალიფიკაცია, რომელიც გამოიყენება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩვენების მიცემის იძულებისთვის: გერმანიის კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

წამება, განსაკუთრებით კი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ განმარტების, ჩვენების ან ინფორმაციის მისაღებად, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევაა. აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციის პრობლემები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, მის მნიშვნელობასა და იმ ზღვარს, რაც ეროვნული უსაფრთხოებასა და ადამაინის ღირსების დაცვას შორის გადის. ქართული საკანონმდებლო რეალობის

<sup>19</sup> იხ. Суровень Д.А. “Должностные преступления в древней и раннесредневековой Японии Издательская группа “Юрист”. Москва, № 20. 2019, Страницы: 39-44.

<sup>20</sup> იხ.იაკობიშვილი მ. „თეთრსაყელოიანთა დანაშაული“. თბილისი, 2015.

<sup>21</sup> იხ.იაკობიშვილი მ. „თეთრსაყელოიანთა დანაშაული“. თბილისი, 2015.

პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მიმოვიზილოთ, თუ როგორ რეგულირდება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩვენების ან განმარტების მიღების საკითხი გერმანიაში. საკანონმდებლო ჩარჩოს, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვით ნათელი გახდება თუ როგორ ამახვილებს გერმანია ყურადღებას ამ სერიოზულ ქმედებაზე.

### კონსტიტუცია

გერმანიაში წამება მკაფრადაა აკრძალული, როგორც ქვეყნის კონსტიტუციით, ასევე ნორმატიული და საერთაშორისო აქტებით.

გერმანიის კონსტიტუცია ცალსახად იცავს ადამიანის ღირსებასა და პიროვნულ ხელშეუხებლობას. კონსტიტუციის პირველ მუხლშივე ვკითხულობთ, რომ ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი პატივისცემა და დაცვა კი ყველა სახელმწიფოს მოვალეობა.<sup>22</sup> აღნიშნული მუხლი წარმოადგენს გერმანიის წამების აკრძალვის ქვაკუთხედს, რაც ხაზს უსვამს წამების აკრძალვის უფლების დაცვის აბსოლიტურ ხასიათს. კონსტიტუციის მე-2 მუხლი კი დამატებით გარანტია პიროვნული თავისუფლებების. მე-2 მუხლის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რამდენადაც ის არ არღვევს სხვათა უფლებებს“.<sup>23</sup>

აღნიშნული დებულება განამტკიცებს პირის ხელშეუხებლობას და აძლიერებს აკრძალვას ნებისმიერი ფორმით იძულების ან წამების მიმართ.<sup>24</sup>

### სისხლის სამართალი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს არაერთი მუხლი, რომელიც წამების წინააღმდეგ, დებულებებს შეიცავენ. კოდექსის 136-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი კრძალავს იძულების მეთოდების გამოყენებას დაკითხვის დროს.<sup>25</sup> კერძოდ, ნებისმიერი პირი რომელიც მიმართავს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულებითი

<sup>22</sup> ob. Huber, Peter. German Constitutional Law: The Protection of Human Rights. Hart Publishing, 2022, pp. 45-78.

<sup>23</sup> ob. Basic Law for the Federal Republic of Germany (Grundgesetz), 1949, Article 2.

<sup>24</sup> ob. Döring, Andreas. German Penal Code: An Introduction. C.H. Beck, 2019, pp. 110-150.

<sup>25</sup> ob. German Criminal Code (Strafgesetzbuch, StGB), 1872, Article 136.

ხასიათის ქმედებას, ჩვენების ან ინფორმაციის მისაღებად, ექვემდებარება დასჯას.<sup>26</sup> ეს დებულება უზრუნველყოფს, რომ წამება ან არაადამიანური მოპყრობა ჩვენების ან ინფორმაციის მისაღებად, მკაცრად აკრძალული და დასჯადია.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს წამების ქმედების აკრძალვის ზოგად მუხლს, ვინაიდან კონსტიტუციური ჩანაწერი წამების აკრძალვის ზოგადი გარანტია. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს არაერთ მუხლს, რომლის დისპოზიციაც ამა თუ იმ ქმედების განხორციელებას წამების ხერხის გამოყენებით გულისხმობს. ეს მუხლები გაფანტულია კოდექსის სხვადასხვა თავში.

აღნიშნული მუხლებია:

136-ე მუხლი - იძულება: იგულისხმება ქმედებები, რომლებიც განხორციელებულია პირის ნების საწინააღმდეგოდ, რათა გააკეთოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების ჩადენისაგან. იძულების ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს წამებით.

223-ე მუხლი - რაც გულისხმობს სხეულის დაზიანებას, რა დროსაც შესაძლებელია ფიზიკური წამების განხორციელება.

224-ე მუხლი - სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება - აღნიშნული მუხლის ქვეშ იგულისხმება ქმედება, რომელიც ჩადენილია ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალების ან მეთოდების გამოყენებით.

225-ე მუხლი - მოწყვლადი პირების შეურაცხყოფა- ქმედება გულისხმობს მოწყვლადი პირების დასჯასა და ზიანის მიყენებას, მათ შორის მათ წამებას.

226-ე მუხლი - სხეულის მძიმე დაზიანება - აქ იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ქმედება იწვევს ისეთ დაზიანებებს, რაც საშიშია სიცოცხლისათვის.

241-ე მუხლი - მუქარა, რომელიც შესაძლოა გულისხმობდეს წამების გამოყენებასაც.

305-ე მუხლი - დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, წამება და სისტემატიური ძალადობა.

საინტერესოა თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ქმედება ჩაითვალოს წამებად?

<sup>26</sup> იბ. Kumm, Mattias. The Constitutional Role of Human Rights in Germany. Oxford University Press, 2018, pp. 85-105.

იმის დასადგენად, თუ რა შემთხვევაში კვალიფიცირდება ქმედება წამებად, საჭიროა გაანალიზდეს სამართლებრივი დეფინიციები, შესაბამისი ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა.

იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს წამებად, ის ზოგადად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:<sup>27</sup>

### 1. განზრახვა და მიზანი

ძლიერი ტკივილის ან ტანჯვის მიყენების განზრახვა: მოძალადეს უნდა უნდოდეს განზრახ მიაყენოს დაზარალებულს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა. ეს განასხვავებს წამებას სხეულის დაზიანების სხვა ფორმებისგან.

იძულების ან დასჯის მიზანი: წამება, როგორც წესი, მიზნად ისახავს პირის იძულებას (მაგ. ინფორმაციის მოპოვებას ან დასჯას).<sup>28</sup>

### 2. დაზიანების ბუნება

ზიანის სიმძიმე: დაზიანება უნდა იყოს მნიშვნელოვანი. მცირე დაზიანებები არ არის წამების მაკვალიფიცირებელი გარემოება; ზიანი უნდა იყოს სერიოზული, რაც იწვევს ხანგრძლივ ჯანმრთელობის მოშლას ან მძიმე სტრესს.<sup>29</sup>

ხანგრძლივობა და განმეორება: წამების ქმედებები ხშირად მოიცავს ხანგრძლივ ტანჯვას ან ზიანის განმეორებით შემთხვევებს, ვიდრე ერთჯერად მოქმედებას.

### 3. კონტექსტი და გარემოებები

მსხვერპლის დაუცველობა: მსხვერპლის მდგომარეობა, როგორიცაა პატიმრობაში ყოფნა ან საკუთარი თავის დაუცველობა, შეიძლება იყოს წამების მაკვალიფიცირებელი ფაქტორი.

ძალაუფლების ბოროტად გამოყენება: წამება ხშირად გულისხმობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, განსაკუთრებით სახელმწიფო მოხელეების ან მათთან გათანაბრებული პირების მიერ.

ეს კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული დეფინიცია წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ ემთხვევა, საერთაშორისოდ დაგენილ სტანდარტებს.

### სამართლებრივი ჩარჩო

<sup>27</sup> იხ. Hans-Jürgen Fink, Die strafrechtliche Behandlung von Folter (2014), pp. 82-100.

<sup>28</sup> იხ. Wolfgang Naucke, Tortur und Folter im deutschen Recht (2011), pp. 45-67.

<sup>29</sup> იხ. Walter W. G. Stein, Menschenrechtsverletzungen im deutschen Strafrecht (2018), pp. 34-56.

შესაბამისი სექციები: როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს არაერთი მუხლი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია წამების შემხვევაში.

იმის გასარკვევად, თუ როდის შეიძლება ქმედების დაკვალიფიცირება, როგორც წამება არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება.

იუსტიციის ფედერალური სასამართლო (BGH), 1997 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება.<sup>30</sup>

აღნიშნულ შემთხვევაში, BGH განიხილავდა პოლიციის თანამშრომელთა ქმედებებს, რომლებმაც ფიზიკური ტკივილი მიაყენეს ბრალდებულს ინფორმაციის მოპოვების მიზნით. სასამართლომ დაადგინა:

განზრახვა და ქმედების სიმძიმე: მოძალადეებს განზრახული ჰქონდათ მიეყენებინათ ძლიერი ფიზიკური ტკივილი, რაც ქმედებას წამებად აფასებდა. სასამართლომ განაცხადა, რომ ტანჯვის მიყენებისას განზრახვა არის გადამწყვეტი ელემენტი ქმედებების წამებად კვალიფიცირებისთვის.

იმულების მიზანი: სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქმედებების უკან იდგა მიზანი იმულებით მოეპოვებინათ აღიარებითი ჩვენება ან ინფორმაცია. რაც აძლიერებდა ქმედების წამებად კვალიფიცირების შესაძლებლობას.

სამართლებრივი შედეგები: BGH-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ქმედებები არღვევს არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსს, არამედ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლის დაუშვებებლობაც ხაზგასმითაა მოცემული გერმანიის კონსტიტუციაში.

2. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BVerfG), 2006 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება.<sup>31</sup>

ეს გადაწყვეტილება ეხებოდა პოლიციის მიერ გამოყენებული დაკითხვის გარკვეული ტექნიკის კანონიერებას. BVerfG-მა დაასკვნა:

ღირსების შელახვა: დაკითხვისას განხორციელებული ნებისმიერი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც იწვევს მძიმე ზეგავლენას, არის ადამიანის ღირსების შელახვა, რომელიც დაცულია ძირითადი კანონის 1-ლი მუხლით.

<sup>30</sup> იბ.BGH, Judgment of 5 June 1997, 2 StR 148/97.

<sup>31</sup> იბ.BVerfG, Judgment of 15 February 2006, 2 BvR 2039/04.

წამების განმარტება: სასამართლომ წამება განსაზღვრა როგორც ფიზიკური ზიანის, ასევე ფსიქოლოგიური იძულების გზით ჩადენილი ქმედება. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მძიმე ფსიქიკური ტანჯვის გამომწვევი მეთოდები ასევე მიეკუთვნება წამების განმარტებას.

ანგარიშვალდებულება: დადგენილებაში ხაზგასმულია სახელმწიფო მოხელეების სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობა, რაც ადასტურებს, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ადამიანის უფლებების უმაღლესი სტანდარტები სამართალდამცავი უწყებებების წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული საქმიანობის დროს.

3. ჰამბურგის უმაღლესი რეგიონალური სასამართლო (OLG Hamburg), 2008 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება.<sup>32</sup>

საქმე ეხებოდა დაკითხვის დროს დაკავებული პირის ფსიქოლოგიურ წამებას. სასამართლომ დაადგინა:

ფსიქოლოგიური სტრესი: მძიმე ფსიქოლოგიური მეთოდები, თუნდაც ფიზიკური ზიანის გარეშე, შეიძლება იყოს წამება, თუ ისინი იწვევს მნიშვნელოვან ფსიქიკურ ტანჯვას. დადგენილებაში ხაზგასმითაა საუბარი სერიოზულ გრძელვადიან ეფექტზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ ქმედებებს მსხვერპლის ფსიქიკაზე.

იძულების განზრახვა: სასამართლომ დაადგინა, რომ მსხვერპლის დაშინების ან იძულების განზრახვა შიშის მეშვეობით იყო წამების არსებითი ელემენტი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ფიზიკური დაზიანება.

სამართლებრივი ჩარჩო: გადაწყვეტილებამ განამტკიცა, რომ წამების ყველა ფორმა, მათ შორის ფსიქოლოგიური ძალადობა, გამოძიებული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

4. იუსტიციის ფედერალური სასამართლო (BGH), 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება.<sup>33</sup>

ამ განჩინებაში BGH-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა წამების წინა განმარტებები კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ:

<sup>32</sup> იბ. OLG Hamburg, Judgment of 27 May 2008, 3-2/08.

<sup>33</sup> იბ. BGH, Judgment of 12 July 2016, 5 StR 113/16.

წამების ყოვლისმომცველი განმარტება: წამება მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე მძიმე ფსიქოლოგიურ ზიანს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ტკივილს ან ტანჯვას, განურჩევლად მისი ფორმისა, შეიძლება კლასიფიცირდეს წამებად, თუ ის ემსახურება იძულების მიზანს.

ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კონტექსტი: გადაწყვეტილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების ან/და თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული ქმედებები, განსაკუთრებით დაუცველი პირების მიმართ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ ქმედებების წამების კლასიფიკაციას. BGH-მ ხაზი გაუსვა სახელმწიფო აქტორების პასუხისმგებლობას, პატივი სცენ ადამიანის უფლებებს ნებისმიერ დროს.

წამების გავლენა: განაჩენი დეტალურად აღწერს მსხვერპლზე წამების შედეგების შეფასების აუცილებლობას, რაც ამტკიცებს, რომ გრძელვადიანი ფსიქოლოგიური ზიანი კვალიფიცირდება, როგორც წამება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECHR): მიუხედავად იმისა, რომ არ არის გერმანიის ეროვნული სასამართლო, ECHR გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს გერმანიის იურისპრუდენციაზე. საქმეებში, როგორიცაა *Ilașcu v. Moldova*, სასამართლომ განმარტა, რომ წამება უნდა მოიცავდეს მძიმე ტანჯვას და ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ მიაღწევს ამ ზღვარს, შეიძლება განსხვავებულად იყოს კვალიფიცირებული საერთაშორისო სამართლის მიხედვით.<sup>34</sup>

გერმანიის სახელმწიფოს მაგალითი, კიდევ უფრო მეტად ცხადჰყოფს წამების ქმედების სწორი დეფინიციის მნიშვნელობას. წამების დასადგენად აუცილებელია მისი ყველა ელემენტის შესწავლა და მორგება ინდივიდუალურ შემთხვევებზე, რათა არ მოხდეს ქმედების არასწორი კვალიფიკაცია. აღნიშნულ გზაზე კი, განსაკუთრებული ყურადღება არა მხოლოდ კანონმდებლობას ენიჭება, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

<sup>34</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ილასჩუ და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ (*Ilașcu and Others v. Moldova*), No. 48787/99, 8 ივლისი 2004.

## §1.4 სამოხელეო დანაშაულები მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში

სამოხელეო დანაშაულები, როგორც წესი მიმართულია სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების ხელშესაშლელად.

სამოხელეო დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტი საქართველოს კონსტიტუციით გათვალიწინებული კონსტიტუციური წყობილებისა და საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობებია, რომელიც სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლების გამართულ ფუნქციონირებას განაპირობებს. სახელმწიფო აპარატის ცნების ქვეშ ერთიანდება სახელმწიფოს ყველა ის მექანიზმი, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

ნებისმიერი სამოხელეო დანაშაული, მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების ხელშესაშლელად და მისი ავტორიტეტის გასანადგურებლად. ის ამავდროულად ხელს უშლის საზოგადოების უფლებების რეალიზებასა და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესებს.<sup>35</sup>

სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელი, როგორც წესი სპეციალურია.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მოხელეებად ითვლებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც დასაქმებულნი არიან საჯარო სამსახურში

(საჯარო სამსახურში იგულისხმება, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები) და ასრულებენ საჯარო მოსამსახურის ფუნქცია-მოვალეობას.

როგორც აღინიშნა, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი იძლევა განმარტებას, თუ ვინ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. სამოხელეო დანაშაულის სუბიექტის განსასაზღვრად, სისხლისამართლის კოდექსი, სწორედ აღნიშნულ კანონს იშველიებს.

<sup>35</sup> იხ. ლეველიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 2, მეექვსე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ. 183.

საკანონმდებლო ჩანაწერის მიხედვით, საჯარო დაწესებულებად შეიძლება ჩაითვალოს „სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, ასევე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია და მასში მუშაობენ საჯარო მოსამსახურეები“.<sup>36</sup>

აქვე მნიშვნელოვანია გაკეთდეს განმარტება, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს საჯარო მოხელედ/მოხელედ.

„პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე (შემდგომ – მოხელე) – პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს“<sup>37</sup>.

მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე. თავის მხრივ, მოხელეები იყოფიან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად.

კომპეტენციის განვრცობადობისა და უფლებამოსილების დონის მიხედვით საჯარო სამსახურში თანამდებობები იყოფა რანგებად.

<sup>36</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 3, „კ“ ქვეპუნქტი.

<sup>37</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 3, „კ“ ქვეპუნქტი.

სახელმწიფო მოხელის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელმა.

ასევე შესაძლებელია, უფლების დელეგირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის ფუნქცია, გარკვეული პირობების არსებობისას, შეასრულონ ინსპექტორებმა და რევიზორებმა. აღნიშნული პირები, ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას მოქმედებენ, როგორც სახელმწიფო მოხელესთან გათანაბრებული პირები.

რაც შეეხება სამოხელეო დანაშაულის სუბიექტსა და მის ასაკს, ის განსხვავებულია.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის ჩანაწერით, მოხელედ მოიაზრება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ კი, 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი პირი.<sup>38</sup>

მოხელესთან გათანაბრებულ პირად ითვლება ის პირი, რომელიც განაზღვრული პერიოდით, მუშაობს არმყოფი მოხელის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად.

ამრიგად, მოხელესთან გათანაბრებულად ჩაითვლება ის პირი, თუ სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე, დროებით ან ერთჯერადად ახორციელებს უფლებამოსილებას.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ფუქნციის დროებითი შესრულების მოვალეობა დაკისრებული იყოს სამართლებრივ საფუძველზე, რასაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სამოხელეო დანაშაული ბრალად ვერ შეერაცხება პირს, რომელიც ფაქტობრივად ასრულებდა მოხელის ფუნქცია-მოვალეობებს, თუმცა აღნიშნულის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა.

---

<sup>38</sup>იხ.ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 2, მეექვსე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ.184-185.

2008 და 2010 წლებში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა განიცადა ცვლილებები, რის შედეგადაც გაფართოვდა სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელ პირთა წრე.

განხორციელებულ ცვლილებამდე, სამოხელეო დანაშაულის სუბიექტის განსასაზღვრად სისხლის სამართლის კანონმდებლობა იშველიებდა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონს.

თუმცა, მოგვიანებით სსკ-ის 332-ე მუხლს დაემატა შენიშვნა, რომლის მიხედვითაც სამოხელეო დანაშაულის სუბიექტის განსასაზღვრად საჭირო გახდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან ხელმძღვანელობაც. დამატების მიხედვით, სამოხელეო დანაშაულის სუბიექტებად ითვლებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლები, რომლებსაც ევალებათ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება.

ამასთან გაფართოვდა და დაიხვეწა მოხელესთან გათანაბრებული პირის ცნებაც. კერძოდ, მოხელესთან გათანაბრებულ პირად შეიძლება ჩაითვალოს:

- უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირი;
- ნებისმიერი პირი, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის;
- საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირი;
- ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული თანამშრომელი;
- ნებისმიერ მივლინებული ან არამივლინებული პირი, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ფუნქციებს.

აღნიშნული შენიშვნის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საჯარო ინტერესის საზიანოდ შეიძლება მოქმედებდეს არა მარტო სახელმწიფო მოხელე, არამედ მასთან გათანაბრებული პირიც.<sup>39</sup>

<sup>39</sup> იხ. ლევეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 2, მეექვსე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ. 186-87.

სამოხელეო დანაშაულის თავისებურებას სწორედ მისი ამსრულებელი წარმოადგენს, სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის სწორად განსაზღვრას. როგორც წესი სამოხელეო დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია, ის შეიძლება იყოს მხოლოდ მოხელე, მასთან გათანაბრებული პირი, ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი.

#### **§1.4.1 სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ხერხი და მოტივი**

მოხელეებად, გარდა თანამდებობის პირებისა საზოგადოება ხშირად განიხილავს, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებს, როგორებიც არიან გამომძიებლები და პროკურორები. აღნიშნული პირები საზოგადოების წარმოდგენით დაუღალავად მუშაობენ კანონისა და საზოგადოების დაცვაზე.

თუმცა, რეალობა ყოველთვის არ შეესაბამება ამ იდეალიზებულ სურათს. მოხელეების გადაცდომის შემთხვევებმა, დაწყებული მტკიცებულებების გაყალბებიდან დამთავრებული პირის იძულებამდე მისცეს ჩვენება ან დასკვნა, შელახა ძალოვანი უწყებებისა და იურისპრუდენციაში მოღვაწე სხვა აქტორების რეპუტაცია. ამგვარი გადაცდომის გამომწვევი მოტივების გაგება გადამწყვეტია ეფექტური პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად. ქვემოთ განხილულია მოტივები, რომლებიც შეიძლება ეფუძნებოდეს თანამდებობის პირების მიერ დანაშაულის ჩადენას.

**ფინანსური მოგება: ძლიერი მოტივატორი**

**ძალა და უფლებამოსილება: უფლების ბოროტად გამოყენება**

ძალაუფლებისა და ავტორიტეტის ფლობა შეიძლება გახდეს ორლესული მახვილი თანამდებობის პირებისთვის, რაც გულისმობს ძალაუფლების როგორც საჭიროებისამებრ, ასევე ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. გამომძიებლები და პროკურორები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი დისკრეციული უფლებამოსილება, შეიძლება აყვნენ ცდუნებას, გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება პირადი ან პროფესიული მიზნებისთვის.

ჯონსის კვლევა<sup>40</sup> ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ მარტივადაა შესაძლებელი კონტროლისა და დომინირების სურვილმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს უბიძგოს დანაშაულის ჩადენისაკენ, მაგალითად პირის იძულება მისცეს ჩვენება ან რაიმე სახის ინფორმაცია.

ანალოგიურად, პროკურორები, რომლებიც პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და „საქმის გასახსნელად“, ხშირ შემთხვევაში მიმართავენ არაკანონიერ გზებს, როგორიცაა პირის დაშინება მისცეს ჩვენება და სხვა.<sup>41</sup>

### ფსიქოლოგიური ფაქტორები: უფრო ღრმა მოტივების შესწავლა

გარე ფაქტორების გარდა, როგორიცაა ფინანსური მოგება და ძალაუფლების დემონსტრირება, ფსიქოლოგიური ფაქტორები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სამოხელეო დანაშაულების მოტივის ჩამოყალიბებაში. კვლევებით დასტურდება, რომ სტრესმა, წნებმა და ბრალდებულის, შესაძლო დანაშაულის ჩადენის არ აღაიარებამ შესაძლოა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს უბიძგოს დანაშაულის ჩადენისკენ.<sup>42</sup> უფრო მეტიც, მიკერძოებულობამ, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის ბრალდებულის ტიპაჟის მიუღებლობითა, თუ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით, შესაძლოა გახდეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივი.<sup>43</sup> დეტექტივი მარკ ფიურმანის საქმე O.J. სიმფსონის სასამართლო პროცესი ასახავს იმას, თუ როგორ შეიძლება ღრმად დამკვიდრებულმა მიკერძოებამ და ცრურწმენებმა გავლენა მოახდინოს გამომმიებლის ქმედებებზე, რაც საბოლოოდ ძირს უთხრის სისხლის სამართლის სისტემის მთლიანობას.<sup>44</sup>

<sup>40</sup>ob. Jones R. "The psychology of police misconduct: Behavioral, personality, and situational factors." New York, Routledge, 2019.

<sup>41</sup>ob. Smith K. "Prosecutorial misconduct: Types, consequences, and reform". Chicago, University of Chicago Press, 2020, pg.12

<sup>42</sup>ob. Miller J. "Enhancing Clarity through Special Provisions." Journal of Legal Studies 15, no. 2, 2018.pg.45

<sup>43</sup>ob. Kassin S. M. and Wrightsman L. S. "Psychology and the legal system". Boston, Cengage Learning, 2019, pg.231

<sup>44</sup>ob.Darden C. "In contempt." New York, HarperCollins, 1996, pg.176.

## თავი II. წამება/წამების მუქარა დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა

### §2.1 წამების დეფინიცია საერთაშორისო აქტებში

დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წამების აკრძალვას, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების დაცვის მყარ გარანტის. „წამების აკრძალვა“, აღნიშნული ტერმინი გამოყენებულია, როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთ საერთაშორისო და ჰუმანიტარულ ხელშეკრულებაში, კერძოდ:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-5 მუხლი)<sup>45</sup>;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მე-3 მუხლი)<sup>46</sup>;
- სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (მე-7 მუხლი)<sup>47</sup>;
- წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის კონვენცია (1-ლი მუხლი)<sup>48</sup>;
- აგრეთვე, ადამიანის უფლებათა მრავალ საერთაშორისო თუ რეგიონალურ ხელშეკრულებაში.

ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული დებულება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლით.

მიუხედავად აღნიშნული ტერმინის საყოველთაობისა, საკმაოდ საკამათოა ქმედების ზუსტი დეფინიცია, რაც პრობლემას წარმომობს წამების საქმეთა სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში. პრობლემის არსებობაზე მიუთითებს

<sup>45</sup> ob.United Nations. Universal Declaration of Human Rights. Adopted December 10, 1948. Art. 5.

<sup>46</sup> ob.Council of Europe. European Convention on Human Rights. Adopted November 4, 1950. Art. 3.

<sup>47</sup> ob.United Nations. International Covenant on Civil and Political Rights. Adopted December 16, 1966. Art. 7.

<sup>48</sup> ob.United Nations. Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment. Adopted December 10, 1984, Art.1.

ეროვნული სასამართლოების წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლებით განხილული საქმეების სიმწირეც.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლება, არ დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, აბსოლიტური ხასიათისაა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია რაიმე საზოგადოებრივი აუცილებლობით ან სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.<sup>49</sup> მაგალითად, ასეთია პირადი ცხოვრების ხელშეუხლებლობის უფლება, აზრის თავისუფლება, თავისუფალი მიმოსვლის უფლება, პიროვნული განვითარების უფლება, შეკრებისა და გაერთიანების უფლება და სხვა.

ამასთანავე, წამებად ვერ დაკვალიფიცირდება ის ქმედება, რომელიც თავად ამ პირის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის დასაცავადაა ჩადენილი.

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპის მნიშვნელოვანი გარანტი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლია, რომლის მიხედვითაც: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“. აღნიშნულზე მიუთითებს 1998 წლის საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის სტატუტიც, რომლის მიხედვითაც „წამება, რომელიც არის მოქალაქეთა წინააღმდეგ ჩადენილი და გავრცელებული ან სისტემატიურ ქმედებათა ნაწილი, წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს“.<sup>50</sup>

ადამიანის ზოგიერთი უფლება შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, თუ შეზღუდვა განსაზღვრულია კანონით, ემსახურება საჯარო ინტერესს, საჭიროა სხვა პირთა ან ზოგადად, საზოგადოების უფლებათა დასაცავად და პროპორციულია. ხსენებული გარემოებები კონკრეტულად და ამომწურავადაა განსაზღვრული ადამიანის უფლებების შესახებ არსებულ მრავალ პაქტსა თუ კონვენციაში. მაგალითად, მიმოსვლის თავისუფლება, აზრისა და

<sup>49</sup>იხ.გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ. ზოგადი კომენტარი №2.

<sup>50</sup>იხ.გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება <http://www.humanrights.ge/files/Rome%20Statute.pdf> (17.07.2024).

გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საკუთრების უფლება. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა გადაწყვეტილებაში ტიერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ „კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი აკრძალვა არის აბსოლიტური, რაც გამორიცხავს გადახვევის შესაძლებლობას, მათ შორის მე-15 მუხლით მე-2 ნაწილის დადგენილი გარემოების არსებობისას“.<sup>51</sup>

შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ წამება აბსოლიტურად აკრძალულია და ვერცერთ შემთხვევაში გამართლდება.

წამების აკრძალვას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი - *jus cogens*, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია რაიმე გამონაკლისის არსებობა მოცემული აკრძალვიდან ნებისმიერ გარემოებაში, მათ შორის საომარი ან საგანგებო მდგომარეობის, ომის საშიშროების თუ შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის დროსაც. თავდაცვის აუცილებლობლობა ან სხვა გარემოებები ვერ იქნება გათვალისწინებული წამების შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, თუ რაოდენ მძიმე შედეგები შეიძლება დადგეს პოტენციურად მომავალში.<sup>52</sup>

ეს იმპერატიული ნორმა სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის შესასრულებლად, მიუხედავად იმისა რატიფიცირებული აქვს თუ არა მოცემული ხელშეკრულება.<sup>53</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პირის უფლება, არ დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, არის აბსოლიტური.<sup>54</sup> ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული ტერმინისა და მის ქვეშ გაერთიანებული ქმედების აკრძალვის მნიშვნელობას.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული დაცვა მიმართულია ადამიანის ღირსებისა და ფიზიკურ

<sup>51</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. The United Kingdom), №5310/71, სერია ა №25, 1978.

<sup>52</sup> იხ. Preventing Torture: An Operational Guide for National Human Rights Institutions, May 2010, p. 16.

<sup>53</sup> იხ. ფოული კ. „წამების დასამარცხებლად“. დიდი ბრიტანეთი, 2003., გვ. 32;

<sup>54</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ, ზოგადი კომენტარი №2.

ხელშეუხებლობაზე, თუმცა წამების შემთხვევები წარმოადგენს მე-3 მუხლის დარღვევის ყველაზე სასტიკ და საშინელ ფორმას.

ნებისმიერი უხეში მოპყრობა არ არის წამება. იმისათვის, რომ ქმედება წამებად დაკვალიფიცირდეს აუცილებელია არსებობდეს სისასტიკის გარკვეული ხარისხი. მიყენებული ტანჯვის სისასტიკე ან ინტენსიურობა შესაძლოა შეფასდეს შემდეგ ფაქტორებზე მითითებით:<sup>55</sup>

- მოპყრობის ხანგრძლივობა;
- ფიზიკური და სულიერი შედეგები;
- მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთველობის მდგომარეობა;
- აღსრულების ხასიათი და მეთოდი.

მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი საქმე: The Greek Case და ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. რომლებიც პრეცენდენტული მნიშვნელობისაა. პირველ საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ:

„წამება უნდა იყოს არაადამიანური და დამამცირებელი, ხოლო არაადამიანური მოპყრობა - დამამცირებელი. წამებას აქვს მიზანი- ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, დასჯა, ზოგადად ის წარმოადგენს არაადამიანური მოპყრობის გამძაფრებულ ფორმას“.<sup>56</sup>

აღნიშნული დეფინიცია კიდევ არაერთ საქმეში გამოირდა და „მიზნობრივი ფაქტორი“ წამების მაკვალიფიცირებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად იქცა. საქმეში - ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,<sup>57</sup> ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ქმედების წამებად კვალიფიცირება უნდა მომხდარიყო მიყენებული „ტანჯვის ინტენსივობისა და სხვადასხვაობის საფუძველზე“ თუმცა პირთა დაკითხვისას გამოყენებული 5 მეთოდი, მათ შორის:

<sup>55</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ, (Selcuk and Asker v. Turkey), №23284/94, 24 აპრილი 1998.

<sup>56</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (The Greek Case) №3321/67, №33322/67, №3323/67, №3344/67.

<sup>57</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom), §159, სერია „ა“ #25, 18 იანვარი 1978.

- კედელთან დგომა;
- თავსაფარი - თავზე მუქი ტომრის ჩამოცმა;
- ხმაურისადმი დაქვემდებარება;
- უძილობა;
- საკვებისა და წყლის შეზღუდვა

ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, როგორც არაადამიანური მოპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდები გამოყენებული იყო აღიარების მოპოვებისა და ინფორმაციის მიღების მიზნით, ევროპული სასამართლოს აზრით მათ არ გამოუწვევიათ ისეთი ინტენსივობისა და სისასტიკის ტანჯვა, რომ ქმედება შეფასებულიყო, როგორც წამება.<sup>58</sup>

სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, მიზნობრიობის გარდა ქმედების წამებად შესაფასებლად აუცილებელია, მოპყრობამ გამოიწვიოს „ძლიერი და სასტიკი ტანჯვა“. აღნიშნულის შესაფასებლად კი სასამართლომ მიუთითა აწ უკვე აღნიშნულ გარემოებებზე: ხანგრძლივობა, ფიზიკური და სულიერი შედეგები, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, აღსრულების ხასიათი და მეთოდები.

თუმცა, ევროპულმა სასამართლოს დიდმა პალატამ, საქმეში - სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ, აღნიშნა, რომ:

„ქმედებები, რომლებიც წარსულში დაკვალიფიცირდა, როგორც არაადამიანური მოპყრობა, შესაძლოა მომავალში დაკვალიფიცირდეს, როგორც წამება“.<sup>59</sup>

ვინაიდან ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა უმაღლესი ღირებულებაა, იგი დაცულია არა მარტო კონსტიტუციით, არამედ საქართველოში არსებული სხვა ნორმატიული აქტებითაც.<sup>60</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იკრძალება:

---

<sup>58</sup>ib.Long D.“Guide to Jurisprudence on Torture and Ill-treatment”. Geneva, 2002, pg.14;

<sup>59</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Selmouni v. France), N25803/94), 28 ივლისი 1999.

<sup>60</sup>იხ.საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუცია, (24.08.1995), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

„პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ან/და პირის დასჯა მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი, ან სავარაუდოდ ჩადენილი, ქმედებისთვის”.<sup>61</sup>

კონვენციის მიზნებისთვის:

- წამება ყოველთვის წინასწარ განზრახული ქმედებაა;
- წამების კონვენციური დეფინიციით მასში მოიაზრება პირისთვის ძლიერი ფიზიკური და ზნეობრივი ტკივილის ან ტანჯვის მიყენება;
- კონვენციის თანახმად, მიზნობრივად წამება ყოველთვის მიმართულია მსხვერპლისაგან ან მესამე პირისაგან ცნობების მიღების ან აღიარებისაკენ, მსხვერპლის დასჯისაკენ იმ ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც იგი ბრალდებულია.
- კონვენცია ყურადღების მიღმა არ ტოვებს მსხვერპლის წამების დისკრიმინაციის საფუძველს და რაც მთავარია, კონვენციის მიზნებისთვის წამების შემადგენლობის განმახორციელებელი სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური (სახელმწიფო თანამდებობის ან სხვა ოფიციალური პირი). თუმცა ჩვეულებრივი სუბიექტი წამებაში შესაძლებელია მოგვევლინოს, როგორც თანამონაწილე.

ზემოაღნიშნული ანალიზი ხაზს უსვამს წამების დეფინიციის სახესხვაობას საერთაშორისო აქტებში. ყველა განმარტებით იკვეთება, რომ წამება განზრახ უნდა იყოს მიყენებული. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ, გაეროს კონვენცია იძლევა წამების მეტად მკაფიო დეფინიციას. კერძოდ, აღნიშნულ კონვენციაში ხაზგასმულია მოხელეების ჩართულობა, გარდა ამისა აქცენტი კეთდება მიყენებული ტკივილის სიმძიმესა და ხარისხზე, განსხვავებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა, სადაც წამების განმარტება უფრო

<sup>61</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1995, მუხლი 144<sup>1</sup>.

ზოგადი და ყოვლისმომცველია და არ არის მითითება მოხელის მიერ ჩადენილ ქმედებაზე, ასევე არც სისასტიკის მინიმალურ ზღვარზე კეთდება აქცენტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს პრეცენდენტულ სამართალს ინტერპრეტაციისთვის, ხოლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია იძლევა დეტალურ განმარტებას. აღნიშნული განსხვავებების დადგენა გადამწყვეტ როლს თამაშობს წამების საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტურად გატარებასა და წამებას დაქვემდებარებული პირის ადვოკატირების გზაზე.

## §2.2 წამების დეფინიცია ეროვნულ კანონმდებლობაში და მისი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი კონვენციით დადგენილ განმარტებასთან

წამება აქტუალურ საკითხად რჩება ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დისკუსიაში. ხოლო, მისი სწორი სამართლებრივი განმარტება გადამწყვეტ როლს თამაშობს ამგვარი ქმედების პრევენციასა და სისხლისსამართლებრივ დევნაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლი იძლევა წამების დეფინიციას, რომლის მიხედვითაც: „წამება, ესე იგი პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ან/და პირის დასჯა მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის“.<sup>62</sup>

ეროვნულ კანონმდებლობაში დამკვიდრებული წამების დეფინიციიდან ირკვევა, რომ:

- განზრახ უნდა იყოს მიყენებული;

<sup>62</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1995, მუხლი 144<sup>1</sup>.

- „ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა“ ადგენს მკაფიო ზღვარს სისატიკის მინიმალური სტანდარტის დასადგენად;
- მიზანი, რაც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული: ინფორმაციის ან მტკიცებულების მოპოვება, დასჯა ან დაშინება.

ეს ფაქტორები მნიშვნელოვანია, რადგან ხაზს უსვამს წამების მოტივს, რაც უზრუნველყოფს სწორი სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას.<sup>63</sup>

გარდა ამისა დეფინიციაში არსებული ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მითითება, გადამწყვეტ როლს თამაშობს წამების ქმედების ამოცნობაში, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ძალადობა შეუმჩნეველი რჩება.<sup>64</sup>

წამებად შეიძლება მივიჩნიოთ სისტემატიური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც ნაწამებ პირს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა მიაყენა. ფსიქოლოგიური ძალადობის საშუალება შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს, მათ შორის სისტემატიური ცემა. ქმედების წამებად შესაფასებლად მნიშვნელოვანია, რომ ტანჯვა, რომელსაც მსხვერპლი განიცდის იყოს ხანგრძლივი და აუტანელი.

მნიშვნელოვანია წამების ქართულ საკანონმდებლო სივრცეში დამკვიდრებული განსაზღვრება შევადაროთ „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის კონვენციის დეფინიციას.

წამების დეფინიცია ყველაზე სრულყოფილადაა წარმოდგენილი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საწინააღმდეგო კონვენციაში,<sup>65</sup> რომლის თანახმად:

„ტერმინი წამება ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური თუ სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისაგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან

<sup>63</sup>იხ.კერძესელიძე ნ., წამება და ადამიანის უფლებები საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, გვ.78-80.

<sup>64</sup>იხ. ჩეხია. მ, წამება ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი, 2018, გვ.45-47.

<sup>65</sup>იხ.ბატონიშვილი დ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“. თბილისი, სამართლის ინსტიტუტი, 2013, გვ.66.

რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია“.<sup>66</sup>

გაეროს კონვენციის და ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმადაც, წამების სპეციალური სუბიექტია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელი, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით წამების განხორციელება კერძო პირსაც შეუძლია. საკითხავია რამდენად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩო, რომლის მიხედვითაც წამება შეიძლება კერძო პირმაც ჩაიდინოს.

აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში წამების განმახორციელებელი კერძო პირია. საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის წამების ამკრძალავი ნორმის ფორმულირება ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის კონვენციის დეფინიციისგან.

გაეროს კონვენციის თანახმად დანაშაულის სუბიექტი აუცილებლად სახელმწიფო თანამდებობის პირი უნდა იყოს, წამების განმარტების მოცემული ნაწყვეტიდან ნათლად იკვეთება მისთვის დამახასიათებელი, საკვანძო ელემენტი - სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა. შესაბამისად, ამ კლასიკური განმარტების მიხედვით, წამება სპეციალური სუბიექტის მქონე დელიქტია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ იმეორებს ტექსტუალურად ამ განმარტებას, თუმცა ადამიანის

<sup>66</sup>United Nations, Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, June 26, 1987, <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-against-torture-and-other-cruel-inhuman-or-degrading-treatment-or-punishment>.

უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასამართლო ფაქტობრივად ახდენს ამ განმარტების ინკორპორაციას.<sup>67</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დანაწესი წამების სუბიექტს ფართოდ განმარტავს და გაეროს კონვენციით განსაზღვრული წამების სპეციალური სუბიექტის- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ ხსენებულ ქმედებას დამამძიმებელ გარემოებად აფასებს. ეროვნულ დონეზე წამების ამკრძალავი ნორმის ამ სახით ფორმულირება სერიოზულ დარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა უდავოა, რომ დადებით ფაქტად ვერ შეფასდება მისი ამგვარი განსხავავება გაეროს იმ კონცენციით განსაზღვრული დეფინიციისგან, რომელიც საქართველოს მიერ ჯერ კიდევ 1994 წლის 22 სექტემბერს იქნა რატიფიცირებული.

საქართველოს კონსტიტუცია იცავს ადამიანის პატივსა და ღირსებას. ასევე დაუშვებლად მიიჩნევს ადამიანის წამებას, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემღაველი მოპყრობისა და დასჯის მეთოდების გამოყენებას.

კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლში ნახსენები უფლების შინაარსის და დაცული სფეროს განსაზღვრა საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს. ფილოსოფიური მოძღვრებები მას სხვადასხვაგვარად განმარტავენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი ღირსება, ღირებულება, რის გამოც იგი არ შეიძლება იქცეს დისკრიმინაციისა თუ წამების ობიექტად. ადამიანი არის სამართლის სუბიექტი, შესაბამისად დაუშვებელია ის მიზნის მისაღწევ საშუალებად განიხილებოდეს. ღირსება გააჩნია, როგორც ფეტუსს, ისე რაიმე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ნაკლით დაბადებულ ადამიანს. არც გარდაცვალების შემდეგ კარგავს ადამიანი ღირსებას, შესაბამისად ვრცელდება როგორც გვამზე, ისე გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზეც.

პატიმრებს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან და სასჯელს იხდიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, გააჩნიათ ღირსება. შესაბამისად

<sup>67</sup> იხ. მოსამართლე ზუპაჩინის თანმხვედრი მოსაზრება საქმეზე „იალო გერმანიის წინააღმდეგ (Jalloh v. Germany), №54810/00, 1999.

დაუშვებელია, მათ წინააღმდეგ ისეთი ზომების გატარება, რაც მათ ღირსებას შეულახავს.

სწორედ, რომ ადამიანის ღირსების პატივისცემა, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღიარებით იწყება. არავინ შეიძლება გახდეს სახელმწიფოს საქმიანობის ობიექტი. <sup>68</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა წამების მუქარას, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას, როგორც დანაშაულთა შემადგენლობებს არ იცნობდა. წამების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციით განსაზღვრული დებულებებიდან გამომდინარე, 2005 წელს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რის შედეგადაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 3 ახალი მუხლი, კერძოდ (144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლები).<sup>69</sup>

რაც შეეხება თავად წამების ქმედების დისპოზიციას, ის განიმარტებოდა, როგორც: სისტემატიური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ შედეგად არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბებული წამების ახალი დეფინიცია დაემყარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციას „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ“, რომლის რატიფიცირება საქართველომ 1994 წლის 26 ოქტომბერს მოახდინა.<sup>70</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული დებულება თითქმის იდენტურია გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის წინააღდეგ 1984 წლის კონვენციის პირველ მუხლისა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, რომელიც წამების ქმედების ამსრულებლად ნებისმიერ სისხლისამართლებრივი

<sup>68</sup> იხუმლაშვილი კ., „მირითადი უფლებები“. თბილისი, ჯისია, 2014, გვ.87-88.

<sup>69</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 394.

<sup>70</sup> იხ. United Nations, "UN Treaty Bodies Database," <https://bit.ly/3mjRaNr>, (30.05.2024),

პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულ შერაცხად პირს მოიაზრებს, გაეროს 1975 წლის კონვენციაში წამების აკრძალვა ხელშემკვრელი სახელმწიფოებით შემოიფარგლება. აღნიშნული დამოკიდებულება, ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ფართოდ აღიარებულ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოა ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება. მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს ადამიანის უფლებათა დამრღვევი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, საქმეზე არსენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებით, შესაძლებელი უნდა იყოს წამებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა.<sup>71</sup>

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს, მათი დისპოზიციის სუბიექტია საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული ნებისმიერი პირი, ან/და პირი რომელიც სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით არღვევს წამების აბსოლიტური აკრძალვის პრინციპს.

არაერთხელ აღინიშნა, რომ წამების ჩამდენი სუბიექტი ნებისმიერი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირია. რაც შეეხება ქმედების ჩადენას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, აღნიშნული ექვევა წამების დამაძიმებელ გარემოებაში.<sup>72</sup>

ზემოაღნიშნულის გარდა, კანონმდებელი წამების ქმედებას დამამდიმებელი გარემოებით ჩადენილად მიიჩნევს:

- სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- არაერთგზის;
- ორი ან მეტი პირის მიმართ;

<sup>71</sup>ib.Leach, Philip. Taking a Case to the European Court of Human Rights. 2nd ed. Oxford: Oxford University Press,2015, pg. 202.

<sup>72</sup> იხ.ლევაეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“,2023, გვ. 405.

- ჯგუფურად;
- დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ;
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ;
- დამნაშავეზე სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ.

დამამძიმებელ გარემოებებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე. რომელთაგანაც ერთი დასჯადად აცხადებს ქმედებას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, ხოლო მეორე კი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით. რამდენად უცნაურიც უნდა იყოს, კანონმდებელმა ისინი სხვადასხვა ქვეპუნქტში მოათავსა, მიუხედავად იმისა, რომ მოხელის მიერ ჩადენილი წამება თავის თავში მოიაზრებს სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებას.

შესაბამისად, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, დაისჯება თუ არა მოხელე მისი საქმიანობის მიღმა ჩადენილი ქმედებისთვის უფრო მკაცრად, ვიდრე მის საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებისთვის?

საკითხის გასამარტივებლად შესაძლებელია მაგალითის მოყვანა. მოხელეს წლების განმავლობაში ჰქონდა მეზობელთან დავა საცხოვრებელი კორპუსის საზიარო სარდაფის თაობაზე. წლების განმავლობაში დაგროვილი მტრული დამოკიდებულების გამო, გადაწყვიტა ეწამებინა მეზობელი, რათა დაეშინებინა და ეიძულებინა უარი ეთქვა საზიარო ფართზე. მან ჩაკეტა მეზობელი სარდაფში, დააბა სკამზე, აუხვია თვალები და რამდენიმე საათის განმავლობაში აყენებდა სხეულზე მძიმე დაზიანებებს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ქმედება, რომელიც მისი ხასიათით ჯდება სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის შემადგენლობაში, ასევე სახეზე გვყავს ამსრულებელი, რომელიც არის სასჯარო მოხელე.

შესაძლოა მივუბრუნდეთ დასმულ კითხვას და გავცეთ ლოგიკური პასუხი. როგორ დავაკვალიფიციროთ საჯარო მოხელის ქმედება? როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი წამება? თუ გავითვალისწინოთ მისი პირადი განზრახვა, რომელიც სრულებით სცილდება მის სტატუსს?

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მოყვანილი მაგალითის სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება არასწორია. სწორედ მსგავსი პრაქტიკული პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დამამძიმებელი გარემოებების კუმულაციურად არსებობა.

შედეგად მივიღებთ, რომ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წამებას ჩაიდენს სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

144<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტები წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლთან. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლთან, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის იძულებისათვის მისცეს განმარტების ან ჩვენება, ანდა ექსპერტმა დასკვნა. ხოლო, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, იგივე ქმედების ჩადენისთვის ან ასეთი ქმედების ჩადენის მუქარისთვის რაც საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში წამების სამართლებრივი დეფინიცია მტკიცეა, აღსრულება კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. საკანონმდებლო ჩანაწერები მხარდაჭერილი უნდა იყოს ძლიერი საგამომიებო მექანიზმებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაუსჯელობა.<sup>73</sup>

ისეთი ორგანიზაციების ანგარიშები, როგორიცაა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ასახავს წამების საწინააღმდეგო კანონმდებლობის დანერგვის გამოწვევებს. მკაფიო სამართლებრივი დეფინიციის მიუხედავად, სისტემური საკითხები, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ნაკლებობა და ეფექტური მონიტორინგის მექანიზმების არარსებობა,

<sup>73</sup> Davis, S. M. (2019). Torture: Legal Standards and Enforcement. International Human Rights Review. (pp. 100-102).

აფერხებს წამების საქმეებზე ადეკვატური სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელებას.<sup>74</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული წამების დეფინიცია ყოვლისმომცველია და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა როგორც მსჯელობიდან გამოიკვეთა არსებობს რამდენიმე სადაო საკითხი, განსაკუთრებით მოხელის მიერ ჩადენილი წამების ქმედებასთან დაკავშირებით, რაც სისტემური პრობლემის წინაშე აყენებს სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოს. აღნიშნული გამოწვევების რეგულირება აუცილებელია, როგორც ეფექტური სამართლაწარმოების განსახორციელებლად, ასევე ადამიანის უფლებათა დასაცავად.

### **§2.2.1 სხვაობა წამებასა და დამამცირებელ არაადამიანურ მოპყრობასა და დასჯას შორის**

წამება უხეშად ხელყოფს ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ ხელშეუხებლობას. აღნიშნული დანაშაული სათავეს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იღებს და თანამედროვეობაშიც საკმაოდ ხშირად გვხვდება. წამების დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, საკმაოდ გაფართოვდა თვითონ სიტყვის ცნება და ფარგლები. წლების განმავლობაში წამებად ითვლებოდა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა, მუქარა თუ სხვა კანონსაწინააღმდეგო შემადგენლობის მრავალი ფაქტი. კონვენციასა თუ ეროვნული კანონმდებლობის სხვადასხვა მუხლში გვხვდება სასტიკი მოპყრობის ქმედებები, რომელთა კულმინაციასა და განსაკუთრებით მძიმე ფორმას, ბუნებრივია წამება წარმოადგენს. თავად წამება, ეს არის არაადამიანური მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა, რომელიც თავისთავად კვალიფიცირდება, უფრო მძიმე მუხლითა და სასჯელით, ვიდრე დამამცირებელი ან ღირსების შემლახველი მოპყრობა. თუმცა ფაქტია, რომ ყველა საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტი კრძალავს ადამიანის ღირსების შელახვის ნებისმიერ ფორმას. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია არ შეიცავს სიტყვას „სასტიკი”, ქმედება, რომელიც

<sup>74</sup> ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: ანგარიში- საქართველოში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ, გვ.12-15.

განსაკუთრებული სისასტიკითაა ჩადენილი აუცილებლად ექცევა, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ქვეშ.

მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ საქმის „ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“<sup>75</sup> განხილვისას დაასკვნა, რომ: „ევროპული კონვენციის მიხედვით ტერმინი „წამება“ დაკავშირებული იყო წინასწარი განზრახვით განხორციელებულ არაადამიანურ მოპყრობასთან, რასაც თან მოსდევს მეტად სერიოზული და სასტიკი ტანჯვა“.

ფიზიკური ტანჯვა ნიშნავს ხანგრძლივი ფიზიკური ტკივილით გამოწვეულ წუხილს. მაგრამ როგორ განასხვავოს სასამართლომ ერთმანეთისაგან ტკივილი და ძლიერი ტკივილი? აქ ძნელია რაიმე ობიექტური კრიტერიუმის გამოძებნა, მაგრამ ეს მაინც შესაძლებელია. ძლიერ ფიზიკურ ტკივილად უნდა ჩაითვალოს ისეთი ტკივილი, როცა აუცილებელი გახდება ტკივილგამაყუჩებელი წამლის გამოყენება, ვინაიდან წამლის მიუცემლობა მოცემულ შემთხვევაში საფრთხეს შეუქმნის ავადმყოფის ჯანმრთელობას (შოკური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად) ან/და ტკივილი, რასაც მოჰყვა მსხვერპლის გონების დაკარგვა.<sup>76</sup>

ფაქტია, რომ წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს. ამჟამად არ არსებობს ერთიანი სტანდარტი და მიდგომა, თუ სისასტიკის რა ზღვარს უნდა აღწევდეს ქმედება, რომ ის არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობად ჩაითვალოს. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ნარატივის მიხედვით, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა, ვერ აღწევს სისასტიკის იმ ზღვარს, რაც საჭიროა ქმედების წამებად დასაკვალიფიცირებლად.<sup>77</sup>

ამ ორ ცნებას შორის განსხვავების კუთხით უნდა ითქვას, რომ არაადამიანური მოპყრობა, დეფინიციის მიხედვით წამების ცნებასთან ახლოს დგას და

<sup>75</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (IRELAND v. THE UNITED KINGDOM), No. 5310/71, 18 იანვარი 1978.

<sup>76</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 397.

<sup>77</sup> იხ. გამყრელიძე ო. (ავტორთა კოლექტივი) „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი - დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. თბილისი, 2008, გვ. 210.

შემსუბუქებული ფორმით მისი მრავალი ასპექტითაც ხასიათდება, ხოლო დამამცირებელი მოპყრობა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გადაწყვეტილებებში ყოველთვის იყო და დღემდე რჩება დაკავშირებული სერიოზულ შეურაცხყოფასთან. მისი დეფინიცია ყველაზე ნათლად იკვეთება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე აღმოსავლეთ აფრიკელი აზიელები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>78</sup>, რომლის თანახმადაც:

მე-3 მუხლით აკრძალული ცნების ზოგად მიზანს ადამიანის ღირსების განსაკუთრებით სერიოზული შელახვის პრევენცია წარმოადგენს. ქმედება, რომელიც ადაბლებს პიროვნებას რანგით, პოზიციით, რეპუტაციით ან პიროვნული თვალსაზრისით, დამამცირებლად მიიჩნევა, მხოლოდ სისასტიკის კონკრეტული დონის მიღწევის შემდეგ. ასევე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით თვალსაჩინო განმარტებას იძლევა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ<sup>79</sup>, რომლის მიხედვით:

მართალია, მოპყრობა დამამცირებელი და დამაკანინებელია, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამუდმებით, აკეთებს მითითებას, რომ აუცილებელია ადამიანის მიერ განცდილი ტანჯვა და დამცირება აღწევდეს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რათა ქმედება ჩაითვალოს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად.

რაც შეეხება განზრახვას, თავად დეფინიციაშივე კეთდება მითითება, რომ აღნიშნული ქმედება მიზანმიმართულად და წინასწარი განზრახვითაა ჩადენილი. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებას ყოველთვის პირადი ინტერესი ახლავს თან, რაც შეუძლებელს ხდის ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენას.

თუმცა, დამამცირებელი მოპყრობის დისპოზიციაში, პირის მიზანი გამოკვეთილად არ არის წარმოჩენილი, რაც ბუნებრივია აჩენს კითხვას - იმისათვის,

<sup>78</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, აღმოსავლეთ აფრიკელები და აზიელები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (East African Asians v. the United Kingdom), #4403/70, 14 დეკემბერი, 1973.

<sup>79</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland), №30210/96, 26 ოქტომბერი, 2000.

რომ ქმედება მე-3 მუხლის დარღვევის ფარგლებში მოექცეს, საჭიროა თუ არა პირის მიმართ გამოკვეთილი დამცირებისა თუ შეურაცხყოფის განზრახვის არსებობა?<sup>80</sup>

ხსენებულ საკითხთან მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება გადაწყვეტილებაში - პირსი საბერძნეთის წინააღმდეგ<sup>81</sup>, რომელიც ეხებოდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაში ბრალდებული პირის საჩივარს ქვეყნის პენიტენციური დაწესებულების წინააღმდეგ. მომჩივანის თქმით ის ჯერ ციხეში არსებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაიყვანეს, ამის შემდეგ კი სპეციალურ შენაერთში, რომლის ინფრასტრუქტურა, მისი შეხედულებით, ვერ აკმაყოფილებდა იმ მინიმალურ სტანდარტსაც კი რაც საჭირო იყო ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პატიმრების სამკურნალოდ.

აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათ ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანის დაკნინებისა და დამცირების განზრახვა არ იკვეთებოდა. თუმცა იქვე ხაზი გაუსვა, რომ მართალია ერთ-ერთი ძირითადი შესაფასებელი სწორედ განზრახვის არსებობაა, თუმცა თუ აღნიშნული მიზანი სახეზე არ არის ამით არ გამოირიცხება კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული ქმედების დარღვევის დადგენაზე მსჯელობა. საბოლოოდ საქმეში კონცენციის მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა.

შედეგად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მე-3 მუხლის დარღვევის ფაქტის შეფასებისას პირდაპირი განზრახვის არარსებობა საგულისხმო გარემოებაა, თუმცა ის არ წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების განმსაზღვრელ ფაქტორს.

ქართულ საკანონმდებლო რეალობაში, სსკ-ის 144<sup>3</sup> მუხლი, რაც დამამცირებელ ან აარაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს, თითქმის იდენტურია ამავე კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლისა, რაც წამებას გულისხმობს. პრაქტიკული თვალსაზრისით კი მათი ურთიერთგამჯვნა საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს.

<sup>80</sup>ib. Long D.“Guide to Jurisprudence on Torture and Illtment”. Geneva, 2002,pg. 18.

<sup>81</sup>ib. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მ.ს.ს ბელგიის და საბერძნეთის წინააღმდეგ (M.S.S. v. Belgium and Greece)], N 30696/09) §220, 21 იანვრის, 2011.

არაადამიანური მოპყრობა ობიექტური მხრივ შეიძლება გამოხატული იყოს იმავე ქმედებაში, რაც დამახასიათებელია წამებისთვის. თუმცა მთავარია აქცენტი გაკეთდეს დამნაშავის მიზანზე. სსკ-ის 144<sup>3</sup> მუხლის მიზანი სცდება ქმდების წამებად კვალიფიცირებისათვის აუცილებენ კომპონენტს, როგორიცაა ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება. ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება კი შეიძლება გამოხატული იყოს ისეთი ქმდებითა და მოპყრობით, რაც ცალსახად სცდება ადამიანისადმი მოპყრობის ზნეობრივ წესს.<sup>82</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვევილებებში არაერთხელ აღნიშნა, რომ 144<sup>1</sup> და 144<sup>3</sup> მუხლების განმასხვავებელი ძირითადი გარემოება სწორედ მიყენებული ტანჯვის სიმძიმე და ხარისხია. თუმცა, ცალსახა ზღვარის გავლებაც თავის მხრივ გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა შესაძლოა კონკრტულ საქმესთან მიმართებით შეიცვალოს და შეიქმნას ახალი პრეცედენტი. შესაბამისად, ქმედებები, რომლებიც მოიაზრებოდა, როგორც არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, შესაძლოა მომავალში შეფასდეს, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ყველაზე მძიმე და უხეში დარღვევა და გაუთანაბრდეს წამებას.

სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს იმასაც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები არ ეყრდნობიან არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის მხოლოდ ერთ კონკრეტულ დეფინიციასა თუ სტანდარტს. თუმცა ბუნებრივია, ამას ხელი არ შეუშლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხილული ნორმების იმპლემენტაციისათვის.<sup>83</sup>

პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება მრავალი ფორმით შესაძლოა გამოიხატოს, მათ შორის: ადამიანის იძულებაში შიშველ ან ნახევრად

<sup>82</sup>იხ.ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 408.

<sup>83</sup>იხ.გამყრელიძე ო. (ავტორთა კოლექტივი) „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი - დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. თბილისი, 2008, გვ. 211.

შიშველ მდგომარეობაში გამოჩნდეს საზოგადოების წინაშე; მასწავლების მხრიდან მოსწავლის ყურის აწევაში, რომლის შემსწრე მთელი კლასია და სხვა.

ადამიანის პატივი და ღირსება ილახება მაშინაც, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ე.წ ცხელ კვალზე მოქალაქეებს საკუთარ საცხოვრებელ სახლში გვიან ღამით აიყვანენ, არ მისცემენ ჩაცმის საშუალებას და ესე ნახევრად შიშველ მდგომარეობაში, ხელბორკილებით აიძულებენ ბინის დატოვებას.

მოყვანილი მაგალითების მიზანია, ნათელი გახდეს თუ რა ქმედებებს შესაძლოა მოჰყვეს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა.

ძლიერი ფიზიკური ტკივილის არსი დეტალურადაა განხილული, წამების მუხლის განხილვისას, ხოლო რაც შეეხება მის განსხვავებას ფსიქოლოგიური ტანჯვისგან აქ ჩნდება კითხვა, თუ როგორ გავავლოთ ზღვარი მათ შორის? ტკივილის აღქმა ძალიან პირობითია, რაშიც ბუნებრივია ვერ დაგვეხმარება, ვერც სამედიცინო და ვერც

ზნეობრივი ნორმები. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი ცდილობს საკითხის დარეგულირების მიზნით, დააწესოს ახალი დოქტრინალური განმარტებები, რაც საბოლოო ჯამში განსაკუთრებით დიდ პრობლემას ქმნის სასამართლო პრაქტიკაში.<sup>84</sup>

როგორც ხედავთ, განხილული მუხლების ურთიერთგამიჯვნა არც ისე მარტივია, ვინაიდან მიყენებული ტკივილი და ტანჯვა პირობითი ცნებებია, რაც ინდივიდუალურია თითოეული ადამიანისთვის. თითოეული ადამიანის ფსიქიკა განსხვავებულია, ასევე ტანჯვისა და დამცირების ცნება შესაძლოა განსხვავდებოდეს, ასაკის, სქესის, თანმხლები დაავადების, ფიზიკური ნაკლისა და სხვა მრავალი ფაქტორის მიხედვით. თუმცა არსებობს ზოგადი ნორმები, რომლითაც მეტნაკლებად რეგულირდება ან რაიმე ჩარჩოში ექცევა საკითხი, თუმცა არა ყველა შემთხვევაში.

სწორედ აღნიშნული ფაქტორები ართულებს, 144<sup>1</sup> და 144<sup>3</sup> მუხლების გამიჯვნას, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით კიდევ უფრო მასშტაბურ პრობლემას ქმნის.

<sup>84</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 397.

საკითხის მეტნაკლებად გონივრულად გადასაწყვეტად, საჭიროა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და დადგენილი პრეცედენტების გამოყენება, ეროვნულ კანონმდებლობაში. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა მეტი სიზუსტე შემოიტანოს სასამართლო პრაქტიკაში ქმედების კვალიფიკაციისას.

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსგავსებისა, მათ შორის განსხვავების საპოვნელად უნდა დავაზუსტოთ შემდეგი ფაქტორები:

### 1. ტანჯვის სიმძიმე

წამება გულისხმობს ძლიერ ტკივილს ან განზრახ მიყენებულ ტანჯვას. ის ხასიათდება მნიშვნელოვანი და ღრმა გავლენის დატოვებით მსხვერპლის ფსიქიკურ ან ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ არაადამიანური მოპყრობა იწვევს ტანჯვას, არ აღწევს სისასტიკის იმ ზღვარს, რაც ქმედების წამებად მიჩნევისთვისაა საჭირო. შესაძლოა არაადამიანურმა მოპყრობამაც გამოიწვიოს ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზიანი, თუმცა არ შეიძლება გამოიწვიოს იმავე დონის სტრესი.

### 2. განზრახვა და მიზანი

წამება, როგორც წესი, ხორციელდება კონკრეტული განზრახვით, როგორიცაა ინფორმაციის მოპოვება, დასჯა ან დაშინება. წამების განხორციელება ხშირად დაკავშირებულია სახელმწიფო მოხელეებთან ან სისტემატიურ ძალადობასთან.

არაადამიანური მოპყრობა შეიძლება განხორციელდეს იმავე განზრახვის ან მიზნის გარეშე. პირი შეიძლება დაექვემდებაროს იმავე მოპყრობას, რაც მიუხედავად იმისა, რომ სასტიკია არ გააჩნია განსაზღვრული მიზანი.

### 3. სამართლებრივი ჩარჩო

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, წამება ცალსახადაა აკრძალული ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, როგორიცაა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის კონვენცია, რომლის დეფინიციაც გულისხმობს განზრახვისა და ძლიერი ტკივილის მიყენების მოთხოვნას.

არაადამიანური მოპყრობა ასევე აკრძალულია საერთაშორისო კანონმდებლობით, მაგრამ წამებისგან განსხვავებით მოკლებულია ზუსტ იურიდიულ დეფინიციას.

### §2.3 სისასტიკის მინიმალური ზღვარი წამების დანაშულთან მიმართებით

ქმედების წამებად კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს სისასტიკის ცნების განსაზღვრა. ტერმინი „სისასტიკე“ წამების კონტექსტში გულისხმობს, რომ ქმედება უნდა იყოს მიზანმიმართული, მძიმე და განზრახი ხასიათის, რაც მსხვერპლში იწვევს ძლიერ ფიზიკურ თუ მორალურ ტანჯვას. საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ასევე დადგინდა, რომ მიყენებული ტანჯვის ინტენსივობა- იქნება ეს ფიზიკური დაზიანების თუ ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების სახით, არის წამების ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება. იმისათვის, რომ ქმედებამ მიაღწიოს წამებისათვის საჭირო სისასტიკის ზღვარს, ის უნდა აღემატებოდეს ტკივილით მიყენებულ უბრალო დისკომფორტს ან არაადამიანურ მოპყრობას და გულისხმობდეს ტანჯვას, რომელიც საკმარისად ღრმაა ადამიანის ღირსების შელახვისთვის.

აღსანიშნავია, რომ ყველა სახის უხეში მოპყრობა არ განიხილება წამებად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ<sup>85</sup> მოცემული განმარტებით განამტკიცა რომ, სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება შეფარდებითია: იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, უფრო კონკრეტულად, კი მიყენებული ტანჯვის სისასტიკესა ან/და ინტენსიურობაზე, რაც შესაძლოა შეფასდეს შემდეგ ფაქტორებზე მითითებით:

- მოპყრობის ხანგრძლივობა;
- ფიზიკური და სულიერი შედეგები;
- მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- აღსრულების ხასიათი და მეთოდი.

<sup>85</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სელჩუკი და აქჩერი თურქეთის წინააღმდეგ (Selcuk and Asker v. Turkey), № 23284/94, 24 აპრილი 1998.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კიდევ უფრო აზუსტებს სისასტიკის დეფინიციას და ხაზს უსვამს წამების ფსიქოლოგიურ გავლენას, ფიზიკური დაზიანების გარდა, მისი სიმძიმის განსაზღვრისას. სასმართლომ განმარტა, რომ სისასტიკის ზღვარი მოიცავს ქმედებებს, რომლებიც იწვევს აუტანელ ტანჯვას.<sup>86</sup> ზოგიერთ ქვეყანაში ხანგრძლივი სამარტოო პატიმრობა შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც სტანდარტული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.<sup>87</sup> თუმცა საერთაშორისო ორგანოებმა, როგორიცაა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხანგრძლივმა სამარტოო პატიმრობამ შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოლოგიური წამება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გრძელვადიან ზიანს აყენებს პატიმრის ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

ხოლო ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო ხაზს უსვამს ასევე ხანგრძლივობისა და ბუნების მნიშვნელობას, ქმედების სისასტიკის დასადგენად, რაც საჭიროა საქმის წამებად დასაკვალიფიცირებლად.<sup>88</sup>

მოსაზრება, რომ არასათანადო მოპყრობა შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა საზოგადოების მიხედვით, არის კონცეფცია, რომელიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. სასამართლო ხშირად ხაზს უსვამს, რომ ის რაც ერთ შემთხვევაში მიჩნეულია არასათანადო მოპყრობად, შეიძლება განსხვავებულად განიხილებოდეს სხვა სოციუმში.

ზოგიერთ ავტორიტატულ რეჟიმში ცემის ან ფიზიკური დასჯის სხვა ფორმების გამოყენება, როგორც ციხეში წესრიგის დამყარების საშუალება, შეუძლება იყოს რუტინული და მისაღები.<sup>89</sup> პოლიციელები და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად უხეშობენ და ძალადობენ პატიმრობაში მყოფ პირებზე.

<sup>86</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Soering v. United Kingdom), № 14038/88, 7 ივლისი 1989.

<sup>87</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ოკალანი თურქეთის წინააღმდეგ (Ocalan v. Turkey), №46221/99, 22 აპრილი 2005.

<sup>88</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, ვილაგრან -მორალესი გუატემალას წინააღმდეგ (Villagran-Morales v. Guatemala), 19 ნოემბერი 1999.

<sup>89</sup> იხ. Rodley, Nigel S., "The Treatment of Prisoners Under International Law", Oxford University Press, 2009, pg.100-105.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ხშირ შემთხვევაში თავად პატიმრები ეგუებიან უხეშობასა და დამცირებას, რადგან ზოგჯერ ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევენ.<sup>90</sup> თუმცა, უფრო დემოკრატიულ საზოგადოებებში, რომლებიც იმართება კანონის უზენაესობით, ასეთი პრაქტიკა დაუშვებელია და ქმედება აუცილებლად ჩაითვლება წამებად.

ხსენებული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რამდენად სუბიექტური შეიძლება იყოს ფიზიკური ძალადობის მიმართ დამოკიდებულება და მისი აღქმა, თავად საზოგადოების გარკვეულ წრეებში.

## §2.4 წამება და წამების მუქარა

სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, წამება არის პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ან/და პირის დასჯა მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

წამების საკანონმდებლო შემადგენლობა თანხვედრაშია გაეროს და სხვა საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრულ წამების დისპოზიციასთან, თუმცა სახელმწიფოს მიერ არჩეული მიდგომით, ქმედების ჩამდენ პირთა წრე არ შემოიფარგლება მხოლოდ საჯარო მოხელეებით თუ ოფიციალური თანამდებობის პირთა ვიწრო ჩამონათვალით. ის მოიცავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულ ნებისმიერ შერაცხად სუბიექტს და ამგვარად, საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის ღირსების დაცვისკენ მიმართულ მოთხოვნებზე მაღალ სტანდარტს აწესებს.<sup>91</sup>

<sup>90</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (The Greek Case) №3321/67, გვ. 501.

<sup>91</sup> იხ. გვასალია თ. „წამება როგორც დანაშაული და სასჯელი როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმური ზეწოლის მექანიზმი“. ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ №4. 2016, გვ.128.

მოქმედი კანონის მიხედვით, პირის წამება უნდა ხდებოდეს სპეციალური მიზნით, რაც ასევე განსაზღვრულია ნორმის დისპოზიციით: ქმედებას საფუძვლად უნდა ედოს ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, პირის დასჯა მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>2</sup> მუხლით, წამებასთან ერთად კრიმინალიზებულია წამების მუქარა, რაც შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ამ კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით, თუ ეს მუქარა რეალური და იმწუთიერია“.<sup>92</sup>

აკრძალულია დაკავებული ან/და დაპატიმრებულ პირთა იძულება ჩვენების გამოძალვის ან აღიარების მიზნით. აღნიშნული დებულება საერთოა, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობისთვის.

ნებისმიერი სახის იძულებითი ზემოქმედება ითვლება ადამიანის ღირსების შელახვად. აღნიშნულის საილუსტრაციოდ საუკეთესო მაგალითია გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ. წინანმდებარე საქმის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენდა პოლიციის მუქარა წამების განხორციელების შესახებ იმ მომჩივანის მიმართ, რომელიც დაპატიმრებული იყო 11 წლის ბიჭის მოტაცების გამო. ბიჭის სიცოცხლის გადასარჩენად პოლიციის ოფიცრები დაემუქრნენ მას „გაუსაძლისი ტკივილით“ თუ არ გაამხელდა ბიჭის ადგილსამყოფელს. აღნიშნულის შედეგად, მომჩივანმა უთხრა პოლიციას სად დამალა გვამი. დაკითხვა სადაც ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობის მუქარას, გაგრძელდა დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში და სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევდა შიშსა და ფსიქოლოგიურ ტანჯვას. მუქარა წინასწარ მოფიქრებული და მიმართული იყო ინფორმაციის მისაღებად. შესაბამისად, დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ ის წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას მე-3 მუხლის დარღვევით, თუმცა არ უტოლდებოდა წამებას.<sup>93</sup>

<sup>92</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1995, მუხლი 144<sup>2</sup>.

<sup>93</sup> იხ. ლიჩი ფ. „როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს“. თბილისი, 2013, გვ. 259.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო მომჩივანის წინააღმდეგ განხორციელებული მოპყრობა, შეისწავლა ფაქტები და დაადგინა, რომ მომჩივანის მიმართ განხორციელებული ძალადობა იყო რეალური და იმზუთიერი და მიზნად ისახავდა მისგან ინფორმაციის გამოძალვას. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, აღწევდა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რაც ქმდებას მოაქცევდა კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ სფეროში.

აქვე სასამართლომ აღნიშნა, რომ სისასტიკის ხარისხით, წამების მუქარა შეიძლება გაუთანაბრდეს წამებას, ვინაიდან წამება შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური ძალადობით, ასევე ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებით. კერძოდ, ადამიანის დაშინება და მუქარა, რომ გარკვეული ქმედების შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას, შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოლოგიურ ტანჯვად.

თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იქვე განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელია, რამდენად წარმოადგენდა ფიზიკური წამების მუქარა, ფსიქოლოგიურ წამებას და ექცეოდა თუ არა არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის სფეროში. ქმედების შესაფასებლად აუცილებელია, საქმის ყველა გარემოების, მათ შორის განხორციელებული სისასტიკის და მისგან გამოწვეული ფსიქოლოგიური ტანჯვის ინტენსივობის შეფასება.

განხილულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ წამებასა და წამების მუქარას შორის ძირითადი განხვავებებია:

**აქტის ბუნება:** წამება გულისხმობს, რომ მსხვერპლს მიყენებული ჰქონდეს რეალური ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი. კერძოდ, ანხორციელებდეს ფიზიკურ მოქმედებას, რომლის შედეგადაც პირს განზრახ ადგება ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა.

მეორე მხრივ, წამების მუქარა არ გულისხმობს რეალურ ზიანს. სანაცვლოდ, ის ეყრდნობა დაშინებას, ქმნის შიშს პოტენციური ზიანის მიმართ, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ღრმა ფსიქოლოგიური ეფექტი.

**ფსიქოლოგიური გავლენა:** წამებას აქვს აშკარა ფიზიკური და გონებრივი შედეგები მსხვერპლზე, რაც ხშირად იწვევს ხანგრძლივ ტრამვას, ფსიქოლოგიურ აშლილობას და ფიზიკურ შეზღუდვას.

წამების მუქარამ შესაძლოა გამოიწვიოს ფსიქოლოგიური ზიანი, როგორიცაა: შფოთვა, შიში, ფსიქოლოგიური სტრესი და სხვა. წამების მოლოდინს შეიძლება ჰქონდეს დამღუპველი ეფექტი ინდივიდის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

**სამართლებრივი შედეგები:** საერთაშორისო სამართალი კატეგორიულად კრძალავს წამებას. წამების ქმედება არის სისხლის სამართლის დანაშაული თითქმის ყველა სახელმწიფოს იურისდიქციაში.

წამების მუქარა ასევე, აღიარებულია როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა, თუმცა ის ყოველთვის არ შეიძლება იყოს კლასიფიცირებული იმავე იურიდიული წონით, როგორც წამება.

#### §2.4.1 წამების მიზანი

ტერმინი „წამება“ უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება იმ არაადამიანური მოპყრობის გამოსახატად, რომელიც ხასიათდება გარკვეული მიზნით, რადგან მიზნით დაფუმნებული დელიქტია. სუბიექტური მხრივ წამებისათვის აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა. ეს მიზანი შეიძლება იყოს: ინფორმაციის აღიარების მოპოვება, პირის დაშინება, იძულება ან დასჯა, მის მიერ ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ქმედების ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის. დანაშაულის მოტივს არ აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა.

როგორც აღინიშნა, დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების მოპოვება, მაგალითად წამების შედეგად პირმა აღიაროს, რომ ნამდვილად ჩაიდინა ესა თუ ის ქმედება. ინფორმაციის მოპოვების ხერხს ძირითადად ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლები მიმართავენ, რათა გამოიძიონ ესა თუ ის დანაშაული ან მიიღონ დეტალური ინფორმაცია ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით. კვლევებით დასტურდება, რომ ხშირ შემთხვევაში წამების

დროს მიღებული ინფორმაცია არასანდოა, რადგან მსხვერპლებმა შეიძლება მიაწოდონ ცრუ ინფორმაცია ტკივილის შეჩერების მიზნით.

გარდა ამისა, დამნაშავის მიზანი შესაძლოა იყოს პირის დაშინება. წამება მოქმედებს როგორც დაშინების ინსტრუმენტი, ქმნის შიშის კლიმატს. ადამიანებს მუქარით ან წამების მიყენების შიშით, შეუძლიათ უსიტყვო მორჩილება გამოუცხადონ ნებისმიერ პირს.

დამნაშავის ერთ-ერთი მიზანი ასევე შეიძლება იყოს პირის იძულებაში შეიძლება ვიგულისხმოთ დაზარალებული პირის მიმართ მოთხოვნა, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამგვარი იძულება განსხვავდება სსკ-ის 150-ე მუხლის ქმედებისგან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან მორალური თუ ფსიქიკური ტანჯვა.<sup>94</sup>

დეპუმანიზაცია - წამება ასევე შეიძლება ემსახურებოდეს ფსიქოლოგიურ მიზანს. უკიდურესი ტკივილისა და ტანჯვის მიყენებით, მოძალადეები ართმევენ მსხვერპლს ჰუმანურობას, აქცევენ მათ ძალადობის ობიექტებად. ეს ემსახურება მოძალადის ძალაუფლებისა და კონტროლის განცდის გაძლიერებას და ამავდროულად ძირს უთხრის მსხვერპლის ღირსებას.<sup>95</sup>

სოციალური და პოლიტიკური კონტროლი - ზოგიერთ კონტექსტში წამება გამოიყენება როგორც სოციალური ან პოლიტიკური კონტროლის საშუალება. უფრო ფართო თემებში ან ჯგუფებში შიშის დანერგვით, ხელისუფლებამ შეიძლება ხელი შეუშალოს კოლექტიური ქმედებებისა და განსხვავებული აზრის არსებობას.<sup>96</sup>

დამნაშავეს შესაძლოა ამოძრავებდეს პირის დასჯის მიზანი, მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული ქმედების ჩადენის მიზანი შესაძლოა პირადი იყოს, იქნება ეს შურისძიება, ეჭვიანობა თუ სხვა. რაც შეეხება მესამე პირებს, ისინი შეიძლება იყვნენ დაზარალებულის ოჯახის წევრები: მეუღლე, შვილი, მშობელი და სხვა. მაგალითად, მამას აწამებენ მისი შვილის

<sup>94</sup> იხ.ლევეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 398.

<sup>95</sup> Rejali, D., Torture and Democracy, Princeton University Press, 2007(pp. 25-30).

<sup>96</sup> Schabas, W. A., The European Convention on Human Rights: A Commentary, Oxford University Press, 2007 (pp. 145-155).

მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, რადგან თავად შვილს არ სურს გაამხილოს თუ სად შეინახა ნაქურდალი ქონება.<sup>97</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მიზანსწრაფულობის ელემენტი აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში მოცემულ წამების განსაზღვრებაში. განსაზღვრება მიუთითებს წამებაზე, რომელიც გულისხმობს განზრახ ძლიერი ტკივილის ან ტანჯვის მიყენებას, იმ მიზნით, რომ *inter alia* მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია პირის

დასჯისა თუ დაშინებისთვის. Aksoy-ს, Dikme-ს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სასამართლომ დაადგინა, რომ არაა დამიანური მოპყრობის მიზანი აღიარების ან ინფორმაციის მოპოვება იყო მათ მიერ, სავარაუდოდ, ჩადენილ სამართალდაღვევებთან დაკავშირებით. სხვა სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც მომჩინენები დაექვემდებარნენ წამებას, სასამართლომ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო და განმარტა, რომ წამება ჩადენილი იყო დაკითხვისას ინფორმაციის, აღიარების ან ჩვენების მიღების მიზნით.

როგორც არაერთხელ აღინიშნა წამება ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე უხეში ფორმაა. ბუნებრივია წამების ქმედების ჩადენას არ აქვს საპატიებელი გარემოება, თუმცა გარკვეულწილად მისი მიზნიდან გამომდინარე ცდილობენ აღნიშნული ქმედების გამართლებას. წამება შესაძლოა ჩაიდინოს პირმა, როგორც პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ასევე, საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. განხილული მაგალითებიდან, ასევე თავად ქმედების დისპოზიციიდან იკვეთება, რომ აღნიშნული ქმედების ჩადენის ძირითადი მიზანი, პირის დაშინება, ინფორმაციის გამოძალვა, ან რაიმე ქმედებისაგან თავის შეკავებაა.

<sup>97</sup> იხ. იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 399.

### **თავი III. განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება**

საერთაშორისო სამართლის ნორმებით ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება ერთ-ერთ მძიმე დანაშაულად ითვლება. საგამოძიებო მოქმედებების წარმოებისას აკრძალულია ჩვენების მიმცემთათვის ფიზიკური ან მორალური ტანჯვის მიყენება.

გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის წინააღმდეგ, მე-11 მუხლით განსაზღვრულია დაკითხვის დროს წამების დაუშვებლობა.

მე-11 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, შეიმუშაონ ინსტრუქციები, წესები თუ მეთოდები, რომლებიც ეხება პირთა დაკითხვას, პატიმრობაში მყოფ პირებსა და პატიმრობის პირობებს, რათა ისინი არ დაექვემდებარონ წამებას დაკავებისას ან თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ დაწესებულებაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს 335-ე მუხლი, რომელიც დასჯადად აცხადებს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებას.

აღნიშნული ნორმა ორი ნაწილისაგან შედგება, პირველი ნაწილი დასჯადად აცხადებს: მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოყტუებით, შანტაჟით, ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულებას- განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის ან/და ექსპერტისა-დასკვნის მიცემისათვის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი დასჯადად აცხადებს იმავე ქმედებას ჩადენილს: ა) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ძალადობის მუქარით; ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

აქვე აღსანიშნავია, რომ მუხლის პირველი ნაწილის არსებობა სავალდებულოა სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის, კერძოდ პრევენციული ხასიათის მატარებელია მოხელეების/მასთან გათანაბრებული პირების თვითნებობის აღსაკვეთად. რაც შეეხება, მის დამამდიმებელ გარემოებას, ის გარკვეულ პრობლემებს ქმნის, როგორც მისი დოქტრინალური განმარტების, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

335-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ზოგადი მუხლის სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების სპეციალური სახეა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედებების ჩატარებისას დაუშვებელია პიროვნების მიმართ მუქარის, შანტაჟის, წამების, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისა და სხვა ხერხების გამოყენება. ჩვენება შეიძლება მიღებული იყოს მხოლოდ ძალდაუტანებლად. ჩვენების მისაღებად ფიზიკური და ფსიქოლოგიური იძულების, მოტყუების, დაპირების, შანტაჟის, დაყოლიების გამოყენება აკრძალულია. (სისხლის სამართლის კოდექსის 335, 372, 378-II მუხლები, რომლებიც კრძალავს მოწმის მიერ ჩვენების მიცემის იძულებას; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი ჩამოთვლის დაუშვებელ მტკიცებულებებს) ასეთი ხერხით მიღებული მტკიცებულება დაუშვებელია.

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ბრალდებულს არ აკისრია ჩვენების მიცემის პროცესუალური მოვალეობა. ეს მათი უფლებაა და არა ვალდებულება. ხოლო რაც შეეხება დაზარალებულს, მოწმესა და ექსპერტს, ისინი კანონის თანახმად, ვალდებულნი არიან წარსდგნენ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების წინაშე და მისცენ ჩვენება ან დასკვნა, თუმცა სსკ-ის 50-ე მუხლი ჩამოთვლის შემთხვევებს, როცა მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება.

ამ დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იძულებით მიცემულმა ჩვენებამ შეიძლება უსამართლო განაჩენის ან სხვა სასამართლო აქტის გამოტანამდე მიგვიყვანოს და უდანაშაულო პირი მიეცეს პასუხისმგებლობაში.

### §3.1 ნორმის ობიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 335-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტია ხელისუფლების ორგანოების ნორმალური საქმიანობა, რომელიც ხელყოფილია მოხელის უკანონო მოქმედებით. ამ დანაშაულის დამატებით ობიექტს წარმოადგენს ადამიანისა და მოქალაქის კანონიერი ინტერესი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება განმარტების, ჩვენებისა და დასკვნის მიცემის იძულებაში. კანონშივეა მითითებული მათი ჩადენის ხერხი-მუქარა, მოტყუება, შანტაჟი ან სხვა უკანონო ქმედება. დანაშაული დამთავრებულია ჩვენების მიმცემის მიმართ მუქარის ან სხვა უკანონო მოქმედების გამოყენების მომენტიდან, მნიშვნელობა არ აქვს მიიღო თუ არა დამნაშავემ მისთვის სასურველი ჩვენება, ამიტომ იგი ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება.

სსკ-ის 335-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად გვევლინებიან ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე, ექსპერტი, რომლებზეც ხორციელდება იძულება ჩვენების ან დასკვნის მისაღებად.

ფართო გაგებით იძულება მოიცავს ჩვენების ჩამორთმევის ყველა უკანონო მეთოდს, რაც არღვევს ჩვენების მიცემის ნებაყოფლობას, როდესაც პირის ნება დათრგუნულია, მისი ჩვენება შეიძლება აღარც იყოს ჭეშმარიტი, დამახინჯდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ადგილი ჰქონდეს ცრუ ჩვენების მიცემას და სხვა. მაგალითად, პროკურორი შანტაჟის მეთოდით ცდილობს, აიძულოს ექსპერტი, მისცეს გამოძიებისათვის სასურველი დასკვნა.

ამ დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა არა მარტო მაშინ, როდესაც პირს აიძულებენ მისცეს ცრუ ჩვენება, არამედ მაშინაც, როდესაც იძულებით ხდება მისგან ჭეშმარიტი ჩვენების მიღება. ასევე არ აქვს მნიშვნელობა, ეს ჩვენება ბრალდების მხარისთვისაა სასარგებლო, თუ დაცვის მხარისათვის, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც წესი, გამოძიების მხრიდან დაცვის მხარისათვის სასარგებლო ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებას პრაქტიკულად თითქმის არასოდეს აქვს ადგილი.<sup>98</sup>

სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ამსრულებლის სწორად განსაზღვრას, ვინაიდან სამოხელეო დანაშაულის სუბიექტი, სპეციალურია, სსკ-ის 335-ე მუხლის შემთხვევაში იგი შეიძლება იყოს მაგალითად პროკურორი ან გამომმიებელი. უწყებრივ ქვემდებარობას კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს. მოსამართლე არ არის ამ დანაშაულის ამსრულებელი. თუ მოსამართლე მიმართავს პირის დაკითხვისას იძულებას მისი

<sup>98</sup>იხ.ლევეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 2, მეექვსე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ.206.

ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (332-ე მუხლი) ან სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება (333-ე მუხლი).

ჩვენებისა და დასკვნის მიცემის იძულებაში კანონშივეა მითითებული მათი ჩადენის ხერხი- მუქარა, მოტყუება, შანტაჟი ან სხვა უკანონო ქმედება. მნიშვნელოვანია განიმარტოს და შეფასდეს დანაშაულის ჩადენის თითოეული ხერხი და მისი მოცულობა.

### §3.2. 335-ე მუხლის ჩადენის ხერხი

ქმედების ობიექტური მხარე გამოიხატება განმარტების, ჩვენების, დასკვნის მიცემის იძულებაში, დანაშაულის ჩადენის ხერხს კანონმდებელი თავად განსაზღვრავს და ეს შეიძლება იყოს მუქარა, მოტყუება, შანტაჟი, ან სხვა უკანონო ქმედება.

ფართო გაგებით იძულება მოიცავს ჩვენების ჩამორთმევის ყველა უკანონო მეთოდს, რაც არღვევს ჩვენების მიცემის ნებაყოფლობას, როდესაც პირის ნება დათრგუნულია, მისი ჩვენება შეიძლება აღარც იყოს ჭეშმარიტი, დამახინჯდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ადგილი ჰქონდეს ცრუ ჩვენების მიცემას და სხვა.

მუქარა- ფსიქიკური ძალადობის ერთ-ერთი სახეა. იგი ჩვენების მიმცემსა და ექსპერტზე ზეგავლენის საშუალებას წარმოადგენს. მისი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარა, ასევე დაშინება რომ მის მიმართ არასასურველი და არახელსაყრელი ქმედება იქნება გამოყენებული.<sup>99</sup>

იგი შეიძლება გამოიხატოს ისეთი ძალადობის გამოყენების მუქარაში, რაც არ არის საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. მაგალითად ცემის, სხვაგვარი ძალადობის ან ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების, ქონების დაზიანების მუქარა, ბრალდებულის პირობების გაუარესების მუქარა, რაც ჩადენილია ჩვენების მიცემის

<sup>99</sup> იხ. ლეველიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 2, მეცნიერებებისა და კულტურის მიმართული კურსები, 2020, გვ. 206.

იძულების ხერხად. თუ გამოყენებული მუქარა საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, სახეზეა ამ დანაშაულის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება.

მოტყუება, შანტაჟი, სხვა უკანონო ქმედება.

სხვა უკანონო მოქმედება - აქ იგულისხმება ისეთი ხერხის გამოყენება რაც კანონით არაა ნებადართული გამოძიებისას. მაგალითად ჰიპნოზის, ფსიქოტროპული ნივთიერების, ნარკოტიკული საშუალების გამოყენება სასურველი ჩვენების მისაღებად.

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის აღნიშნულ მუხლს აქვს დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი განიხილავს იგივე დანაშაულის ჩადენას სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

კონკრეტულად რა იგულისხმება სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობაში?

აღნიშნულ ძალადობაში შეიძლება იგულისხმებოდეს სიგარეტის სხეულზე დაწვა, ფრჩხილების დაძრობა, სხეულის დასერვა და სხვა მრავალი ქმედება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს, როგორც ჯანმრთელობის მოსპობასთან ასევე, სიკვდილთან. აღსანიშნავია, რომ შედეგის დადგომა არ არის სავალდებულო ქმედების დამამძიმებელი გარემოებით დასაკვალიფიცირებლად.

ძალადობის მუქარა, რაც საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, გულისხმობს ზემოთგანხილული ქმდებების ჩადენის მუქარას, რაც შესაძლოა გამოიხატოს- სიტყვიერად, ისე კონკლუდენტური ქმედებით.

ნორმის დისპოზიციიდან ნათელია, რომ დასჯად ქმედებათა ჩამონათვალში, ჩვენების (განმარტების) მიცემასთან ერთად არ გვხვდება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის იძულება, რაც საგამოძიებო პრაქტიკაში პრობლემურია. კერძოდ, ამ მუხლით დაცული სფეროს გარეთ იქნება ვითარება, როდესაც გამომძიებელი მოქალაქისგან მოითხოვს, არ მისცეს, პირობითად ბრალდებულის სასარგებლო ჩვენება. საგამოძიებო უწყებას, მოხელის ამ ტიპის უკანონო ქმედებაზე სათანადო რეაგირებისთვის, თეორიულად, გამოძიების დაწყება შეუძლია სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე

მუხლის მეორე ნაწილით, რაც ჩვენების მიცემაზე უარის თქმის იძულებას მოიცავს. მუხლი გამოსადეგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი მოხელემ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისგან მოითხოვა.

სსკ-ის 335-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დასჯადია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება. ნორმის დისპოზიცია წამების სისხლის-სამართლებრივი შემადგენლობის მსგავსია. ამ შემთხვევაში, ქმედების ობიექტური შემადგენლობა, ერთის მხრივ, წამების დეფინიციის იდენტურად, მიზნით დეტერმინირებულია. მეორე მხრივ, აქაც მიზნის მისაღწევად (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) საჭიროა ძალადობრივი მეთოდების გამოყენება – სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა.

ორივე დებულება შინაარსობრივად ერთნაირად აღწერს ქმედების შემადგენლობას, განსაზღვრავს ძალადობის მსგავს მეთოდებს და დანაშაულებრივი ქმედების იდენტურ მიზანს - პირისგან ინფორმაციის, განმარტების, ჩვენების მიღებას. მუხლებს შორის განსხვავება მხოლოდ გრამატიკულ-ენობრივი სახეცვლილებაა, რამაც ნორმათა პრაქტიკაში გამოყენების, ქმედების კვალიფიკაციისა და მოხელის პასუხისმგებაში მიცემის თვალსაზრისით, შეიძლება პრობლემები შექმნას.<sup>100</sup>

განხილული მუხლების ობიექტური შემადგენლობების მსგავსების ფონზე, ყურადღებას იქცევს ამ დანაშაულთათვის დაწესებული სანქციების მკვეთრი სხვაობა. მოხელის მიერ პირის იძულება სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით განმარტების მიცემის თაობაზე, სსკ-ის 335-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირების შემთხვევაში, 5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღვეთას ითვალისწინებს, ამავე ქმედების წამებად შეფასებისას კი, მოხელეს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 9-დან 15 წლამდე თავისუფლების აღვეთა შეფარდება.

<sup>100</sup> ბურჯანაძე გ. „არასათანადო მოპყრობის აკრძალვა საქართველოს მატერიალური და საპროცესო სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან“. ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“ N1. 2013.

ამდენად, ნორმათა გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით, ასევე საგამოძიებო და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაუქმება და მასში აღწერილი ობიექტური შემადგენლობის არსებობისას, ქმედებისთვის, ფაქტობრივი

გარემოებების მიხედვით, წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციის მიცემა. გარდა ამისა, საკანონმდებლო ხარვეზის მიზნით, განხილული დანაშაულის დისპოზიციას, ქმედებათა ჩამონათვალში უნდა დაემატოს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის იძულება.

## თავი IV. ზოგადი და სპეციალური მუხლების მნიშვნელობა სისხლის სამართალში

სისხლის სამართალი არის მრავალმხრივი სფერო, რომელიც მოიცავს წესდებებს, რეგულაციებსა და პრეცედენტებს, რომლებიც მიმართულია სოციალური წესრიგისა და ინდივიდუალური წესრიგისა და კვაზე. ამ სამართლებრივი ლანდშაფტის ფარგლებში, ზოგად და სპეციალურ მუხლებს შორის განსხვავება გადამწყვეტ როლს თამაშობს სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბებასა და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ზოგადი მუხლები ასახავს ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც გამოიყენება დანაშაულთა ფართო სპექტრისათვის. ეს დებულებები ადგენს ყოვლისმომცველ ცნებებს, რაც უზრუნველყოფს დანაშაულის შეფასების ჩარჩოს და შესაბამისი სანქციების დაწესებას.<sup>101</sup> ამ ფუძემდებლური ელემენტების გამოკვეთით, ზოგადი მუხლები ხელს უწყობს კანონის გამოყენების თანმიმდევრულობას რაც უზრუნველყოფს მსგავსი შემთხვევების სწორად განსაზრვრას.<sup>102</sup>

უფრო მეტიც, ზოგადი მუხლები ხელს უწყობენ სამართლებრივ უსაფრთხოებას კანონის ინტერპრეტაციისა და გამოყენების საერთო ჩარჩოს მიწოდებით. გარდა ამისა, ზოგადი მუხლები ხელს უწყობს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას სისხლის სამართლის სისტემაში დასაშვები ქცევის საზღვრების გამოკვეთით და ბრალის განსჯის მკაფიო სტანდარტების დაწესებით.<sup>103</sup>

მაგალითად, კოდექსი, რომელიც დანაშაულად განსაზღვრავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა მკვლელობა, ქურდობა და ყაჩაღობა, როგორც წესი, მოიცავს ზოგად დებულებებს, რომლის დისპოზიცია განსაზღვრავს იმ ელემენტებს, რომელთა მიხედვითაც ქმედება რომელიმე დანაშაულად დაკვალიფიცირდება. ეს დებულებები ემსახურება როგორც სახელმძღვანელო პრინციპებს

<sup>101</sup>ob. Smith J. "The Role of Mens Rea and Actus Reus in Criminal Liability." Journal of Criminal Law 20, no. 3. 2019, pg. 45.

<sup>102</sup>ob. Johnson D. "Interpreting General Articles in Criminal Statutes." Yale Law Journal 115, no. 2. 2018), pg.213

<sup>103</sup>ob. White E. "Transparency and Accountability in Criminal Justice." Stanford Law Review 30, no. 1. 2020, pg. 102.

პროკურორებისთვის, ადვოკატებისთვის და მოსამართლეებისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს, გადახედონ რთულ სამართლებრივ საკითხებს და უზრუნველყონ მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელება.<sup>104</sup>

საქართველოს კანონმდებლობის მაგალითზე და დისერტაციაში დასმული საკითხიდან გამომდინარე შეგვიძლია განვიხილოთ სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლისა და სსკ-ის 335-ე მუხლის საკითხი, როგორც ზოგადი და სპეციალური მუხლების ურთიერთმიმართება.

ა) სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის ამსრულებელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირია, ხოლო სსკ-ის 335-ე მუხლის მხოლოდ მოხელე/მასთან გათანაბრებული პირია;

ბ) წამების ქმედება გათვალისწინებულია წამების დისპოზიციის პირველივე ნაწილში მაშინ როცა სსკ-ის 335-ე მუხლის შემთხვევაში, მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებაშია გათვალისწინებული;

გ) წამების მიზანი შესაძლოა იყოს: ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, ასევე პირის დაშინება, იძულება ან დასჯა. სსკ-ის 335-ე მუხლის მიზანი კი, მხოლოდ პირის იძულებაა - მისცეს განმარტება, ჩვენება ან დასკვნა.

სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილი არის იძულების კერძო შემთხვევა, რადგანაც დაკონკრეტებულია, როგორც დამნაშავის ქმედება, ასევე მიზანიც. ასევე, როგორც აღინიშნა სსკ-ის 335-ე მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს სპეციალურ ამრსრულებელს, განსხვავებით სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლისა, რომლის ამსრულებელიც საერთოა. შესაბამისად ქმედების კვალიფიკისთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს სპეციალურ ნორმას.

წამება ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ („ზ“ ქვეპუნქტი). აღნიშნული ქვეპუნქტი, სხვა მრავალ ჩამონათვალთან ერთად, ითვალისწინებს დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის წამებას. ხოლო წამება

<sup>104</sup> ხ. Michael D. "Addressing Emerging Challenges: The Role of Special Articles in Criminal Law." *Criminal Law Quarterly*, 2022, pg.225.

თავის მხრივ გულისხმობს სპეციალური მიზნის არსებობას. მათ შორის მტკიცებულების ან აღიარების მოპოვებას. ამასთან სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირისათვის.<sup>105</sup>

მაგალითად: სასჯელადსრულების დეპარტამენტში მოთავსებული პირი, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან დაექვემდებარა წამებას. ისმის კითხვა რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება?

არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, რაიმე მყარი არგუმენტის მოძებნა, რომელიმე ნორმის სასარგებლოდ ძნელია. მიუხედავად ამისა, ვინაიდან სსკ-ის 335-ე მუხლი დისპოზიციაშივე გულისხმობს ქმედების ჩამდენ სუბიექტად მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს, უპრიანი იქნება ქმედების კვალიფიცირებისთვის სწორედ ამ უკანასკნელს მიენიჭოს უპირატესობა.

ამდენად, როცა მოხელე იყენებს წამებას, რათა აიმულოს მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული, მისცეს განმარტება ან ჩვენება, ან/და ექსპერტმა დასკვნა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 335-ე მუხლით.

### **სპეციალური ნორმების მნიშვნელობა**

დისპოზიცია არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია სავალდებულო ქცევის წესი.

სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიცია 4 სახისაა: მარტივი, აღწერილობითი, მითითებითი და ბლანკეტური.

მარტივი არის დისპოზიცია, რომელიც არ შეიცავს დანაშაულის ქმედების ნიშნებს, აღნიშნულის სუკეთესო ილუსტრაციაა სსკ-ის 108-ე მუხლი, განძრახ მკვლელობა. აღნიშნულ მუხლში მისი ნიშნების გადმოცემის გარეშე მარტივადაა აღწერილი, თუ რომელ დანაშაულებრივ ქმედებასთან გვაქვს საქმე.

<sup>105</sup> იხ.ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 400.

აღწერილობითი დისპოზიცია შეიცავს დანაშაულებრივი ქმედების ყველაზე არსებითი ნიშნების მეტად დეტალურ აღწერას, გარდა სახელწოდებისა მისი არსებითი ნიშნების აღწერასაც. მაგალითად სსკ შეიცავს ნორმას, რომელიც გულისხმობს ძარცვას, როგორც სხვისი მომრავი ნივთის აშკარა დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

მითითებითი დისპოზიცია აყალიბებს ქცევის წესს, სხვა მუხლების დისპოზიციაზე მითითებით. მაგალითად სსკ-ის 121-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლობლის მიმართ დაზარალებულის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ, მძიმე შეურაწყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე დაზარალებულის არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრამვამ“.<sup>106</sup> როგორც ჩანს აღნიშნული მუხლის დისპოზიციაშივე იკვეთება, სსკ-ის 117 და 118-ე მუხლებით დადგენილი ნიშნებიც.

ბლანკეტური დისპოზიცია ქმედების მრავალრიცხოვანი ნიშნების გამო ადგენს მის ზოგად აკრძალვას, ხოლო მისი შინაარსის განსაზღვრისთვის მიუთითებს სამართლის სხვა დარგის ნორმებზე.<sup>107</sup>

გარდა დისპოზიციის სახეებისა და დანაშაულის ყველა შემადგენელი ელემენტის აღწერისა სისხლის სამართალში არსებობს ზოგადი და სპეციალური ნორმები. ზოგადი და სპეციალური მუხლების ურთიერთგამიჯვნის საკითხი, ზოგიერთ შემთხვევაში, ბუნდოვანებას ქმნის ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის.

ზოგადი ნორმებისგან განსხვავებით, სპეციალური ნორმები არის მორგებული დებულებები, რომლებიც შექმნილია კონკრეტული დანაშაულების ან გარემოებების მოსაგვარებლად, რომლებიც შეიძლება ადეკვატურად არ იყოს დაფარული უფრო ფართო წესდებით. სპეციალური ნორმები ემსახურება კანონში არსებული ხარვეზების შევსებას და წარმოშობილ გამოწვევებს ან საზოგადოებრივ პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ მიზანმიმართულ ჩარევას. სპეციალური მუხლების არსებობა

<sup>106</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1995, მუხლი 121.

<sup>107</sup> იხ. გაბისონია ი., გაბელია ჯ, დარსანია თ., ხუციშვილი ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, „მერიდიანი“, 2021, გვ.83-84.

კანონმდებლებს საშუალებას აძლევს შეიმუშაონ დებულებები, რომლებიც ასახავს დანაშაულის უნიკალურ ბუნებას და დამახასიათებელ ნიშნებს.<sup>108</sup>

სპეციალური ნორმები ასევე აძლიერებს სამართლებრივ სიცხადეს და სიზუსტეს აკრძალული ქცევისა და მასთან დაკავშირებული სანქციების მკაფიო მითითებებით. ეს დებულებები ხაზს უსვამს სამართალდარღვევის ელემენტებს სპეციფიკურად, ამცირებს ბუნდოვანებას და უზრუნველყოფს კანონის გამოყენების თანმიმდევრულობას.<sup>109</sup> გარდა ამისა, სპეციალური მუხლები უფლებამოსილებას ანიჭებს სამართალდამცავ ორგანოებსა და პროკურორებს სპეციალიზებული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისამართლებრივი დევნა განახორციელონ მკაფიო დირექტივებით.<sup>110</sup>

მაგალითად, კიბერდანაშაულის მარეგულირებელი დებულებები ხშირად შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც მორგებულია ციფრული ტექნოლოგიებისა და ონლაინ აქტივობების მიერ წარმოქმნილი უნიკალური გამოწვევების გადასაჭრელად. ეს დებულებები შეიძლება მოიცავდეს აკრძალული ქცევის სპეციფიკურ დეფინიციებს, განსხვავებულ სანქციებს კიბერ დაკავშირებულ დანაშაულებებზე და ელექტრონული მტკიცებულებების დამუშავების პროცედურულ მითითებებს.<sup>111</sup>

აღნიშნულის საილუსტრაციოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან არაერთი ნორმის მოყვანაა შესაძლებელი, თუმცა საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, განვიხილავ სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნტსა და სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, რომლებიც ერთსა და იმავე ქმედებას გულისხმობენ, თუმცა განსხვავება მათ შორის დანაშაულის ამსრულებელშია, რომლის მიხედვითაც სსკ-ის 335 მუხლი გამოდის სპეციალური, რადგან დისპოზიციაშივეა მითითება, ვინ შეიძლება იყოს აღნიშნული დანაშაულის ამსრულებელი. ხოლო სსკ-ის

<sup>108</sup>ob. Harris L. "Policy Considerations in Crafting Special Articles." Harvard Law Review 40, no. 3. 2017, pg. 312.

<sup>109</sup>ob. Miller J. "Enhancing Clarity through Special Provisions." Journal of Legal Studies 15, no. 2, 2018, pg.57.

<sup>110</sup>ob. Wilson A. "Empowering Law Enforcement: Special Directives for Prosecutors." Criminal Justice Policy Review 28, no. 2. 2021, pg.182.

<sup>111</sup>ob. Roberts J. "Cybercrime: Legal and Policy Implications". Cambridge, Cambridge University Press, 2019, pg.76.

144<sup>1</sup> მუხლი ზოგადი, რადგან ამსრულებელი შესაძლოა იყოს ნებისმიერი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობას მიღწეული შერაცხადი პირი.

## თავი V. ურთიერთმომიჯნავე შემადგენლობების კვალიფიკაციის პროტოკოლი

### §5.1 არასათანადო მოპყრობა და წამება

სამართალწარმოების პროცესში, არასათანადო მოპყრობის ფაქტების ზუსტი იდენტიფიცირებას, განსაკუთრებული როლი ენიჭება ქმედების სწორი კვალიფიკირებისთვის. პრაქტიკული ხარვეზების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, როგორც არასათანადო მოპყრობის ფაქტის ზუსტი დადგენა, ასევე მისი გარჩევა ურთიერთმომიჯნავე შემადგენლობებისაგან.

ქართულ კანონმდებლობაში არსებული არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით განსაზღვრული დანაშაულებისაგან, კერძოდ:

- ძალადობით;
- იარაღის გამოყენებით;
- დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხვოფით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით;
- სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით.

მიუხედავად არსებული განსხვებებისა, მათ შორის არაერთი მსგავსების პოვნაა შესაძლებელი.

არასათანადო მოპყრობაზე საუბრისას, საჭიროა ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ნორმების მიმოხილვა და მათი შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო კანონმებლობასთან თუ სასამართლო პრაქტიკასთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არასათანადო მოპყრობისა და წამების ქმედების განსხვავების დადგენის უნივერსალური სტანდარტი არ არსებობს. თუმცა დადგენილი პრაქტიკით, ქმედებამ კონვენციის მე-3 მუხლში მოსახვედრად სისასტიკის მინიმალური სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს. ბუნებრივია სისატკის დასადგენად გასათვალისწინებელია

არაერთი გარემოების გათვალისწინება- მოპყრობის ხანგრძლივობა, ფორმა, მსხვერპლის ასაკი/სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა.<sup>112</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს განსხვავებას წამებასა და არაადამიანურ/ღირსების შემლახავ მოპყრობას შორის. მათ შორის ფუნდამენტურ სხვაობას ქმედების ჩადენის მიზანი წარმოადგენს, ასევე მიყენებული ტკივილის ინტენსივობა და ხარისხი.<sup>113</sup>

ევროპული სასამართლო ქმედებას არაადამიანურად მიიჩნევს, თუ წინასწარ განზრახული ქმედებით პირს ადგება ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა. რაც შეეხება დამამცირებელ მოპყრობას, იგულისხმება ქმედება- რომელიც არის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი. რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს შიშის, ტანჯვისა და არასრულფასოვნების განცდა.<sup>114</sup>

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული, გადამეტებული ძალის გამოყენებას არასათანადო მოპყრობად მიიჩნევს.

გაეროს კონვენციაც განასხვავებს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის სხვა აქტებს, რომელიც არ არის წამების ტოლფასი და ჩადენილია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით.<sup>115</sup>

ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმები, სსკ-ის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლები, საკანონმდებლო დეფინიციაშივე იმეორებენ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ კრიმინალიზებულ ქმედებებს.

<sup>112</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, (Assenov and others v.Bulgaria), N 90/1997/874/1086, 28 ოქტომბერი 1998.

<sup>113</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. UK), N 5310/71, 18 იანვარი 1978.

<sup>114</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. the UK), N2346/02, 29 ივლისი 2002.

<sup>115</sup>იხ.გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია, მუხ.16, პუნქ.1., (10.12.1984) <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, როდესაც საქმე ეხება არასათანადო მოპყრობასა და უფლებამოსილების გადამეტების საკითხს.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ შესაძლოა არაერთი გადაწყვეტილების მოყვანა, მათ შორის მოლდოვის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

აღნიშნული საქმეში დანმცხადებლები დაობდნენ პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება. კერძოდ, სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილით.<sup>116</sup>

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წამების პრევენციის მიზნით შექმნილი კანონმდებლობა მხოლოდ მაშინაა ეფექტური, როდესაც მიზნობრივად ხდება მისი გამოყენება.

მაგალითისთვის: ადამიანის ცემა განზრახი ქმედებაა და ის უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც წამება. მსგავს შემთხვევაში ქმედების სხვა მუხლით კვალიფიკირდეთ აზრს უკარგავს პრევენციული კანონმდებლობის შემუშავებას, რაც მიზნად ისახავს არასათანადო მოპყრობის ქმედების აღმოფხვრას.

ზემოთმოყვანილ საქმეში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, განპირობებული იყო იმ ფაქტითაც, რომ პოლიციელების მიმართ არ განხორციელებულა ჯეროვანი სამართალწარმოება. უფრო მეტიც, მათ შეეფარდათ მსუბუქი სასჯელი, რაც ბუნებრივია მომავალში, სამართალდამცავი პირების მიერ წამების ქმედების პრევენციას ვერ უზრუნველყოფს.

მსგავსი ნარატივი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სხვა საქმეშიც: საქმის გარემოებებით დადგინდა არასათანადო მოპყრობის ფაქტი. შემდგომში ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზით დადასტურდა დაზიანებების არსებობა. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა წამების ნაწილში. თუმცა იქვე დასძინა, რომ არასათანადო მოპყრობის კანონმდებლობის

<sup>116</sup>იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ვალერი და ნიკოლაი მოლდოვის წინააღმდეგ (Valeriu and Nicolae Rosca v. Moldova), N41704/02, 20 ოქტომბერი 2009.

პრევენციის შედეგი ვერ იქნება მიღწეული, თუ ქმედება თავიდავე შეფასდება როგორც წამება.<sup>117</sup>

ამდენად, განხილული შემთხვევების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავდაპირველად გამოძიება არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით უნდა დაიწყოს. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ეფექტიანი და ობიექტური გამოძიების ჩატარება. ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად კი საჭიროა კანონმდებლობა, რომელიც გამორიცხავს რაიმე სახის ბუნდოვანების არსებობას ქმედების შემადგენლობებს შორის.

ევროპული სასამართლოს მიერ ზემოთ განხილული საქმეებში ასახული პრობლემა უცხო არ არის ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვისაც. ბუნდოვანების აღმოფხვრის აუცილებლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის.

გარდა ამისა, სხვაგვარად წარმოუდგენელია სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულების შესრულება, როგორიცაა წამების ამკრძალავი სპეციალური ნორმების პრევენციული ეფექტის მიღწევა.

## § 5.2 არასათანადო მოპყრობის ამკრძალავი სპეციალური ნორმები

გაეროს და ევროპის საბჭოს კონვენციებით და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით აკრძალულია შემდეგი ქმედები - წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია მსგავსი შინაარსის ნორმები. აღნიშნული ნორმებია: 144<sup>1</sup> (წამება), 144<sup>2</sup> (წამების მუქარა) და 144<sup>3</sup> (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა),

<sup>117</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პადურეტი მოლდოვის წინააღმდეგ (Paduret v. Moldova), N33134/03, 5 იანვარი 2010.

რომლებიც მოთავსეულია ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა თავში.

თითოეული მუხლით აკრძალული ქმედების ჩადენის შემთხვევაში შედეგი საკმაოდ მძიმეა, კერძოდ: ფიზიკური, ფსიქიკური ტკივილი ან ფსიქიკური ან მორალურ ტანჯვა.

იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული წესის თანახმად აღნიშნული ნორმებისაგან, სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტია - „ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა, მისი პატივი და ღირსება, ასევე, დამატებითი დაცვის ობიექტია ადამიანთა თანასწორუფლებიანობა“.

რაც შეეხება ობიექტურ შემადგენლობას, შესაძლოა გამოხატული იყოს როგორც, მოქმედებით, ასევე უმოქმედობით, რაც მას მიაკუთნებს მატერიალურ დანაშაულებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩამონათვალს არ მიეკუთნება წამების მუქარა. რაც შეეხება დამდგარ შედეგს, როგორც უკვე აღინიშნა, ძლიერი ფიზიკური, ფსიქიკური ტკივილი ან მორალურ ტანჯვა.<sup>118</sup>

ქართულ კანონმდებლობაში დადგენილი განმარტების მიხედვით წამება არის „პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ან/და პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის“.<sup>119</sup> კანონმდებელი ცალკე დანაშაულად განიხილავს წამების მუქარას სსკ-ის 144<sup>2</sup> მუხლი, რომელსაც იგივე მიზანი აქვს რაც წამებას. რაც შეეხება თავად ქმედებას, წამების ან დასჯის მუქარა უნდა იყოს რეალური და იმწუთიერი. რაც შეეხება, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, სსკ-ის 144<sup>3</sup> მუხლი, აღნიშნული მუხლის შემადგენლობა გულისხმობს პირის დამცირებას ან იძულებას,

<sup>118</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 394-395.

<sup>119</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1995, მუხლი 144<sup>1</sup>.

არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 144<sup>3</sup> მუხლით კრიმინალიზებული არასათანადო მოპყრობის ფორმები ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის ავტორები<sup>120</sup> ყურადღებას ამახვილებენ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზზე - სსკ-ის 144<sup>3</sup> მუხლთან მიმართებით. კერძოდ, აღნიშნული მუხლი აერთიანებს არაადამიანურ და დამამცირებელი მოპყრობას, მიუხედავად თავად ქმედებებს შორის არსებული სხვაობისა.

საგულისხმოა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალის მიხედვით, კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობა გამიჯნულია და შეფასებულია როგორც არაადამიანური<sup>121</sup> ან დამამცირებელი<sup>122</sup>, თუმცა რამდენიმე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ერთობლიობაში არაადამიანურად და დამამცირებლად<sup>123</sup> მიიჩნია მსხვერპლის მიმართ მოპყრობა.<sup>124</sup> შესაბამისად, პრობლემის გადასაჭრელად სწორი იქნება სსკ-ის 144<sup>3</sup> მუხლის საკანონმდებლო დეფინიციის ჩამოყალიბება არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის ფორმულირებით, რომ პრაქტიკაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით შესაძლებელი იყოს ქმედების ზუსტი და სწორი კვალიფიკაცია.

აქვე აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 144<sup>1-ე</sup>, 144<sup>2-ე</sup> და 144<sup>3-ე</sup> მუხლების დისპოზიციაში არ არის საუბარი ქმედების ჩამდენ სუბიექტზე. რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების ჩადენა

<sup>120</sup>იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი,,წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში“. თბილისი, 2019, <https://rm.coe.int/turtore-geo/1680993fe0>

<sup>121</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გაფგნი გერმანიის წინააღმდეგ (Gäfgen v. Germany), N22978/05, 1 ივნისი 2010.

<sup>122</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ულმეკი ხორვატიის წინააღმდეგ (Ulemek v. Croatia), N21613/16, 31 ოქტომბერი 2019..

<sup>123</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (Ribitsch v. Austria), N18896/91, 4 დეკემბერი 1995.

<sup>124</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, იაროსლავ ბელუსოვი რუსეთის წინააღმდეგ (Yaroslav Belousov v. Russia), N 2653/13, 60980/14, 4 ოქტომბერი 2016.

შესაძლებელია ნებისმიერი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირის მიერ, მათ შორის მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ. თუმცა, იგივე მუხლები დამამდიმებელ გარემოებად განიხილავს ქმედების ჩადენას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, ასევე სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით.

სპეციალური სუბიექტის არსებობა  $144^1$  და  $144^3$  მუხლებში განსაზღვრავს უფრო მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საფრთხეს და შესაბამისად, საფუძველს ქმნის უფრო მკაცრი სასჯელისთვის.

მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში სახელმწიფოს წარმომადგენლის როგორც მოქმედების, ასევე, უმოქმედობის სწორი კვალიფიკაცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს გაეროს კონვენციის დებულებებზე<sup>125</sup> და წამებად მიიჩნევს სახელმწიფო მოხელის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ, წაქეზებით, თანხმობით ან ცოდნით<sup>126</sup> ჩადენილ ქმედებას. გაეროს კონვენციის თანახმად, წამება გულისხმობს მის ჩადენას სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით,<sup>127</sup> თუმცა ზიანს არ აყენებს რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტს ან ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს დებულებებს უფრო ფართო გამოყენების თაობაზე. ამდენად, კონვენციას არ ეწინააღმდეგება და დასაშვებია, რომ ეროვნული კანონმდებლობა წამების სუბიექტს უფრო ფართოდ განიხილავდეს, ვიდრე საერთაშორისო ხელშეკრულება.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ საქართველოში ვიზიტის შედეგად მომზადებულ ანგარიშში<sup>128</sup> აღნიშნულია გაეროს კონვენციით გათვალისწინებულ წამების დეფინიციასა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულ

<sup>125</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Selmouni v. France), №25803/94, 28 ივლისი 199.

<sup>126</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ილასჩუ და სხვები მოლდოვის და რუსეთის წინააღმდეგ (Iascu and others v. Moldova and Russia), № N48787/99, 8 ივლისი 2004.

<sup>127</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია (10.12.1984) <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>

<sup>128</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა სამდივნო, გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოს შესახებ, 12 მარტი 2024. <https://srdefenders.org/country-visit-report-georgia/?fbclid=IwAR3pnLBKDoIUxKVz9gJTbodgK4g0THjtXGTb7LB1bFxAzBQt1G9nB6Ho2s>

დისპოზიციას შორის გარკვეული თვალსაზრისით არსებული განსხვავება. ანგარიშის მიხედვით:

- კონვენციაში მიზნების ინკლუზიური ჩამონათვალია, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნული სია - ექსკლუზიურია;
- სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლი დეფინიციაში არ აკეთებს მითითებას ქმედების ჩამდენ სუბიექტზე;
- წამების დამამძიმებელ გარემოებად ითვლება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ან რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქმედება.

მომხსენებლის რეკომენდაცია ეხებოდა არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, რაც შესაძლებლობას მისცემს დამნაშავეს მიიღოს უფრო მსუბუქი სასჯელი საპროცესო შეთანხმების არაადეკვატური გამოყენების თუ სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის არასწორი ინტერპრეტაციის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლები პირდაპირ მითითებას არ აკეთებს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, მისი წაქეზებით, ნებართვით ან დუმილით გამოხატული თანხმობით ჩადენილი ქმედებების წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, აღნიშნული მუხლები მსგავსი ქმედებისთვის დასჯადობას მაინც ითვალისწინებს.

რაც შეეხება გაეროს კონვენციის მიხედვით გათვალისწინებულ დისკრიმინაციას, როგორც წამების მიზანს, სსკ-ის 144<sup>1</sup> და 144<sup>3</sup> მუხლები დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ჩადენას: „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოვიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, დისკრიმინაციული მოპყრობა, მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენდეს, თუ ასეთი მოპყრობა სიმძიმის ისეთ ზღვარს აღწევს, რაც

ადამიანის ღირსების შელახვას იწვევს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე გამოავლინოს შესაძლო დისკრიმინაციული განზრახვა<sup>129</sup> და რამდენადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გარკვევითაა მითითება, რომ სქესობრივი ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია წარმოადგენს მოტივს და დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას.<sup>130</sup>

საქმეში „იდენტობა და სხვები“ საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ეხება 2012 წლის 17 მაისს გამართული მარშის მოვლენებს, მომჩივანებმა მიიღეს დაზიანებები კონტრდემონსტრანტებთან შეტაკების დროს. საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ „მართალია ადგილი ჰქონდა მომჩივანების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამოყენებას, მიყენებულ ზიანს არ მიუღწევია, კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული ქმედების შემადგენლობისთვის“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვა და ვერ მოახერხა ჰომოფობიური და ძალადობრივი კონტრდემონსტრანტების ადეკვატური შეკავება, რაც უზრუნველყოფდა 2012 წლის 17 მაისის მარშის მშვიდობიანად ჩატარებას. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ხელისუფლებამ ვერ შეასრულა კონვენციის მე-11 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება მე-14 მუხლთან ერთად.

შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება დაიცვას ადამიანის უფლებები და არ დაუშვას მათი უფლებების უხეში დარღვევა. სწორედ აღნიშნული სტანდარტის დაცვისკენ მოუწოდა საქართველოს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ აღნიშნა: კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოები

<sup>129</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Identoba and others v. Georgia), N73235/12 პარ. 65, 12 მაისი 2015.

<sup>130</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ქალთა საინიციატივო ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (N73204/13, N74959/13), 16 დეკემბერი 2021.

ვალდებულნი არიან ჩაატარონ, ყოველმხრივი და ეფექტური გამოძიება, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. გამოძიების ჩატრების ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება მაშინაც თუ, მსგავსი მოპყრობა განხორციელდა კერძო ფიზიკური პირების მიერ.<sup>131</sup> იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტურად ჩატარებულად მივიჩნიოთ, აუციელებელია დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გამოვლინდეს დანაშაულის ჩადენაზე პასუხისმგებელი პირები, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში კი შეეფარდოთ შესაბამისი სასჯელი. ეს წარმოადგენს ვალდებულებას არა მისაღწევ შედეგებთან მიმართებით, არამედ საშუალებებთან მიმართებით, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>132</sup>

ამდენად, სსკ-ის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით გათვალიწინებული დანაშაულებები და მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებები სრულად და ამომწურავად მოიცავს არასათანადო მოპყრობის შესაძლებლობებს. თუმცა, კანონი არ იძლევა მკაფიო განმარტებას, რაც ხელს უშლის ზუსტი ზღვარის გავლებას აღნიშნულ მუხლებს შორის.

### გ5.3 სამოხელეო დანაშაულის ზოგადი (სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლები) ნორმები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით არასათანადო მოპყრობის ქმედება კრიმინალიზებულია სპეციალური ნორმებით, კერძოდ: სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე, 144<sup>2</sup>-ე და 144<sup>3</sup>-ე მუხლები, თუმცა ხსენებულ ქმედებათა ნაწილი გათვალისწინებულია სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებითაც, მათ შორის სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლებით ასევე, სხვა მუხლებითაც.

სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (332-ე მუხლი) და სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება (333-ე მუხლი) შეიძლება ჩადენილ

<sup>131</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თ.მ და ს.მ მოლდოვის წინააღმდეგ (T.M. and C.M. v. the Republic of Moldova), No. 26608/11, 28 იანვარი 2014.

<sup>132</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ქალთა საინიციატივო ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (N73204/13, N74959/13), 16 დეკემბერი 2021.

იქნეს მხოლოდ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სხვა ფიზიკური პირი შეიძლება თანამონაწილე (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) იყოს. ქმედება, რომ აღნიშნულ დანაშაულად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელი პირობაა მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი მოქმედებდეს სამსახურეობრივი მოვალეობის ფარგლებში ან უშუალოდ საქმიანობის პროცესში.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ობიექტური მხარისათვის აუცილებელია შემდეგი ნიშნების არსებობა: 1) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მიმართული იყოს საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ; 2) ირღვეოდეს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი; 3) არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ხოლო, რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ის მიზნით დაფუძნებული დელიქტია, შესაბამისად აუცილებელია მისი მითითება. მიზანი შეიძლება იყოს რაიმე უპირატესობის ან გამორჩენის მიღება.<sup>133</sup>

მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა სამსახურეობრივი მდგომარეობა შეიძლება გამოიყენოს, როგორც მართლზომიერ, ისე არარამართლზომიერ ფარგლებში. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მისთვის სამსახურეობრივად მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა არამართლზომიერი გამოყენება ყოველთვის საჯარო ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული.

333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში მდგომარეობს. ეს შეიძლება გამოიხატოს:

1) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც სხვა მოხელის ან სხვა უწყების უფლებამოსილებაში შედის (მაგალითად: რომელიმე სსიპ-ის დირექტორის მოადგილე იღებს გადაწყვეტილებას საკითხზე, რომელიც მისი კომპეტენციის

<sup>133</sup> იხ. ლეველიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 2, მეექვსე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ. 196.

ფარგლებს გარეთაა; ექსპერტიზის დასკვნას გასცემს თანაშემწე, რომელსაც არც უფლებამოსილება და არც ლიცენზია გააჩნია საამისოდ);

2) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების განხორციელებაში, რომელიც შესასრულებლადაც აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობა, რაც მითითებული იქნება კანონში ან სხვა ნორმატიულ აქტებში (მაგალითად, მოხელის მიერ რეზინის ტყვიების გამოყენება, როდესაც ამის შესახებ დაშვება არ არის, უკანონოდ მიღებული შემოსავლის ან ქონების კონფისკაცია, როდესაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ დამდგარა);

3) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების განხორციელება, რომელიც კანონის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ კოლეგიურად (მაგალითად, საარჩევნო კომისიის წევრის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, საარჩევნო ყუთში მოთავსებული ბიულეტენის გაუქმების თაობაზე, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის რომელიმე წევრის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით);

4) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების განხორციელება, რომლის ჩადენა არც ერთ ვითარებასა თუ გარემოებაში დასაშვები არ არის (მაგალითად, სსიპ-ის დირექტორის მიერ თანამშრომლისადმი პირადი შეურაცხყოფა არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოს გამო; ბაღის თანამშრომლის მიერ ბავშვისათვის წვნიანის თავზე დასხმა და ა.შ).

ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობას თან უნდა ერთვოდეს ისიც, რომ: დამნაშავის მოქმედება დაკავშირებული იყოს მის სამსახურეობრივ მდგომარეობასთან, მისგან გამომდინარეობდეს და ჩადენილ იქნეს მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში ან მასთან დაკავშირებით. ამგვარი კავშირის არარსებობისას ამ დანაშაულის შემადგენლობა სახეზე ვერ იქნება.<sup>134</sup>

პირის პასუხისმგებლობაში მისაცემად აუცილებელია, მოხელე სამსახურეობრივად ანგარიშვალდებული იყოს იმ პირისა თუ ორგანიზაციის მიმართ, ვის წინააღმდეგაც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სამსახურებრივი

<sup>134</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 2, მეექვსე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ. 197.

უფლებამოსილების გადამეტება, ობიექტური მხრივ ხასიათდება მოხელის აქტიური ქმედებით. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც უმოქმედობაც შეიძლება გახდეს ქმედების ჩადენის საფუძველი. მაგალითად: პენიტენციური დაწესებულების გუშაგის ე.წ ბადრაგის მერ პირის სამარტოო საკანში დატოვება, მას შემდეგ რაც სამარტოო საკანში ყოფნის დღეები ამოიწურა.

ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, რაც გამოიხატება ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების დარღვევაში. აუციელებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა მოხელის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მართლსაწინააღმდეგო შედეგში იგულისხმება მოხელის მიერ სამსახურეობივი უფლებამოსილების ფარგლების გადაცდენა.<sup>135</sup>

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად განხორციელებული ქმედებაა, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია; ხოლო უფლებამოსილების გადამეტება იწვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევას. ხსენებული დანაშაულების დამამძიმებელ გარემოებად განიხილება ქმედება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

აკადემიური შეხედულებით, ძალადობის გამოყენება შეიძლება გამოხატული იყოს დაზარალებულის, როგორც ფიზიკურ ისე ფსიქიკურ იძულებაში. ძალადობად შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულის ცემა, ფიზიკური ტკივილის მიყენება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა და სხვა. ადამიანის უფლებების არსებითი დარღვევა არამხოლოდ ფიზიკური სახით შეიძლება იყოს გამოხატული, არამედ მორალური ზიანის სახითაც.

<sup>135</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 2, მეექვსე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ. 198.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით და არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები განსხვავდება ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებით:

- „სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლებით განსაზღვრული დანაშაულის ქმედების შემადგენლობა ძალადობით, იარაღის გამოყენებით ან ღირსების შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას მოიცავს; წამება ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით გამორჩეული პირობების შექმნას ან მოპყრობას გულისხმობს, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა კი - დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას;
- წამება პირდაპირი განზრახვით ჩადენილ, მიზნით (ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, დაშინება, ან იძულება ან/და დასჯა) დეტერმინირებულ დელიქტს წარმოადგენს, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ხსენებული მიზანი არ აქვს, ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ამგვარი მიზნის გარეშე ხორციელდება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას კი - თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზანი ახასიათებს და სპეციალური ამსრულებელი - მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ჰყავს. წამების, ასევე, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სუბიექტი ზოგადია - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი პირი, ხოლო საჯარო მოხელის მიერ არასათანადო მოპყრობის ჩადენა, დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს;
- არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებიც და სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებიც განზრახ, მატერიალურ და შედეგიან დანაშაულს მიეკუთვნება, თუმცა განსხვავდება დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანით: წამება იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა - ძლიერ

ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას, ხოლო უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება - კანონიერი ინტერესის და უფლებების არსებით დარღვევას“.

ზემოხსენებული განსხვავების მიუხედავად, მოცემულ დანაშაულებს შორის აშკარა მსგავსებაც შეინიშნება, კერძოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით ფიზიკური ან მორალური ზიანის მიყენების დროს (ძალადობა, სხეულის დაზიანება და სხვა), სახეზე შესაძლოა იყოს არასათანადო მოპყრობის დანაშაულთა სპეციალური მუხლების (სსკ-ის 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლები) შემადგენლობა.

სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმები (332-ე და 333-ე მუხლები) ითვალისწინებენ მოხელის მიერ ჩადენილ იმგვარ ქმედებას, რომელიც გულისხმობს ძალადობას, იარაღის გამოყენებას ან დაზარალებულის პირადი ღირსების შელახვას, რამაც შესაძლოა ქმედების კვალიფიკაციის დროს გაურკვევლობა გამოიწვიოს, ვინაიდან არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმები ითვალისწინებენ ნებისმიერი პირის მიერ ჩადენილ დანაშაულს, რომელიც მკაფიოდ ადგენს შედეგს - ძლიერ ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას.

სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპის თანახმად, არასათანადო მოპყრობის დანაშაულთა სპეციალურ მუხლებს (სსკ-ის 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლები) სამოხელეო დანაშაულის ზოგად ნორმებთან (სსკ-ის 332, 333-ე მუხლები) კონკურენციისას უპირატესობა ენიჭება და არც დანაშაულთა ერთობლიობას ქმნის.

შესაბამისად, სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით ქმედების კვალიფიკაცია უნდა ხდებოდეს მაშინ, თუ შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედება არ რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმებით. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლებში 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup>-ე მუხლებისგან განსხვავებით, არ გულისხმობს დაზარალებულის ფიზიკური თუ მორალური ტანჯვის მიყენებას. მიზანი არც მსხვერპლის იმულებაა მისცეს ჩვენება ან აღიაროს რაიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ. რაც შეეხება ძალადობის ობიექტს არ მოიაზრებიან უფლებაშეზღუდული პირები, როგორებიც არიან სამხედრო მოსამსახურეები, პატიმრები თუ სხვა.

## გ5.4 სსკ-ის 335-ე და 378-ე მუხლების ურთიერთმიმართება

მართალია, კვლევა არ მოიცავს საერთო სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიღების იძულება) და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით) გამოტანილი განაჩენების ანალიზს, თუმცა ამ მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებს მოიცავს არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით აკრძალული ქმედებები.

სსკ-ის 335-ე მუხლის დისპოზიცია ცალსახად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> და 144<sup>2</sup> მუხლების (წამება, წამების მუქარა) შინაარსს. სსკ-ის 335-ე მუხლის პირველი ნაწილით კრიმინალიზებულია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის ან/და ექსპერტის – დასკვნის მიცემისათვის; ხოლო მე-2 ნაწილი დანაშაულად აცხადებს იმავე ქმედებას ჩადენილს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ძნელი წარმოსადგენია, სხვა რა ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს მოხელის მხრიდან ჩადენილ, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებას ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით. მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლით წამებად განიხილება, ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღების მიზნით განხორციელებული ქმედება, რაც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას.

როგორც არაერთხელ აღინიშნა 335-ე მუხლი დასჯადად აცხადებს ჩვენების მიცემის იძულებას, თუმცა საინტერესოა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის იძულება. ეს უკანასკნელი, ვერ მოექცევა სსკ-ის 335-ე მუხლის სფეროში, თუმცა შესაძლოა პირმა პასუხი აგოს ამავე კოდექსის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით. საკითხის სიმწვავე მდგომარეობს შემდეგში: მუხლი მხოლოდ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის მიმართ

იძულების შემთხვევებს ფარავს, ხოლო მის გარეთ მყოფი პირების იძულების შემთხვევაში უმოქმედოა, როგორც სსკ-ის 335-ე, ასევე სსკ-ის 378-ე მუხლები.

რაც შეეხება სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს - პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, ხსენებული ქმედების მიზანი ემთხვევა წამების (144<sup>1</sup> მუხლი) მიზანს, ობიექტური შემადგენლობა (იძულების სახით) - არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დისპოზიციას (სსკ-ის 144<sup>3</sup> მუხლი). შესაბამისად, თუ პატიმარს აიძულებენ შეცვალოს ან უარი თქვას ჩვენებაზე, მნიშვნელოვანია დადგინდეს იძულების ფორმა, მაგ. საკანში არაადამიანური ან დამამცირებელი პირობების შექმნით. შესაბამისად, შესაძლებელია ხსენებული ქმედების კვალიფიკაცია არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლით, მოპყრობის ხასიათის, ინტენსივობის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით.<sup>136</sup>

### §5.5 144<sup>1</sup> და 335 მუხლების ურთიერთმიმართება

წამება და არასათანადო მოპყრობა საქართველოს კანონმდებლობით აბსოლიტური სამართლებრივი სიკეთეა და არ ექვემდებარება ბლანკეტურ აკრძალვას.<sup>137</sup>

სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის დამამძიმებელი გარემოება („ა“ ქვეპუნქტი) ბუნდოვანებას იწვევს პრაქტიკაში, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს კონკრეტული მუხლები, რომლებიც თანაკვეთაში მოდის განსახილველი მუხლის შინაარსთან.

აღნიშნული მუხლებია: სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>136</sup> იხ.ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“, წიგნი 2, მექქსე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ. 205.

<sup>137</sup> იხ. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17 (24.08.1995), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

სსკ-ის 333-ე და 335-ე მუხლებს შორის ზღვარი საკმაოდ მცირეა, რიგი მიზეზების გათვალისწინებით, ორივე შემთხვევაში სახეზეა სპეციალური ამსრულებელი-მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობით, რაც თავის თავში შესაძლოა გულისხმობდეს ყველა იმ ქმედებას რაც 335-ე მუხლით არის განსაზღვრული. ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს 335-ე მუხლით, როდესაც მოხელე თავის უფლებამოსილებას იყენებს პირისათვის განმარტების ჩვენების ან დასკვნის მიცემის იმულებისთვის. შესაბამისად, გამოდის რომ 333-ე მუხლი არის ზოგადი, ხოლო 335-ე მუხლი სპეციალური. კოლიზიის შემთხვევაში კი უპირატესობა (სხვა ფაქტორებთან ერთად) ენიჭება სპეციალურ მუხლს.<sup>138</sup> გაცილებით რთულადაა საქმე სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში.

აღნიშნული მუხლების ურთიერთმიმართებისას მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ადგილი აქვს ნორმათა კოლიზიას თუ კონკურენციას.

რაც არ უნდა სრულყოფილად იყოს სამართლის სისტემა ან სამართლის გარკვეული დარგი მოწესრიგებული, საკმაოდ ხშირ შემთხვევებში, სამართლის ცალკეული ნორმები განსხვავებულად აწესრიგებენ ერთსა და იმავე ურთიერთობებს, ასეთ ვითარებას ეწოდება- სამართლის ნორმათა კოლიზია.

ზოგადი ნაწილის ნორმები, მართალია, საერთოა ყველა ან უმეტესი ურთიერთობებისთვის, მაგრამ ისინი ყველა შემთხვევაში ვერ ასახავენ მოსაწესრიგებელი ურთიერთობის სპეციფიკას. ამის შედეგად, შესაძლოა წარმოიშვას ნორმათა კოლიზია, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგადი ნაწილის ნორმა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს სპეციალურ ნორმას.

ნორმათა კოლიზიის შემთხვევებში უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმებს. კოლიზია შესაძლოა წარმოიშვას სპეციალურ ნორმებს შორისაც. მსგავს შემთხვევებში

<sup>138</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 403.

უპირატესობა ენიჭება „უფრო ახალ კანონს“. ე.ი უფრო გვიან მიღებულ სპეციალურ ნორმას.

ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ნორმათა კონკურენციას, რაც გამოიხატება ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთმიმართებით, მაშინ სსკ-ის 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას.

აღნიშნულ მუხლებში იკვეთება, როგორც ნორმათა კონკურენციის, ასევე კოლიზიის ნიშნებიც.

განვიხლილოთ ორივე მათგანი.

ორივე მუხლის შემხვევაში სახეზეა ქმედება, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ხანგრძლივობით საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, თუმცა ბუნდოვანება სწორედ, იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი გარემოება ნათლად არ არის 335-ე მუხლის დისპოზიციაში ნახსენები, მითითება კეთდება მხოლოდ ქმედების საფრთხეზე, განსხვავებით 144<sup>1</sup> მუხლისა სადაც აღწერილია ფაქტი, თუმცა არ კეთდება მის საფრთხეზე ხაზგასმა. რაც შეეხება მიზანს ის ორივე მუხლის შემთხვევაში შესაძლოა დაემთხვას.

დანაშაულის სუბიექტი - სსკ-ის 335-ე მუხლი სამოხელეო დანაშაულთა თავშია, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი აუცილებლად მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირია, ხოლო სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის შემთხვევაში, მისი მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - დამამძიმებელ გარემოებად გვივლენს დანაშაულის ჩამდენ სუბიექტს მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

როცა მოხელე იყენებს წამებას იმ მიზნით, რათა აიძულოს მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული, მისცეს განმარტება ან ჩვენება ან/და ექსპერტმა - დასკვნა, ქმედების კვალიფიკაციისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილს და არა წამების დამამძიმებელ გარემოებას.

ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ რა გარემოებების არსებობაა საჭირო ქმედების სსკ-ის 144<sup>1</sup>-ის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ჩასადენად?

მსგავსი შემთხვევა პრაქტიკაში შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: აქცენტი გაკეთდეს წამების ჩამდენი მოხელის მიზანზე. მაგალითისთვის: თუ მოხელის მიერ

წამების მიზანი არ არის „გამოძიების ხელშეწყობა“, რაც დაზარალებული პირის მხრიდან რაიმე ინფორმაციისა თუ აღიარების მოპოვებით გამოიხატება, ანუ ის არ არის მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში პროკურორი ან გამომძიებელი. მისი მიზანი წამების შედეგად, მხოლოდ ისეთი ინფორმაციის მიღებაა, რაც ხელს შეუწყობს მისი, როგორც ხელმძღვანელის რეპუტაციის გამყარებას ან რაიმე სამსახურეობრივ უპირატესობას მოუტანს მას.

მაგალითად: პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებს შორის მოხდა უთანხმოება, რა დროსაც ერთ-ერთმა პატიმარმა ცივი იარაღით (რაც პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე აკრძალული ნივთია) ჭრილობები მიაყენა სხვა პატიმრებს. დაწესებულების ხელმძღვანელმა აწამა პატიმარი, რათა გაეგო თუ რა გზით მოხვდა აკრძალული ნივთი პენიტენციურ დაწესებულებაში.<sup>139</sup> სწორედ მსგავსი შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლით.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი: ორი პირი დააკავეს ქურდობისათვის, დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირის მიმართ პოლიციელის მხრიდან განხორციელდა წამება, კერძოდ ანთებული სიგარეტის კეფაზე დაწვა, რათა მიეღოთ ინფორმაცია ნაქურდალი ნივთების ადგილსამყოფელის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 335 მუხლით, ვინაიდან პოლიციელი მოქმედებდა იმ მიზნით, რომ მიეღო გარკვეული ინფორმაცია, რაც მას სჭირდებოდა სისხლის სამართლის საქმის გასახსნელად.

გარდა ამისა, საკმაოდ აქტუალურია სანქციის ნაწილიც, რაც იმას გულისხმობს, რომ სსკ-ის 335 მუხლის მე-2 ნაწილის სანქცია გაცილებით მსუბუქია, ვიდრე სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი.

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საკითხის სიმწვავეს, რადგან საკანონმდებლო რეალობაში გვაქვს ორი მუხლი, რომელთა შემადგენლობაც თითქმის იდენტურია, დანაშაულის ამსრულებელი მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირია, მიზანი ორივე შემთხვევაში საერთოა, თუმცა მოხელე,

<sup>139</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023, გვ. 405.

რომელიც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა, მაგალითისთვის პროკურორი ან გამომძიებელი გაცილებით მსუბუქი სანქციით დაისჯება იმ მოხელესთან შედარებით, რომელსაც პირადი მიზანი გააჩნდა წამების ქმედების ჩადენისას.

არსებული ბუნდოვანებისა და უსამართლობის აღმოსაფრხვრელად საჭიროა, დროული და ეფექტური საკანონმდებლო ცვლილებების გატარება, რაც თავიდან აგვაცილებს მსგავსს შედეგებს.

## **§5.6 სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე და 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლების ურთიერთმიმართება**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლი, მდებარეობს სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ დანაშაულთა თავში. ქმედებისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტი პატიმრობისა და პენიტენციური დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებაა. აღნიშნული მუხლი სამი ნაწილისგან შედგება, თუმცა ყურადღება გამახვილდება მუხლის მე-2 ნაწილზე, რაც ჩვენებაზე უარის თქმას გულისხმობს. აღნიშნული ქმედების სუბიექტი სპეცილურია, კერძოდ პატიმრობაში ან პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირი.

სსკ-ის 378-ე მუხლთან მიმათებით პრობლემურია ის საკითხი, რომ ის ვრცელდება მხოლოდ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის მიმართ. დღის წესრიგში დგება საკითხი, თუ რა მუხლი უნდა გამოვიყენოთ ბრალდებული პირის იძულებისთვის, რომ არ მისცეს ჩვენება.

როგორც აღინიშნა, სსკ-ის 378 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ იმ საქმიანობასთან მიმართებით, რასაც პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები ახორციელებენ. რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტს, ის შესაძლოა იყოს ნებიერი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი.

თუმცა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით განხორციელებული ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის განმახორციელებელი პირი არა საჯარო მოხელე/პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი, არამედ სხვა პატიმარია. მსგავს შემთხვევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს პატიმრის მხრიდან ქმედების ჩადენი მოტივი. პირადი მიზანები გააჩნდა თუ მოქმედებდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის/ხელმძღვანელის მითითებით.

თუკი დადგინდა, რომ ქმედების ჩადენა მოხდა საჯარო მოხელის ან პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის/ხელმძღვანელის წაქეზებით, მაშინ გამოძიება უნდა დაიწყოს  $144^1 - 144^3$  მუხლით, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში გამოძიება წარიმართება სსკ-ის 378-ე მუხლით.

## გ5.7 ცალკეულ დანაშაულთა ურთიერთმიმართება

წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის აბსოლუტური უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, არასათანადო მოპყრობის საკანონმდებლო კრიმინალიზაციასა და შემდგომში ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას გულისხმობს. ამასთან, აუცილებელია გამოძიების სწორი კვალიფიკაციით წარმართვა, რათა არასათანადო მოპყრობის ყველა შემთხვევა სათანადოდ შეფასდეს. სწორ კვალიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების, მტკიცებულებების მოპოვებისა და საბოლოოდ, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისთვის.<sup>140</sup>

<sup>140</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი 2023, <https://ombudsman.ge/res/docs/2023081816200941495.pdf>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საჭიროა მკაფიო ზღვარი გაივლოს წამებას, არაადამიანურ და დადამცირებელ მოპყრობის დისპოზიციებს შორის. რათა სწორად განისაზღვროს თუ რა შემთხვევების დადგომის აცილებლობაა საჭირო ქმედების წამებად ან სამოხელეო დანაშაულად კვალიფიკაციისას.

**სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე მუხლის (წამება) და სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ურთიერთმიმართება**

ქმედების სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლით კვალიფიკაციისათვის საჭიროა:

- პირს ამოძრავებდეს პირდაპირი განზრახვა და მიზანი, რაც შესაძლოა იყოს ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება ან კიდევ მსხვერპლის დასჯა;
- აუცილებელია ნაწამებმა პირმა მიიღოს განსაკუთრებული სისასტიკის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა;
- წამების აქტი ძირითად შემთხვევაში ხდება ისეთ ადგილას, რაც სრულად არის მწამებლის გამგებლობის ქვეშ. მაგალითისთვის: დროებითი მოთავსების იზოლატორი, სამარტოო საკანი, პოლიციის შენობა, მანქანა და ა.შ;
- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან ძალის გამოყენება არ იყო პროპორციული, მიზანშეწონილი და ვერ იქნება ლეგიტიმური მის მიერ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური იძულების ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

ქმედების სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით კვალიფიკაციისთვის საჭიროა:

- მოპყრობა არ ხასიათდება განსაკუთრებული სისასტიკით, არ არის ინტენსიური და ხანგრძლივი, შესაბამისად ვერ აღწევს წამების/არასათანადო მოპყრობის მინიმალურ ზღვარს;
- არ არის აუცილებელი კონკრეტული მიზნის არსებობა;
- ქმედება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ბრალდებულისათვის ხელსაყრელ და კონტროლირებად ადგილას, როგორიცაა პოლიციის შენობა, პენიტენციური დაწესებულება და სხვა. თუმცა იმავე ქმედება ამავდროულად შესაძლოა სხვა ნებისმიერ ტერიტორიაზე განხორციელდეს, მათ შორის საცხოვრებელ ბინაშიც;

- ძალის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებით შესაძლოა 2 შემთხვევის არსებობა:

ა) სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს, შესაძლოა გააჩნდეს სპეციალური ნებართვა ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა გამოყენებული ძალა გაუმართლებელი, არაზომიერი და არაპროპორციული იყო;

ბ) ძალის გამოყენების ნებართვა არ გააჩნდა, შესაბამისად არალეგიტიმური იყო.

აქვე გასათვალისწინებელია, რამდენიმე გარემოება:

თუ დაზარალებული, არის ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის ეფექტური კონტროლის ქვეშ, არ შესწევს ძალა წინააღმდეგობის გასაწევად, არის დროებითი მოთავსების იზოლატორში, ან სხვაგვარად აქვს შეზღუდული მოქმედების შესაძლებლობა, არ არსებობს გარემოება რომელიც გაამართლებდა პირის მიმართ განხორციელებული ქმედების კანონიერებას უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლით. ბუნებრივია, ასეთი მოქცევა უნდა აღწევდეს სისასტიკის შესაბამის ზღვარს და არსებობდეს ის მიზანი, რაც სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის ერთ-ერთი ძირითადი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა.

ისეთი გარემოების არსებობისას, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს, კანონიერად ჰქონდა ძალის გამოყენების უფლება მინიჭებული, თუმცა მის მიერ გამოყენებული ძალა აშკარად არაპროპორციული და გაუმართლებელი იყო, მსგავს შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 333-ე მუხლის დარღვევა (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>3</sup>-ე მუხლისა (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) და სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ურთიერთმიმართება

ქმედების სსკ-ის 144<sup>3</sup> მუხლით კვალიფიკაციისთვის საჭიროა:

- დაზარალებულ პირს მიადგეს გარკვეული ხარისხის ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვა;
- ქმედება ხასიათდება პირდაპირი განზრახვით;

- დამნაშავის მიზანს, დაზარალებულის დამცირება, პატივისა და ღირსების შელახვა და არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება წარმოადგენს;
- ქმედება დამნაშავის კონტოლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ხორციელდება, როგორიცაა პოლიციის შენობა, მანქანა, დროებითი მოთავსების იზოლატორი, პენიტენციური დაწესებულება თუ სხვა;
- დამნაშავეს არ გააჩნდა ძალის გამოყენების სპეციალური ნებართვა, შესაბამისად ვერ იქნებოდა გამართლებული მოცემულ შემთხვევაში;

ქმედების სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით კვალიფიკაციისთვის საჭიროა:

- ქმედება არ გამოიჩეოდეს ინტენსივობითა და ხანგრძლივობით და ვერ აღწევდეს არასათანადო მოპყრობის მინიმალურ ზღვარს;
- პირადი განზრახვის არსებობა;
- ქმედების განსახორციელებლად გარკვეული მიზნის არსებობა არ არის აუცილებელი;
- ქმედება დამნაშავის კონტოლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ხორციელდება, როგორიცაა პოლიციის შენობა, მანქანა, დროებითი მოთავსების იზოლატორი, პენიტენციური დაწესებულება თუ სხვა;
- გამოყენებული ძალა არაპროპორციული და შეუსაბამოა ჩადენილ ქმედებასთან მიმართებით ან კონკრეტულ ეტაპზე გახდა აშკარად არაპროპორციული.

როგორც ზემოთგანხილული მაგალითებიდან ჩანს სსკ-ის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლები კოლიზიაში იმყოფებიან სსკ-ის 333-ე მუხლთან. სსკ-ის 335-ე მუხლი ერთ-ერთი ყველაზე დაურეგულირებელი და საკამათოა ვინაიდან პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად ხდება, ამ მუხლის არასწორი გამოყენება. რაზეც ზემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრეთ. თუმცა ერთგვარი შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ:

თუ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით აიძულებს პირს მისცეს ჩვენება ან ექსპერტმა დასკვნა, რაც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ასევე მისი მიზანი არ არის აღნიშნული მასალის სისხლის სამართლის საქმისათვის გამოყენება, ანუ მას გააჩნია

პირადი მიზანი, მიზანშეწონილია ქმედება დაკვალიფიცირდეს წამებად ანუ 144<sup>1</sup> მუხლით და არა 335-ე მუხლით.

რაც შეეხება 144<sup>2</sup> მუხლის გამოყენებას, მცირე სანქციის გამო ვერ უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რაც პროპორციული იქნება ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან. შესაბამისად არ არის მიზანშეწონილი ზემოთ განხილული ქმედების აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირება.

## თავი VI. წამება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

### გ6.1 მოკლე ისტორიული ექსკურსი

კაცობრიობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებასთან ერთად, ჩამოყალიბდა სამოხელეო დანაშაულებიც. დროთა განმავლობაში ასევე ჩამოყალიბდა და დაიხვეწა მისი ჩადენის ხერხი და მეთოდებიც. ძალადობაც უძველესი წიაღიდან იღებს დასაბამს და დღესაც გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ძალადობრივი ქმედებების გამოყენება განსაკუთრებით აქტიური შუა საუკუნეებში გახლდათ. ამ მხრივ გამორჩეულია კათოლიკური ეკლესიის წიაღში წარმოქმნილი ინკვიზიცია, მისი მეთოდებითა და ხერხებით. აღნიშნული მეთოდების გამოყენება დღემდე ხორციელდება, განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებებსა თუ საგამოძიებო ორგანოებში.

დროის მსვლელეობასთან ერთად ბუნებრივია დაიხვეწა, როგორც ძალადობის ფორმები, ასევე ის იარაღებიც, რომელთა გამოყენებითაც ხდებოდა წამების დანაშაულის ჩადენა. შუა საუკუნეებში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა წამება, კრიმინალების დასასჯელად ან მათ მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღიარების მიზნით. წამების გამოყენების შიში ნერგავდა კრძალვასა და ამყარებდა ძალაუფლებას სახელმწიფოში. მართლია იძულების ნებისმიერი ღონისძიების გამოყენება, მით უფრო წამების საკმაოდ ბარბაროსულად ჩანს, თუმცა შუა საუკუნეებში ესე არ ფიქრობდნენ. უფრო, მეტიც ძალიან ჩვეულებრივ ფაქტადაც ითვლებოდა. მაგალითისთვის: შუა საუკუნეების ევროპაში გამოიყენებოდა წამების შემდეგი საშუალებები: „იუდას აკვანი“<sup>141</sup>, საწამებელი „მსხალი“, „ბორბალი“<sup>142</sup>,

<sup>141</sup> ob.Smith Peter K., The History of Torture and Execution in the Middle Ages ,London: Palgrave Macmillan, 2009, pg.118-119.

<sup>142</sup> ob.Bellamy A. R., The Medieval Inquisition, London: Cambridge University Press, 2000, pg. 99-101.

„რკინის საყელური<sup>143</sup>“, ვირთხებით წამება<sup>144</sup>, ე.წ კუბო, მკერდის მარწუხები, ძვლების სამსახვრევი<sup>145</sup> და სხვა.

მართალია დღეს, აღნიშნული მოწყობილობები, როგორც წამების იარაღები აღარ გამოიყენება, თუმცა საწამებელი იარაღების ნაკლებობას არც თანამედროვეობაში ვუჩივით.

საბჭოთა საქართველოში განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ თვისუფლება შეზღუდულ პირებს, მათ შორის პოლიციის შენობებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა თუ დროებითი მოთავსების იზოლატორებში. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ძირითადი მიზანი ბრალდებულებისგან აღიარების მოპოვება იყო. ხოლო თუ რა ხერხით იქნებოდა მოპოვებული სასურველი ინფორმაცია, ცემით თუ სხვაგვარი ძალადობის გამოყენებით, მათვის მნიშვნელობას არ წარმოადგენდა. თუმცა საბჭოთა კავშირის დროსაც კი არ იყო ისეთი მძიმე მოპყრობა, როგორც მისი დაშლის შემდგომ. არაქართული ხელისუფლების გაბატონებამ გამოიწვია უკანონო დაკავებები, რასაც ძალიან ხშირ შემთხვევაში თან ახლდა წამება და უკანონო დასჯა. თუმცა წამების ფაქტების აღმოფხვრა არც ხელისუფლების შეცვლის შემდგომ მომხდარა. არასათანადო მოპყრობის ფაქტები ძირითადად განპირობებული იყო 90-იანი წლების შუა პერიოდში, რა დროსაც ციხეები საკმაოდ გადატვირთული იყო. წამებისა და არასათანადო მოპყრობის უმრავლესი შემთხვევა სამართალდამცავი ორგანოს წარმომაგენლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ხდებოდა. 90-იან წლებში განსაკუთრებით პოპილარული ელექტრო შოკის გამოყენება იყო, როგორც პოლიციის შენობებში, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორებში. 1194 წელს, საქართველომ რატიფიცირება განახორციელა, გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის. სწორედ ეს ფაქტი დაედო საფუძვლად სხვადასხვა რეფორმის გატარებას, რათა საქართველო შესულიყო ევროსაბჭოში. რეფორმის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სასამართლო კონტროლის

<sup>143</sup> იხ.Michael M. Swisher, Medieval Torture Devices and Their Use, New York: Oxford University Press, 1999, pg. 76-7

<sup>144</sup> იხ.Langbein John H., Torture and the Law of Proof: Europe and England in the Ancien Régime, Chicago: University of Chicago Press, 1977, pg. 76-80.

<sup>145</sup> იხ.Lacey Marc L. The Art of Torture: A History of the Dark Side of the Middle Ages, New York: Abrams, 2006, pg.140.

მექანიზმზე, უშუალოდ დაკავების დროს. გადაიხედა სისხლის სამართლის საპროცესზო კოდექსი, შეიქმნა სახალხო დამცველის აპარატი, სასჯელაღსრულების დაწესებულებები გადაეცა იუსტიციის სამინისტროს. სწორედ აღნიშნულმა ცვლილებებემა განაპირობა ახალი პრაქტიკის ჩამოყალიბება, როდესაც ციხის ზედამხედველები არ იბარებდნენ პატიმრებს, რომლებსაც აღენიშნებოდათ წამების კვალი.<sup>146</sup>

როგორც წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა აღნიშნა: „არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებები შეეხებოდა, როგორც დაკავებას, ასევე შემდგომ პოლიციელების მიერ დაკითხვას. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფორმები ძირითადად იყო: სილის გაწნა, მუშტის დარტყმა, ხელკეტის დარტყმა, იარაღისა და სხვა მძიმე საგნების ჩარტყმა, ფეხის ჩარტყმა და სხვა. ყველაზე სერიოზული ბრალდებები ეხებოდა ელექტრო შოკის და გაზის ნიღბის გამოყენებას, ფეხის გულებზე დარტყმას, პირქვე მდგომარეობაში ხანგრძლივ ყოფნას.“<sup>147</sup>

პენიტენციურ დაწესებულებებში სისტემური წამებისა და არასათანადო მოპყრობის ჩადენის ფაქტებმა, განსაკუთრებული სისტემური ხასიათი მიიღო 2011-2012 წლებში.

2011 წლის პირველ ექვს თვეში, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სულ 406 შეს თანაშრომლის მიმართ მიღებულ იქნას ხვადასხვა სახის დისციპლინური (თუ სხვა სახის) ზომები, აქედან სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებული იქნა 19 თანამშრომელი. უცნობია, რა მუხლებით და რა სასჯელებით იქნენ გასამართლებული აღნიშნული პირები.

მთლიანობაში, პატიმრების წამების საქმეზე დაკავებული 17 პირიდან თავდაპირველად პროკურატურამ წამების მუხლით ბრალდება წაუყენა 8 პირს, თუმცა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურში განმარტავენ, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ექვს მათგანს (ოლეგ ფაცაცია, ბორის ფარულავა, კობა ჩიკვატია, მამუკა

<sup>146</sup>იხ.კარვერი რ., ჰენდლი ლ., „მუშაობს თუ არა საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი?“. ლონდონი, ოქსფორდის ბრუკსის უნივერსიტეტი, (თ.გ.), გვ.15-16.

<sup>147</sup>იხ.წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (cPt) 2013 წლის 4-16 აპრილის ვიზიტის ანგარიში საქართველოს მთავრობას, cPt/Inf(2014)26.

ჩხიტუნიძე, ვლადიმერ ბედუკაძე, ვიქტორ ყაჭეიშვილი) ბრალი არაადამიანური მოპყრობის მუხლით შეეცვალა.<sup>148</sup>

2012 წლამდე წამებისა და არასათანადო მოპყრობის კუთხით საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობები და პატიმრებთან მიმართებაში განხორციელებული მოპყრობა. 2012 წლის შემდეგ, ხელისუფლების ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობების გამოსწორებასა და საპატიმრო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ პატიმრებისადმი განხორციელებულ მოპყრობას, რადგან სწორედ პენიტენციური დაწესებულებები მიიჩნეოდა არასათანადო მოპყრობის მთავარ ადგილად. მართალია მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა მოხერხდა პენიტენციურ სფეროში, თუმცა 2012 წლის შემდგომ არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტები გახშირდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ პირთა დაკავებისას ან სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის შემდგომ (დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე), რის გამოც შესაბამისი საჩივრით მიმართვიანობაც გაიზარდა სახალხო დამცველის აპარატში.<sup>149</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის შემდეგ შემთხვევათა რიცხვმა კვლავ იკლო, კერძოდ: 2017 წელი - 9 შემთხვევა, 2018 წელი - 26 შემთხვევა, 2019 წელი - 18 შემთხვევა, 2020 – 9 შემთხვევა, 2021 წელი - 2 შემთხვევა, 2022 წელი - 3 შემთხვევა.

წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის მიხედვით,<sup>150</sup> საქართველოში ადგილი ჰქონდა ე.წ. გასეირნების პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც პირთა ფორმალურ დაკავებამდე ხდებოდა მათი მოთავსება შესაბამის საპოლიციო ავტოსატრანსპორტო საშუალებაში და მასზე გარკვეული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა პირველი რამდენიმე საათი სასურველი

<sup>148</sup>იხ.სტატია-„წამება - სისტემური დანაშაული, თუ ცალკეული ბოროტმოქმედებები“ (30.05.2024) <https://netgazeti.ge/law/23051/>

<sup>149</sup>იხ.საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, გვ 239.

<sup>150</sup>ხ. Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, A/HRC/31/57/Add.3.

აღიარების/ინფორმაციის      მისაღებად.<sup>151</sup>      პარალელურად,      საქართველოს კანონმდებლობის გარკვეული დებულებების ინტერპრეტირება ისე ხდებოდა, რომ დაკავებული პირის მიყვანა პირველ ეტაპზე სავალდებულოდ უნდა მომხდარიყო შესაბამის საპოლიციო დაწესებულებაში, სადაც მას პირველად დაკითხავდნენ. დაკითხვის და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ ხდება დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის გადაყვანა. როგორც პრაქტიკა აჩვენებს შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ყველაზე მეტი საჩივარი სწორედ დროებითი მოთავსების დაწესებულებაში პირის მიყვანამდე ხორციელდება.

წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი, სახალხო დამცველი, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები მაქსიმალურად მოუწოდებენ საქართველოს სახელმწიფოს, რომ დაკავებული პირები მაქსიმალურად მცირე ვადაში იქნან გადაყვანილნი დროებითი მოთავსების იზოლატორებში.<sup>152</sup> იქ შექმნილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა, პირობები და რეგულაციები იძლევა იმის შესაძლებლობას რომ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტები გამოვლინდეს. პარალელურად, აუცილებელია რომ ე.წ. არაფორმალური გასეირნების პრაქტიკა აღმოიფხვრას. ამ პერიოდში პირი პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ არის, მას გადაადგილების თავისუფლება არ აქვს და პარალელურად არანაირი საპროცესო რეგულირება არ მოქმედებს. ამასთან, მნიშვნელოვანია დაცულ იქნას ბრალდებულის ყველა უფლება. „დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. ბრალდებულს უნდა გადაეცეს დაკავების ოქმი ან, თუ ის არ დაუკავებიათ, – ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი.“<sup>153</sup>

<sup>151</sup> ბოხაშვილი ბ, მშვენიერაძე გ, ყანდაშვილი ი, „ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში“, ფონდი ღია საზოგადოება, 2016.

<sup>152</sup> Ob. United Nations Human Rights Council. "Report of the Special Rapporteur on Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment on His Mission to Georgia." December 1, 2015. A/HRC/31/57/Add.3.

<sup>153</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1995, მუხლი 36.

სამოხელეო დანაშაულებმა, რომელთა ჩადენა ძირითადად ძალადობრივი გზებით ხდებოდა, მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. სწორედ ამიტომ დღის წესრიგში დადგა საერთო მიდგომებისა და პრინციპების ჩამოყალიბება. 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო – „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, სწორედ აღნიშნული დეკლარაციით მოწესრიგდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. დეკლარაციის მე-5 მუხლის მიხედვით: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ არაადამიანურ თუ ღირსების შემლახავ მოპყრობას, ან დასჯას.“<sup>154</sup> აღნიშნული აკრძალვა აბსოლიტური ხასიათისაა, რაც მის დარღვევას გამორიცხავს, მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, თუნდაც საგანგებო თუ საომარო სიტუაციების დროს. დეკლარაცია იქცა სათავედ სხვადასხვა კონვენცებისა თუ დეკლარაციების მიღების, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

1984 წლის 10 დეკემბერს მიიღეს კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური, ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ“, რომლის 1-ლი მუხლის მიხედვით: „ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორებიცაა მისგან, ან მესამე პირისგან ინფორმაციის, ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან, ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია.“<sup>155</sup>

<sup>154</sup>იხ.გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948, <https://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>

<sup>155</sup>იხ.გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია (10.12.1984) <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>

გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 43/169 რეზოლუციით  
მიიღეს „სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი“.  
აღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლით მკაფიოდ განისაზღვრა, რომ: „არც ერთ  
მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირს არ შეუძლია წამების ან სხვა სასტიკი,  
არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის პროვოცირება ან  
დაშვება; არც ერთ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირს არ შეუძლია  
მიუთითოს ზემდგომთა ბრძანებაზე ან საგანგებო მდგომარეობაზე, როგორიცაა  
საომარი ან ომის მდგომარეობა, ეროვნული უსაფრთხოების საშიშროება,  
შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი საშიშროება, შიდაპოლიტიკური  
არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა კრიტიკული ვითარება, როგორც წამების ან სხვა  
სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის  
გამამართლებელ პირობაზე.“<sup>156</sup>

პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები მიიღეს 1955  
წელს, ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა  
დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ  
იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV)  
რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით. პატიმართა მიმართ  
მოპყრობის წესების მიხედვით, კატეგორიულად აიკრძალა დისციპლინური სასჯელის  
დადების შემთხვევაშიც კი, პატიმარზე ფიზიკური ზემოქმედება ან მისი მოთავსება  
ბნელ საკანში. ასევე დასჯის სასტიკი არაადამიანური, ადამიანის ღირსების შემლახავი  
სხვა საშუალებების გამოყენება, როგორც დისციპლინური დარღვევის აღმკვეთი  
ღონისძიებები.<sup>157</sup>

ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიმოხილვამ ნათელი გახადა, რომ წამება,  
არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა დაგმობილი და აკრძალულია  
მსოფლიოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებით.

<sup>156</sup>იხ. გენერალური ანსამბლეა, მართლწესრიგის დამცველ პირთა ქცევის კოდექსი №34/169, 1979, <http://www.humanrights.ge/files/marTl wesrigis%20damcvel%20Tanamdebobis%20pirTa%20qcevis%20kodeksi.pdf>

<sup>157</sup>იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 1995, [http://www.sps.gov.ge/images/files/pdf/text\\_14182885786.pdf](http://www.sps.gov.ge/images/files/pdf/text_14182885786.pdf)

წამების აკრძალვა იმპერატიული ხასიათისაა და გამორიცხავს მის ჩადენას ნებისმიერი ხერხით, ფორმითა თუ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოც შეუერთდა. 2015 წლის 10 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი „არაადამიანური მოპყრობის და წამების ფაქტების შესახებ“. ჯგუფის საქმიანობას, წამების ფაქტებთან დაკავშირებული, კვლევების ჩატარება წარმოადგენდა. ასევე ყოფილი პატიმრების გამოკითხვა. მათი ყურადღების მიღმა არც სახალხო დამცველის ანგარიშები თუ საერთაშორისო კვლევები დარჩენილა. 2016 წელს კომიტეტმა მოამზადა დასკვნა - „წარსულში (2004-2012 წლებში) ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური დანაშაულის შესახებ“. რომლის თანახმად: გამოკითხულთა უმრავლესობის წინააღმდეგ მიმართავდენენ, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებს. პატიმრები მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებისთვისაც ციხის გარემო და თავისუფლების შეზღუდვა ისედაც დიდ სტრესთანაა დაკავშირებული. პატიმართა უმრავლესობა განიცდის „ზეწოლას,“ როგორც ციხის ადმინისტრაციის მხრიდან, ასევე ამავე ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლირებული პატიმრების მხრიდან. აღსანიშნავია, ისიც რომ ციხის ადმინისტრაციის ბრძანებით, პატიმრები სხვა პირების მიმართ არაერთი სისასტიკეს ჩადიოდნენ. კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა წამების ქმედების განხორცილების მიზეზებზე. გამოკითხულთა 56% მიხედვით, წამების მიზანი სხვადასხვა იყო, მათ შორის: დანაშაულის აღიარება, ჩვენების მიცემა, ჩვენების მიცემისგან თავის შეკავება, სხვისი დასმენა. 54% მიიჩნევს, რომ წამება მიმართული იყო ფულის, ქონების ან სხვაგვარი მატერიალური სარგებელის მისაღებად. 36% კი უბრალოდ არ აქვს მოსაზრება, თუ რატომ დაეჭვემებარნენ წამებას. 25% მიიჩნევს, რომ წამების მიზანი მათი სამოქალაქო აქტივობა გახდა.<sup>158</sup>

დასკვნისათვის, კომიტეტმა გაანალიზა 6000 საჩივარი, რომელთაგანაც 740 სწორედ პატიმართა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს ეხებოდა.

<sup>158</sup>იხ.საქართველოს პარლამენტი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა „წარსულში (2004-12 წლებში) ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური დანაშაულის შესახებ“. თბილისი, 2016, გვ 23-24

ზემოაღნიშნულმა მძიმე სტატისტიკამ აიძულა საქართველოს პარლამენტი განეხორციელებინა ქმედითი ნაბიჯები. 2016 წლის 10 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „2004–2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“. დადგენილების მე-8 მუხლის მიხედვით, გაიცა მთელი რიგი რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის მიმართ. ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით: „წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულების და სხვა ძალადობრივი დანაშაულების ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების მიზნით, შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს პარლამენტის წინაშე, აგრეთვე, შემუშავდეს ამ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის თანამშრომლობის კონცეფცია.“<sup>159</sup> ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულები და მათთან ბრძოლა სახელმწიფოს დღის წესრიგად იქცა. 2015 წელს ამ მიზნით, პროკურატურაში სპეციალიზირებული დანაყოფის შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს.

ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულის კუთხით, ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ 2016 წლის 28 ნოემბერს საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ გაკეთებული ანგარიში, რომლის მიხედვით: „ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ 2012 წლის 01 ოქტომბრამდე ჩადენილ ძალადობრივ და სამოხელეო დანაშაულებთან დაკავშირებით, 2012 წლის ნოემბრიდან 2016 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში გამოძიება დაიწყო 200-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 185 ყოფილი საჯარო მოხელის მიმართ, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირების მიმართაც. მოცემული საქმეებიდან, სასამართლოს განსახილველად გადაეცა 145 პირის საქმე, რომელთაგან 100 პირის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა

<sup>159</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, დადგენილება 2004–2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ (10.06.2016) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315583?publication=0>

გამამტყუნებელი (დაახლოებით 360-მდე დანაშაულებრივ ეპიზოდზე), ხოლო 8 პირის მიმართ - გამამართლებელი განაჩენი.<sup>160</sup>

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ძალადობრივი ქმედების დასაკვალიფირირებლად, მნიშვნელოვანია თავად ამ ტერმინის განმარტება. რა იგულისხმება ძალადობაში და რა შემთხვევაშია შესაძლებელი მისი დაკვალიფიცირება, როგორც წამება ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა თუ დასჯა.

სამოქალაქო ენციკლობედიური ლექსიკოსნის მიხედვით, ძალადობა არის - „ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოს, ზიანი მოუტანოს მას ან შეულახოს კანონით მინიჭებელი უფლებები. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება, და თავისუფლება. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია. სასტიკი მოპყრობა განსაკუთრებით საზარელია მაშინ, როდესაც მას სუსტი და დაუცველი არსებების მიმართ სჩადიან. როგორც წესი, სწორედ ასეც ხდება. ძალადობას შეიძლება ახორციელებდეს ერთი ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან მთელი საზოგადოება. მათი ძალადობრივი ქცევა შეიძლება ეხებოდეს მეორე ადამიანს ან სხვა ჯგუფს. ადამიანის უფლებების თვალსაზრისით ყოველგვარი ძალადობა დაუშვებელია. მას კრძალავს და სჯის კანონი“.<sup>161</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთმანეთისგან ასხვავებს წამებას არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან. წამება მათ შორის ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს. არაადამიანური მოპყრობა თავის თავში ნაკლებ ტანჯვას გულისხმობს. მნიშვნელოვანია, რომ გამოწვეულმა ტანჯვამ მიაღწიოს სიმძიმის მინიმალურ ზღვარს და გამოიწვიოს ფიზიკური ან ძლიერი ფსიქოლოგიური ტანჯვა. არაადამიანური მოპყრობისას მსხვერპლი განიცდის შიშს, დაუცველობას, რაც მისთვის იწვევს დამამცირებელ მოპყრობას.<sup>162</sup>

<sup>160</sup> იხ. საქართველოს მთავარი პროკურორი, ანგარიში, (22.11.2016), <https://pog.gov.ge/uploads/8ca43d9cmTavari-prokuroris-angarishi-28-11-2016.pdf>

<sup>161</sup> იხ. ბერიკაშვილი ნანა, რა არის ძალადობა? [გენდერული პრობლემატიკა საქართველოში], – ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, – თბ., – 2002.

<sup>162</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2006 წლის 11 ივლისის განჩინება საქმეზე „Jalloh v Germany”, პარ 68. (30.05.2024) <https://hudoc.echr.coe.int/#%20>

ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს: ცემაში, ძალადობაში, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში. ფიზიკური ძალადობის სახეები შესაძლოა მრავალი იყოს, მთავარია მათი გამოყენება იწვევდეს ფიზიკურ ტკივილსა თუ ტანჯვას. განხორციელებულ ქმედებას შედეგად შესაძლოა მოჰყვეს პირის, ან ამ პირის ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიკვდილი.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია გავავლოთ ზღვარი ძალადობასა და ძალადობის იძულებას შორის. მართალია ხშირ შემთხვევაში ორივე მათგანი სახეზეა, თუმცა პრაქტიკაში არსებობს მათი ცალ-ცალკე მაკვალიფიცირებელ გარემოებებად გამოყენების მაგალითებიც.

ძალადობის ერთ-ერთ ფორმას ფსიქოლოგიურ-ემოციური ძალადობა წარმოადგენს. იგი გულისხმობს ადამიანებთან ურთიერთობისას ისეთი ფორმების გამოყენებას, რომელიც იწვევს ემოციურ/ფსიქოლოგიურ ტკივილს ე.წ სულიერ ტკივილს. ამგვარი ძალადობის მეთოდებია: სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, ცინიზმი, აგრესიული საუბარი, მუქარანარევი მინიშნენებით ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედება და სხვა.

პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფიზიკურ ძალადობას თითქმის ყველა შემთხვევას თან სდევს ფსიქოლოგიური ძალადობა და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები. ხოლო, ცალკე აღებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, რომლებიც პიროვნების ღირსების დამცირებისკენ არიან მიმართული, თავის თავში ფსიქოლოგიურ ძალადობის შემადგენლობასაც აერთიანებენ და ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. თუკი საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ფსიქოლოგიური ძალადობა ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, მაშინ რატომ არის ის გაწერილი სსკ-ის ერთი და იმავე მუხლის ერთი და იმავე ნაწილის ცალ-ცალკე პუნქტებში? ამ კითხვის დასმისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მუხლის სანქციაც ორივე პუნქტისთვის საერთოა. მაშინ რა გარემოება არსებობს იმისათვის, რომ აღნიშნული შემთხვევები სსკ-ის ერთი და იმავე მუხლის სხვადასხვა პუნქტშია მოქცეული? თუ ეს სეპარაცია მისაღებია, მაშინ ისმის კიდე ერთი ლეგიტიმური კითხვა: პირის მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტი, როგორ დაკვალიფიცირდეს, ამავე მუხლის პირველი ნაწილით, თუ თუ 3-ე ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით?

რით განსხვავდება სისხლის სამართლის მიზნებისთვის იძულება ძალადობისგან? არსებობს თუ არა მყარი მოსაზრებები აღნიშნულ ზღვართან დაკავშირებით? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის.

შესაბამისად, უფრო სწორი იქნებოდა თუ ცალკე ჩანაწერი არ იქნებოდა ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ და ზოგადი ძალადობის ქვეშ იქნებოდა მოაზრებული ფსიქოლოგიური ძალადობაც.

## §6.2 სხეულის მძიმე დაზიანებები პატიმრობისას

გაეროს 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მე-11 მუხლში, რომელიც უშუალოდ დაკითხვას ეხება, განმარტებულია შემდეგი:

თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, განიხილოს ის მეთოდები და პრაქტიკა, რომელიც ეხება დაკითხვას, ასევე პატიმრობაში ყოფნის პირობებსა და მოპყრობას, რათა არ დაუშვას წამების რაიმე შემთხვევა.<sup>163</sup>

საერთაშორისო ინსტრუმენტები არ განსაზღვრავს დაზიანებების იმ სახეებს, რაც შეიძლება ჩაითვალოს „სერიოზულ დაზიანებად“. ქვეყნის შიდა ნორმები „სხეულის მძიმე დაზიანების“ შესახებ ან მსგავსი დებულებები<sup>164</sup> შესაძლოა, შეიცავდეს სახელმძღვანელო პრინციპებს იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი დაზიანება ექცევა აღნიშნულ კატეგორიაში. როგორც წესი, კიდურების დაკარგვა, მოტეხილობები, შიდა ორგანოების დაზიანება და კომპრესია/დეფორმაცია, დამწვრობა ან მძიმე ნაკვეთი ჭრილობები, რაც მოითხოვს პირის ჰოსპიტალიზაციას, მიეკუთვნება სერიოზულ დაზიანებას. დამატებით, დაზიანებები, რომელიც გამოწვეულია გაუპატიურებით და სხვა სექსუალური ძალადობით, შეიძლება, ჩაითვალოს სერიოზულ დაზიანებად.<sup>165</sup>

<sup>163</sup> იხ. United Nations, Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, adopted December 10, 1984, UN Treaty Series 1465, art. 11.

<sup>164</sup> იხ. ევროკომისია, ტრანსპორტის გენერალური დირექტორატი, „სერიოზული ტრავმები“, 2015.

<sup>165</sup> იხ. წითელი ჯვარის საერთაშორისო კომიტეტი (Icrc), 1992 წლის 3 დეკემბრის დამხმარე ჩანაწერი.

დამამძიმებელი გარემოება- ძალადობა, რაც საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის გულისხმობს ისეთი ხერხის გამოყენებას, რაც დამახასიათებელია ყაჩაღობისათვის (სსკ-ის 179-ე მ.). იგი შეიძლება გამოიხატოს ისეთ ცემაში, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ჯანმრთელობის დაზიანება; პირის თავდაყირა დაკიდებაში, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს მისი სიკვდილიც კი; ფეხის გულებში წვეტიანი საგნით ჩხვლეტაში, რასაც შესაძლოა მოჰყვეს პირის ფსიქიკური დაავადება; პოლიეთილენის პარკის თავზე ჩამოცმაში, რა დროსაც არსებობს პირის გაგუდვის საფრთხე; ცხელი საგნით დამდაღვაში, რაც იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას და სხვა. ამდენად, ამგვარმა ძალადობამ შესაძლოა, გამოიწვიოს დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიკვდილი. თუმცა ასეთი შედეგის დადგომა არაა სავალდებული ქმედების ამ დამამძომებელი გარემოებით კვლიფიკირებული საფრთხის დელიქტი). თუკი ამგვარმა ძალადობამ რეალურად გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქმედების კვალიფიკაცია არაა საჭირო დანაშაულთა ერთობლიობით. ხოლო თუკი მან გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან მსხვერპლის სიკვდილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და სსკ-ის 117-ე მუხლით ან მკვლელობის შესაბამისი მუხლით (108-ე ან 109-ე).<sup>166</sup>

1982 წელს გაერომ მიიღო სამედიცინო ეთიკის პრინციპები. აღნიშნული პრინციპების თანახმად ექიმებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ პატიმართა დაცვაში, რათა ისინი არ დაექვემდებარონ წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოჰყრობას.

ციხის თანამშრომლები ვალდებული არიან, აღმოუჩინონ პირველადი დახმარება დაშავებულ პირს და ორგანიზება გაუწიონ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევას, მაგალითად, გამოიძახონ სასწრაფო დახმარების ბრიგადა. ნებისმიერ

დროს,

მათ შორის ღამე და დასვენების დღეებში. თავისუფლების აღვეთის დაწესებულებაში

<sup>166</sup>იხ.ლევეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 2, მეექვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ.207.

უნდა იმყოფებოდეს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაში მომზადებული თანამშრომლების საჭირო რაოდენობა.<sup>167</sup>

თუკი აღმოჩენილია სერიოზული დაზიანება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი მტკიცებულების სათანადო შენახვა და დაცვა, ასევე მოწმეთა იდენტიფიცირება. სერიოზული დაზიანება შეიძლება, მიუთითებდეს არასათანადო მოპყრობაზე ან სხვა პატიმრის ან/და სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულზე და მას უნდა მოჰყვეს დაუყოვნებელი და დამოუკიდებელი გამოძიება. ისევე, როგორც პატიმრის გარდაცვალების შემთხვევებში, სერიოზული დაზიანებებიც უნდა იყოს ზედმიწევნით შესწავლილი სამომავლოდ მათი პრევენციის მიზნით.

წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ინდიკატორები ზოგიერთი ფიზიკური დაზიანება, როგორიცაა სხეულზე არსებული ლაქები და სისხლჩაქცევები, რომლებიც არაა აუცილებელი შეფასდეს როგორც „სერიოზული დაზიანება“, შეიძლება იყოს წამების ან არასათანადო მოპყრობის მაჩვენებელი და უნდა მოხდეს ამგვარი დაზიანების დოკუმენტირება და სათანადო საგამოძიებო უწყებისადმი მიმართვა, ოფიციალური საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი. მაგალითად: სისხლჩაქცევები ფეხის გულებზე ან ე.წ. „ლიანდაგი“ სისხლჩაქცევები (პარალელურად დაზოლილი სისხლჩაქცევები) შეიძლება, ქმნიდეს წამების ტიპიურ ნიშნებს, რადგანაც დაზიანება შეიძლება, მიყენებული იქნას ხელკეტით ან მსგავსი საგნით (ან „ფალანგა“). ასევე, არაფიზიკურ ნიშნებს, როგორიცაა პატიმრის ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილება ან სრული აპათია, ყურადღება უნდა მიექცეს, ქცევის ცვლილების მიზეზების დასადგენად. წამების ან არასათანადო მოპყრობის, სხვა პატიმართა მხრიდან ძალადობის ინდიკატორების დადგენის მიზნით, საჭიროა ციხის ყველა თანამშრომელი იყოს სათანადოდ გადამზადებული და მგრძნობიარე აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში. ანალოგიურად, ციხის სამედიცინო პერსონალი, მათ შორის ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები, უნდა იყვნენ სათანადოდ გადამზადებულნი ციხეში არასათანადო მოპყრობის ნიშნების აღმოჩენის საკითხებზე და სტამბოლის პროტოკოლის გამოყენებაში. ციხის სამედიცინო პერსონალს შეუძლია,

<sup>167</sup> იხ. წამების აღვეთის ევროპული კომიტეტი (cPt), “სამედიცინო დახმარების სერვისი ციხეებში”, მე-3 ზოგადი ანგარიში, 1993, cPt/Inf(93) 12.

მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და წამების შემთხვევების შემცირებაში. ნებისმიერი პირი, რომელიც გადაყვანილია ციხეში ან დროებითი მოთავსების იზოლატორში, უნდა ნახოს კვალიფიციურმა სამედიცინო სპეციალისტმა დაწესებულებაში მიღებიდან უმოკლეს ვადებში (მაგ. 24 საათის განმავლობაში).<sup>168</sup> ეს პირველადი სამედიცინო შემოწმება უნდა მოიცავდეს პირის სხეულის სრულ ვიზუალურ დათვალიერებას.<sup>169</sup> უაღრესად მნიშვნელოვანია ეს შემოწმება განხორციელდეს სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობის სრული დაცვით, არასამედიცინო პერსონალის დაუსწრებლად;<sup>170</sup> უფრო მეტიც, ქალ პატიმრებს უნდა მიეცეთ უფლება მოითხოვონ შემოწმება მდედრობითი სქესის სამედიცინო პერსონალის მიერ და თუკი ეს შეუძლებელია, მდედრობითი სქესის პირის თანდასწრებით.

დამატებით, პატიმრები რეგულარულად უნდა წარედგინონ სამედიცინო პერსონალს პატიმართა შორის ძალადობის ინციდენტების შემდეგ, კერძოდ, სექსუალური ძალადობის ნიშნების არსებობისას ან თანამშრომლების მიერ ძალის ნებისმიერი გამოყენების ჩათვლით. მსგავსი პრაქტიკა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არასათანადო მოპყრობის დროულად გამოსავლენად, არამედ მსხვერპლისთვის დროული ფსიქოლოგიური დახმარების გასაწევად. კონკრეტულად, ძალადობა გენდერული ნიშნით და სექსუალური ძალადობა იწვევს ხანგრძლივ ფსიქოლოგიურ ტრავმას, რომელიც შეიძლება, გამწვავდეს დაორსულების ან სექსუალური გზით გადამდები დაავადებებით დაინფიცირების შიშით.

სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად არასათანადო მოპყრობის ნიშნები ზედმიწევნით უნდა იყოს დოკუმენტირებული დაზიანებების დეტალური აღწერით.<sup>171</sup> სამედიცინო პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხეულის დიაგრამები, რათა მიუთითოს ნებისმიერი დაზიანების ან კვალის ზუსტი მდებარეობა სხეულზე და დამატებით, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა მოახდინოს დაზიანების

<sup>168</sup>იბ.ნელსონ მანდელას წესები, წესი 30-31; <https://pfp.ge/ნელსონ-მანდელას-წესები/>, (24.05.2024).

<sup>169</sup> იბ.ბანკოკის წესები, წესი 6.

<sup>170</sup>იბ.წმების აღკვეთის ევროპული კომიტეტი (cPt), “სამედიცინო დახმარების სერვისი ციხეებში”, მე-3 ზოგადი ანგარიში, 1993, cPt/Inf(93) 12.

<sup>171</sup>იბ.გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის ეფექტიანი გამომიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო (სტამბოლის პროტოკოლი), 2004, HR/P/PT/8/Rev.1.

ფოტოგრაფირება. პირის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება დაზიანების წარმომავლობის შესახებ უნდა მოხდეს ჩანიშვნა და სამედიცინო პერსონალმა უნდა მიუთითოს, შეესაბამება თუ არა გაკეთებული განაცხადი ობიექტური სამედიცინო გამოკვლევის შედეგებს.<sup>172</sup> კარგი პრაქტიკაა ციხის სამედიცინო პერსონალმა აწარმოოს ტრავმატული დაზიანებების სპეციალური რეესტრი, რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც ე.წ. „ტრავმების რეესტრი“, რომელიც, სხვათაშორის, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პატიმართა შორის ძალადობის გავრცელების შესახებ საერთო სურათის მისაღებად.

როგორ წესი, ევროპაშიც ციხის სამედიცინო პერსონალი ინახავს ტრავმატული დაზიანებების გარკვეულ რეესტრს. მაგალითად, 2012 წელს საბერძნეთმა შემოიღო სპეციალური რეესტრები ყველა ციხეში არასათანადო მოპყრობის ინციდენტებისა და დაზიანებების აღრიცხვისთვის.<sup>173</sup>

იმ შემთხვევაში, თუკი პერსონალი საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ დაზიანებები და სხვა ნიშნები მიუთითებს წამებაზე ან არასათანადო მოპყრობაზე, მათ ავტომატურად უნდა აცნობონ ამის შესახებ კომპეტენტურ სამედიცინო, ადმინისტრაციულ ან სასამართლო უწყებას,<sup>174</sup> მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ოფიციალური

საჩივარი ან ბრალდება. თუმცადა, ქალ პატიმრებთან მიმართებაში, რომლებიც პატიმრობაში ყოფნამდე ან ყოფნისას გახდნენ სექსუალური ან ძალადობის სხვა ფორმის მსხვერპლი, „ბანგკოკის წესები“ ადგენს ძალადობის ავტომატური შეტყობინების მოთხოვნისაგან მნიშვნელოვან საგამონაკლისო ნორმას, აღიარებს რა, რომ გარკვეული გარემოებების არსებობისას, ქალმა შეიძლება არ ისურვოს მოძალადის მიმართ სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება.<sup>175</sup>

ციხეში მომუშავე სამედიცინო პერსონალი უნდა იყოს სათანადოდ გადამზადებული იმისათვის, რომ განავითარონ საჭირო კომპეტენცია დაზიანებების

<sup>172</sup> იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის უფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო (სტამბოლის პროტოკოლი), 2004, HR/P/PT/8/Rev.1; პარ. 83:.

<sup>173</sup> იხ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (cPt) 2013 წლის 4-16 აპრილის ვიზიტის ანგარიში საბერძნეთის მთავრობას, cPt/Inf(2014)26, პარ. 126

<sup>174</sup> იხ. ნელსონ მანდელას წესები, წესი 34, <https://pfp.ge/ნელსონ-მანდელას-წესები/>, (24.05.2024).

<sup>175</sup> იხ. ბანგკოკის წესების მე-7 (1)

დოკუმენტირებისა და იდენტიფიცირებისთვის, ასევე მიიღონ ცოდნა ანგარიშგების ვალდებულებებისა და პროცედურების შესახებ.<sup>176</sup>

### §6.2.1 სულხან მოლაშვილის საქმე

**ფაქტები:** მომჩივანი, სულხან მოლაშვილი, ეროვნებით ქართველი. 2000 წლის მაისიდან 2004 წლის 4 იანვრამდე ის იკავებდა კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობას. აღნიშნული სახელმწიფო უწყება სხვადასხვა ხელისუფლების ორგანოს ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებდა. 2000 და 2003 წლებში კონტროლის პალატამ თბილისის საკრებულოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური ოპერაციების აუდიტი ჩაატარა. ორივე აუდიტი იმ დროს განხორციელდა, როდესაც იუსტიციის მინისტრი და საკრებულოს თავმჯდომარე, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. აუდიტის დასკვნების შედეგად, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხასიათის ფინანსური დარღვევები. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, გადადგა საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო მისი ადგილი მიხეილ სააკაშვილმა დაიკავა. 2004 წლის 4 იანვარს, იმავე დღეს სულხან მოლაშვილმა პარლამენტს თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა. იმავე წლის 22 აპრილს ის პროკურატურაში დაიბარეს, სადაც ნებაყოფლობით გამოცხადდა. პროკურატურაში გამოცხადებულ მოლაშვილს ბრალი წალენეს, სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში და თბილისის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს. ამავე სამმართველოში ის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში მოათავსეს. იმავე ღამეს მის საკანში 3 ან 4 სამოქალაქო ტანისამოსში ჩაცმული მამაკაცი შევიდა. მამაკაცებმა, განმცხადებელს სკამზე მჯდომს ხელბორკილები დაადეს, ხოლო ხერხემალსა და მკერდზე ანთებული სიგარეტი მიაწვეს. აღნიშნული ფაქტი დასტურდება საქმეში არსებული მასალებიდან. მომდევნო დღეს, 23 აპრილს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, მოლაშვილს პატიმრობა შეუფარდა. შემდგომში, მომჩივნის პატიმრობა რამდენჯერმე გახანგრძლივდა. 2004 წლის 11 ივნისსა და 2 ივლისს საქართველოს

<sup>176</sup>იხ.არასათანადო მოპყრობის სამედიცინო მტკიცებულებათა დოკუმენტირება და ანგარიშგება, პარ. 82

პრეზიდენტმა ორი საჯარო განცხადება გააკეთა. სატელევიზიო განცხადებებით, ის საჯაროდ დებდა ბრალს სულხან მოლაშვილს კორუფციასა და ქრთამის აღებაში. 2004 წლის 5 ივლისს მომჩივანმა ითხოვა გამოძიების დაწყება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. გამოძიება უშედეგოდ დასრულდა, უფრო მეტიც პასუხისმგებელმა პროკურორმა ბრიფინგზე ისიც კი თქვა, რომ შესაძლოა მომჩივანმა დაზიანებები თავად მიიყენა. პროკურორის მოსაზრებით, მომჩივანის მიერ სიგარეტის სხეულზე დაწვა განპირობებული იყო პროვოკაციული ქვენაგრძნობით. მოლაშვილს თითქოს სურდა სკანდალის გამოწვევა, ასევე საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა, რათა საჩივარი შეეტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

2004 წლის ივლისსში, მომჩივანის მდგომარეობა საგრძნობლად დამმიმდა. მას პენიტენციურ დაწესებულებაში აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, თუმცა დახმარების ადეკვატურობა სადაო საგანი გახდა. პატიმრობის პერიოდში არაერთხელ დასჭირდა მომჩივანს სამედიცინო მომსახურების მიღება, თუმცა ვერც ერთხელ მიიღო ადეკვატური დახმარება. ამის თაობაზე არაერთი საჩივრით მიმართეს სასამართლოს, თუმცა არც ერთი მათგანი დაკმაყოფილდა.

2004 წლის 12 ივლისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა სპეციალური კომიტეტის წევრმა, მათიაშ იორშმა, მომჩივანი ციხეში მოინახულა. აღნიშნულ ვიზიტის შემდეგ ბ-ნ იორშმა, საჯაროდ ისაუბრა, თუ რაოდენ გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა მოლაშვილი პენიტენციურ დაწესებულებაში. მოლაშვილის პატიმრობის პირობზე აღშფოთდა სახალხო დამცველიც. 2005 წლის 18 იანვარს გამოძიების დასრულების შემდგომ დაიწყო მომჩივანის საქმის არსებითი განხილვა.

2005 წლის 4 ივლისს, ფინანსურ საკითხებში დამოუკიდებელმა ექსპერტმა, მომჩივნის თავმჯდომარეობის დროინდელი კონტროლის პალატის მრავალტომიანი ფინანსური დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, დადო დასკვნა. დაკვნის მიხედვით არ იკვეთებოდა მოლაშვილის მიერ რაიმე სახის დარღვევა. საქმეს თან დაერთო ექსპერტის დასკვნა. გაიმართა რამდენიმე სასამართლო პროცესი სადაც დარღვეული იყო შეჯიბრებითობის პრინციპი. მომჩინავს არ მისცეს უფლება დაეკითხა მოწმეები, გამოეყენებინა მტკიცებულებები, მათ შორის არ მიეცა უფლება საკუთარი სურვილით არჩეული ადვოკატს წარმოედგინა. ყოველივე ზემოთაღნიშნულის მიუხედავად, 2005

წლის 7 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნმებელი განაჩენი. სულხან მოლაშვილი დამნაშავედ სცნეს სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, სხვების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი საქმიანობის დამალვასა და საზოგადოებრივი ფონდების მითვისებაში. აღსანიშნავია, რომ ფინანსური ექსპერტის დასკვნა სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო.

სასამართლომ მომჩივანს ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2005 წლის 21 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჟურნალისტთან საგაზეთო ინტერვიუში ისაუბრა სულხან მოლაშვილის საქმესთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ შეისწავლა საქმის მასალები, რომლის საფუძველზეც სამართლიანად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო საასმართლოში. სააპელაციო სასამართლომ მართალია არ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, თუმცა გარკვეულ ეპიზოდებში გადაწყვეტილება შეცვალა. მიუხედავად ნაწილობრივად გაგამართლებელი გადაწყვეტილებისა, სულხან მოლაშვილი ისევ პატიმრობაში დარჩა. საბოლოოდ მომჩივანს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

მომჩივანმა საკასაციო სარჩელით მიმართა უზენაესს სასამართლოს. სარჩელში ყურადღება გამახვილდა პროცესუალური ნორმების დარღვევაზე, რაც ორივე ინსტანციის სამართლო პროცესებში იკვეთებოდა. მითითება გაკეთდა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზეც, მსგავს საქმეებთან მიმართებით. გარდა ამისა, მცდარ დასაბუთებაზე რასაც დაეყრდნო გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

2006 წლის 18 მაისს, როდესაც მომჩინავმა გაიგო კოლეგიური შემადგენლობის წევრთა ვინაობა, მოითხოვა ორი მოსამართლის საქმიდან აცილება. მისი არც ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დასაბუთებულობის ნაკლებობის მოტივით.

2006 წლის 23 ივნისს უზენაესი სასამართლოს შესაბამისმა კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით მოლაშვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად სცნო. მხოლოდ ერთმა მოსამართლემ ისაუბრა, იმ პროცედურულ დარღვევებზე რასაც ადგილი

ჰქონდა ქვედა ინსტანციებში. ასევე მან ისიც დასძინა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ხარვეზები ჰქონდა.

აღნიშნული საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც განიხილა, თუმცა საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლით, მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტით, მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფებით, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით, მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფით, მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით და მე-14 მუხლით გათვალისწინებული მომჩივნის უფლებების დარღვევას, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ უმსჯელია ამ საკითხზე.<sup>177</sup>

სულხან მოლაშვილის საქმეში, მისი დაზიანებების შეფასებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დადგენაში, კერძოდ:

**ფიზიკური დაზიანებები:** სამედიცინო გამოკვლევებმა გამოავლინა მრავლობითი სისხლჩაქცევები, ჭრილობები, სიგარეტის ნამწვავები და ფიზიკური შეურაცხყოფის სხვა ნიშნები. ეს დაზიანებები მიუთითებდა ტკივილის მიუწების განზრახვაზე.

**ფსიქოლოგიური ზიანი:** გარდა ფიზიკური დაზიანებებისა, შეფასებამ ხაზი გაუსვა წამების ფსიქოლოგიურ ეფექტს, მათ შორის შფოთვას, დეპრესიასა და პოსტტრამპული სტრესის სიმპტომებს, რამაც ხელი შეუწყო არაადამიანური მოპყრობის დადგენას.

**სიმძიმის ზღვარი:** როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური დაზიანებების სიმძიმე აკმაყოფილებდა მე-3 მუხლით მოთხოვნილ ზღვარს, რომელიც კრძალავს არა მხოლოდ წამებას, არამედ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, რომელიც იწვევს ტანჯვას.

---

<sup>177</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სულხან მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Molashvili v. Georgia), №39726/04, 27 ოქტომბერი, 2004.

დაზიანებები არ იყო გამართლებული რაიმე კანონიერი ან აუცილებელი ზომებით, რაც აძლიერებდა მოსაზრებას, რომ მოლაშვილი დაექვემდებარა მოპყრობას რომელიც არღვევდა მის უფლებებს.

მთლიანობაში, მოლაშვილის დაზიანებები, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური- გადამწყვეტი იყო იმის დასადგენად, რომ მისი მოპყრობა წარმოადგენს მე-3 მუხლის დარღვევას.

## თავი VII. წამების ფორმები

### §7.1 ცემა, როგორც წამების და არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთი ფორმა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი სახის არაადამიანური მოპყრობა არ შეიძლება ჩაითვალოს წამებად. არასადათანადო მოპყრობის წამებად კვალიფიცირებისთვის აუცილებელია სისასტიკის მინიმალური ზღვარის დაკმაყოფილება. სისასტიკის მინიმალური ზღვარი პირობითი ცნებაა და დამოკიდებულია საქმის სხვადასხვა გარემოებებზე. აღნიშნული გარემოებები შესაძლოა იყოს: მოპყრობის ხანგრძლივობა, შედეგი, როგორც ფიზიკური ისე ფსიქოლოგიური, ასევე რიგ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მსხვერპლის ასაკს, სქესსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას.<sup>178</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა აქვს ქმედების არასათანადო მოპყრობად კვალიფიკაციის ნაწილში. რიგ შემთხვევებში, სამართალდამცველი პირის მიერ მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის ცემა, კვალიფიცირდება წამებად, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი არასათანადო მოპყრობად.

საქმეზე „აკსოი თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზურგსუკან შეკრული ხელებით დაკიდება წამებად მიიჩნია.

აკსოის ბრალად ედებოდა ტერორიზმში დახმარება. ის თურქმა სამართალდამცველებმა დააკავეს და გადაიყვანეს განყოფილებაში გამოსაკითხად. განმცადებლის თქმით, გამოკითხვის შემდეგ, მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში მას აწამებდნენ. მისი წამება რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. დაკავების მეორე დღეს, მის წინააღმდეგ გამოიყენეს ე.წ „პალესტინური დაკიდება“,

<sup>178</sup> ა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. The United Kingdom), №5310/71, 1978, სერია ა №25.

ასევე გამოიყენეს ელექტრო შოკი. წამების მომდევნო დღეებში კი მას სისტემატურად უსწორდებოდნენ ფიზიკურად.<sup>179</sup>

აქსოი ასევე დაექვემდებარა სექსუალურ ძალადობასა და ასევე გაუკეთდა იძულებითი აბორტი. მართალია აღნიშნული ქმედებები უშუალოდ სამართალდამცველი პირების მიერ არ განხორციელებულა, თუმცა მათი უშუალო ხელშეწყობით მიმდინარეობდა.

აქსოის წინააღმდეგ წამების ფაქტი გრძელდებოდა ოთხი დღის განმავლობაში. სასამართლოს განმარტებით, მსგავსი დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელია განზრახვის არსებობა. ასევე, აღნიშნული ქმედების განხორციელებას სჭირდება წინასწარი მომზადება და ფიზიკური ძალის გამოყენება. რაც შეეხება, თავად განხორციელებული ქმედების მიზანს, სავარაუდოდ მისგან აღიარების ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება იყო.

აქსოის მიმართ განხორციელებულმა წამების ფაქტმა გამოიწვია, არამარტო მწვავე ფიზიკური ტკივილი, არამედ ხანგრძლივი შრომისუნარიანობის მოშლაც. ე.წ „პალესტინური დაკიდების“: შედეგად, მას ორივე მტევანი პარალიზებული ჰქონდა, რაც საკმარისად დიდი ხანი გაგრძელდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოპყრობის სიმძიმე, სისასტიკე და ხანგრძლივობა, შესაძლებელს ხდიდა ქმედების წამებად კვალიფიკაციას.<sup>180</sup>

კიდევ ერთი საქმე, სადაც ცემა, თავისი ხანგრძლივობითა და ფორმით გაუთანაბრდა წამებას - „მასლოვა და ნალბანდოვი რუსეთის წინააღმდეგ“.<sup>181</sup> განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ისინი გამოკითხვისას დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას. აღნიშნული შემთხვევა დარჩა რეაგირების გარეშე და მასზე არ დაწყებულა გამოძიება.

<sup>179</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (Aksoy v. Turkey), No21987/93, § 14, 18 დეკემბერი 1996.

<sup>180</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თურქეთის წინააღმდეგ (Aksoy v. Turkey), No21987/93, § 64, 18 დეკემბერი 1996.

<sup>181</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, (Maslova AND Nabladov v. Russia), No 839/02, § 13,14,31, 28 იანვარი 2008

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე განმცხადებელი მოქადაკის კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ სფეროში. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას ასევე იხელმძღვანელა წარსულში მიღებული გადაწყვეტილებით.

განმცხადებლის თქმით, ორი პოლიციელი მისგან მოითხოვდა აღიარებითი ჩვენების მიცემას. უარის მიღების შემდეგ, გადავიდნენ მუქარასა და ყვირილზე, რომ მის წინააღმდეგ განხორციელდებოდა სისხლისამართლის დევნა. პოლიციელებმა მასზე ფიზიკურად იძალადეს, კერძოდ მისივე შარფი რამდენჯერმე მოარტყეს სახეში. შემდეგ ერთ-ერთმა პოლიციელმა დატოვა ოთახი, ხოლო მეორემ ჩაკეტილ ოთახში გააგრძელა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. ფიზიკური ძალადობა გამოიხატა შემდეგში: ხელებზე დაადო ბორკილები და ურტყამდა სახისა და თავის არეში. ასევე ის, პოლიციელის მხრიდან დაექვემდებარა გაუპატიურებასა და იძულებას ჰქონოდა ორალური სექსი მასთან. რამდენიმე საათის შემდეგ, განმცხადებელი ისევ გახდა სექსიუალური ძალადობის მსხვერპლი. განყოფილებაში მყოფმა პოლიციელმა შეათრია ერთ-ერთ ოთახში, სადაც სხვა ორი პოლიციელის თანდასწრებით ცდილობდა მის დახრჩობას. კერძოდ, მან გადაკეტა ოთახის კარი და მისივე შარფით ცდილობდა გაეგუდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საქმეში დადგინდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. რადგან, განმცხადებელზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობა, ცემა და გაუპატიურება აღწევდა სისასტიკის ისეთ ზღვარს, რაც ქმედების წამებად კვალიფიკაციას შესაძლებელს ხდის.

თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც გაუპატიურების მიზანი ჩვენების მიცემის იძულებაა სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა. ვინაიდან, გაუპატიურება ცალკე დანაშაულს წარმოადგენს, რომლის მიზანიც სცდება ჩვენების მიცემის იძულების მიზანს. იგივეს ვერ ვიტყვით წამების შემადგენლობაზე, სადაც სექსიუალური ძალადობა ქმედების განხორციელების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს. შესაბამისად დანაშაულის ერთობლიობით კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, როდესაც სამართალდამცველები პირის მიმართ ახორციელებენ ძალადობას, თუმცა

არა იმ მიზნით, რომ მისგან მიიღონ აღიარება ან რაიმე ინფორმაცია ამ შემთხვევაში ქმდებება კვალიფიცირდება არაადამიანურ მოპყრობად. ხოლო, როდესაც ძალადობა მიმართულია აღიარების ან ჩვენების მიღების იძულებისკენ, სხვა მრავალი ფაქტორის შეფასების შემდეგ ქმედება კვალიფიცირდება, როგორც წამება.

საქმეში „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ქმედება შეფასდა არასათანადო მოპყრობად.<sup>182</sup> განმცხადებელის თქმით, მასზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, როგორც დაკავების დროს, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორსა და პენიტენციურ დაწესებულებაში.

მიქიაშვილის დაკავება სამართალდამცველი პირების დაუმორჩილებლობის ფაქტის გამო განხორციელდა. მისი განმარტებით, დაკავებისას პოლიციელებმა ხელი ჰკრეს, რის გამოც მიწაზე დავარდა. ამის შემდეგ დაუწყეს ცემა - ურტყამდნენ ხელკეტებს თავში, მუცელსა და ზურგში. განსაკუთრებული სისასტიკით ურტყამდნენ თავის არეში. დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანამდე, მას ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება. ექიმის მიერ შედგენილ დასკვნაში მითითებულია იმ დაზიანებებზე, რაც მას აღენიშნებოდა. კერძოდ, დიდი ზომის ჰემატომა შუბლის მარცხენა ნაწილში, მარჯვენა საფეთქელზე, მარცხენა თვალთან ახლოს და ღაწვთან, სილურჯე ტუჩზე და ტუჩის დაზიანება, რამაც გამოიწვია სისხლდენა, ასევე დიდი ზომის ჩალურჯება კისერსა და მთელ ზურგზე. მიქიაშვილის განცხადებით, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ მას ფიზიკურად გაუსწორდა პენიტენციური დაწესებულების საავადმყოფოს უფროსის მოადგილე და ექვსი თანამშრომელი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას მოიშველია წარსულში მიღებული სხვა გადაწყვეტილება. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მე-3 მუხლით არ არის აკრძალული დაკავებისას ძალის გამოყენება. თუმცა, ძალა უნდა იყოს პროპორციული და

<sup>182</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (MIKIASHVILI v. GEORGIA) No 18996/06,9 იანვარი.2013.

აუცილებელი და ერთადერთი საშუალება აღნიშნულ ვითარებაში. მიქიაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებები, (დიდი ზომის ჰემატომა შუბლზე, საფეთქელზე, მარცხენა თვალთან ახლოს და ღაწვთან, სილურჯე ტუჩზე და ტუჩის დაზიანება, სისხლდენა, დიდი ზომის ჩალურჯება კისერსა და მთელ ზურგზე, თავის დაზიანება და ტვინის შერყევა) რაც მას მიადგა სამართალდამცველი პირების ზემოქმედების შედეგად სცდება პროპორციულობისა და დასაშვებობის საზღვრებს და შესაძლებელია ჩაითვალოს არასათანადო მოპყრობად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვს, რომ სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენლებს, აქვთ შესაძლებლობა დაკავებულის წინააღმდეგობა აღკვეთონ თანაზომიერი და პროპორციული ძალის გამოყენებით.

დაკავებულის ცემა, მისთვის ფიზიკური დაზიანებების მიყენება კი, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. თითოეული საქმის მასალიდან გამომდინარე, ინტენსიურობის, ძალადობის, დაზიანებების ხასიათის, მიზნის, შედეგების შეფასებით, კი შეიძლება შეფასდეს წამების ან არაადამიანური მოპყრობის ფორმად.

2019 წლის 31 მარტს, სამართალდამცველებმა დააკავეს მოქალაქე რ.მ. დაკავებისას ის დაექვემდებარა ცემას, კერძოდ თავისა და სხეულის არეში ფეხების რტყმევას. ძალადობრივი ქმედების შედეგად, მოქალაქეს ჩაემსხვრა კბილები, განუვითარდა ჰემატომა, დაუზიანდა თავის არე.

დაკავების შემდგომ, გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დეტალურად მოხდა მისი დაზიანებების აღწერა. რ.მ-მ მასზე განხორციელებული ძალადობრივი ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებს.

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტის სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციის შემთხვევაში კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან -15 წლამდე ვადით, ხოლო სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით

კვალიფიკაციის შემთხვევაში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით—5-დან- 8 წლამდე.

სრულებით დასაშვებია, რომ აღნიშნულ ქმედებაზე გამოძიების სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით დაწყება, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მიმართ ნაკლებად მკაცრი სასჯელის გამოყენებისკენ იყოს მიმართული.

სამართალდამცველთა მხრიდან დაკავების ან/და გამოკითხვა/დაკითხვის დროს მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების დაკვალიფიცირება უფლებამოსილების გადამეტების მუხლით არასწორია. ამასთან, საყურადღებოა თუნდაც ამ მუხლით დაწყებული გამოძიებების მიმდინარეობის ხარისხი, კერძოდ, გამოძიების ხანგრძლივობა, დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება.

შესაბამისად, პრობლემას ქმნის ზუსტად ის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დასაშვებია დასაკავებელი პირის ქცევის თანაზომიერი და პროპორციული ძალის გამოყენება. სწორედ აღნიშნულის გამოყენება ხდება ბოროტად შესაბამისი პირების მიერ. ამიტომ, სწორი იქნება თუ ზუსტად განისაზღვრება თუ რა შემთხვევაში აქვთ შესაბამის პირებს ძალის გამოყენების შესაძლებლობა და რა ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრაქტიკაში იქმნება პრობლემა.

## §7.2 ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც წამება

წამება თავის არსში გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკური ზემოქმედების ფორმებს, რასაც თან სდევს ძლიერი ტკივილი, არამედ ისეთი ქმედებების განხორციელებასაც, რასაც თან სდევს მძიმე ფსიქოლოგიური ტანჯვა. ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც ხშირად შეუმჩნეველი ხდება წამების ქმედებასთან მიმართებით, წარმოადგენს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან დარღვევას.

მძიმე ფსიქოლოგიურ ტანჯვად, შესაძლოა ჩაითვალოს პირის მიმართ განხორციელებული ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, ოჯახის წევრებისა და ნათესავების დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის მუქარა, ხანგრძლივი დროით დაკავება და სხვა.<sup>183</sup> ფიზიკური წამებისგან განსხვავებით, რომელიც ტოვებს თვალსაჩინო ნაწიბურებს, ფსიქოლოგიური წამება ხშირად მზაკვრულად მოქმედებს, რაც იწვევს ფსიქიკური ჯანმრთელობის ღრმა და ხანგრძლივ პრობლემებს, როგორიცაა შფოთვა, დეპრესია და პოსტტრამვული სტრესული აშლილობა. როგორც სტამბოლის ოქმშია აღნიშნული, ფსიქოლოგიურ მეთოდებს შეუძლიათ ფიზიკური წამების ტოლფასი მძიმე ფსიქიკური ტანჯვის გამოწვევა.<sup>184</sup>

ფსიქოლოგიური წამების მსხვერპლები ხშირად აწყდებიან გრძელვადიან მძიმე შედეგებს, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულფასოვან ფუნქციონირების უნარს. ფსიქოლოგიურმა ძალადობამ შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემები, მათ შორის დეპრესია და შფოთვა.

გარდა ამისა, ფსიქოლოგიურმა წამებამ შეიძლება შეარყიოს მსხვერპლის თვითშეფასება. ასეთ შეურცხყოფასთან ასოცირებულმა დამცირებამ და დეგრადაციამ შეიძლება გამოიწვიოს სირცხვილისა და იზოლაციის გრძნობა, რაც ართულებს პირის მდგომარეობას. ძალადობის ამ ფორმამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ ინდივიდებზე, არამედ მათ ოჯახებზეც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, როგორც წამების ერთ-ერთ ფორმაზე.

საქმეში „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მისი დაკავება ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით განხორციელდა. დაკავების მომენტიდანვე სამართალდამცველების მხრიდან დაექვემდებარა

<sup>183</sup> იბ. ინტერაიტსის სახელმძღვანელო იურისტებისთვის „წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-3 მუხლი)“, 2006.

<sup>184</sup> იბ. Istanbul Protocol: Manual on the Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, United Nations, 2004, pg. 4-5.

არასათანადო მოპყრობას. სელმუნის მტკიცებით, მის მიმართ განხორციელდა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობა.<sup>185</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: ქმედება, რომელიც მისი შინაარსით იწვევს, პირის დამცირებას, დაშინებას, არასრულფასოვნების განცდას, უნდა შეფასდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად და მოექცეს კონვენციის მე-3-ე მუხლით დაცული უფლების სფეროში.

ფსიქოლოგიური ძალადობის შეფასება საკმაოდ რთულია, თუმცა, სტამბოლის პროტოკოლი<sup>186</sup> იძლევა განმარტებას, თუ ძირითადად რა ფაქტორებზე ხაზგასმით ხდება, მსგავსი ქმედების იდენტიფიცირება. პროტოკოლის მიხედვით, ფსიქოლოგიური ძალადობის გავრცელებულ შედეგებს განეკუთვნება თავის ტკივილი, ხერხემლის ტკივილი, სასქესო ფუნქციის მოშლა, ძვალ-სახსროვანი სისტემის ტკივილი, ასევე, დეპრესია, შფოთვა, უძილობა, კოშმარები, მეხსიერების დაქვეითება და სხვა.

სამართალდამცელი უწყებების წარმომადგენელთა მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობა, საკმაოდ სერიოზული თანმდევი შედეგებით ხასიათდება. პოლიციელთა მხრიდან საკმაოდ ხშირია დაკავებული პირის მიმართ იძულების ან მუქარის არაერთი ღონისძიების გამოყენება, რაც მიმართულია ან უშუალოდ დაკავებული პირის წინააღმდეგ ან მისი ოჯახის წევრის მისამართით. ფსიქოლოგიური ძალადობა წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანის ფსქიკაზე და ბუნებრივია მსგავსი შემთხვევები ექცევა კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ სფეროში.

ფსიქოლოგიური ძალადობა, კვლევის ფარგლებში გამოვლენილი წამების/ არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთი ფორმაა. შესწავლილი საქმეების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა ძირითადად მუქარისა და შანტაჟის მეშვეობით ხორციელდება. მოსალოდნელი სასჯელის შიში, პენიტენციურ დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობა, ჯანმრთელობის დაზიანება,

<sup>185</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Selmouni v. France*, 28 ივლისი 1999, №25803/94, §101, ECHR 1999-V.

<sup>186</sup> იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო (სტამბოლის პროტოკოლი), 2004, HR/P/PT/8/Rev.1

ოჯახის წევრების დაზიანება და სხვა, ყველაზე ეფექტური სინდრომია დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის დასამორჩილებლად.

### §7.2.1 ლუკა სირაძის საქმე

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა, 2019 წლის 12 დეკემბერს, გამოძიება დაიყრი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით (რაც ჩვენების მიცემის იძულებას გულისხმობს). ბრალდებულ მ.ჩ-ს გენერალურმა პროკურატურამ ბრალი წარუდგინა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით (ჩვენების მიცემის იძულება). წარდგენილი ბრალდების მიხედვით, 2019 წლის 10 დეკემბერს, გამომძიებელმა მ.ჩ-მ „მწვანე სკოლის“ კედლების მოხატვის ფაქტზე, გამოსაკითხად დაიბარა 15 წლის ლ.ს და მისი კანონიერი წარმომადგენელი. გამოკითხვის პროცესში, მ.ჩ-მ დაარღვია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი პრინციპები. კერძოდ, მან არასრულწლოვანს შეუქმნა დამთრგუნველი გარემო და მეტიც დაემუქრა ძმისთვის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში პრობლემების შექმნით. ასევე მოსთხოვა დანაშაულის აღიარება და საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენების მიცემა. გამომძიებლის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ, მან გამოკითხვა განაგრძო ამავე განყოფილებაში მოწმის სახით დაბარებულ სხვა პირებთან ერთად. მათ შორის არასრულწლოვნებთან. გამომძიებლის მიზანი ლ.ს-სთვის წნების შექმნა და აღიარებითი ჩვენების მოპოვება გახლდათ.

გამოძიების შედეგად გამოიკვეთა გარემოებები, რომლებიც მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პირველი განყოფილების სხვა თანამშრომლების მხრიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა და პოლიციის ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევაზე.

კერძოდ, პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც უშუალოდ გამოკითხვას არ აწარმოებდა დამამცირებელი სიტყვებით, ხმამაღალი ტონით მიმართა გამოსაკითხს პირს. ხოლო თავად განყოფილების მენეჯერმა, ვისი უშუალო

ფუქნცია მოვალეობა განყოფილებაში შესაფერისი გარემოს შექმნა და კანონით დადგენილი სტანდარტების დაცვა გახლდათ, არ უზრუნველყო ყოველივე ზემოაღნიშნულის აღვეთა. უფრო მეტიც, ის კანონიერი წარმომადგენლის დასწრების გარეშე გაესაუბრა არასრულწლოვანს.

შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, საქმის სასამართლოში წარმართვის პარალელურად, მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, პოლიციის ზემოაღნიშნული მუშაკებისთვის შესაძლო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მ.ჩ-ს მიესაჯა თავისუფლების აღვეთა ვადით 3 წლამდე. ასევე დამატებითი სასჯელის სახით, 2 წლის ვადით ჩამოერთვა სამართალდამცავ ორგანოებში საქმიანობის უფლება.

გამომძიებელს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის პირველი ნაწილით ჰქონდა წარდგენილი, რომელიც მოხელის მიერ განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის მიზნით მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულებას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღვეთით ვადით 2-დან-5 წლამდე, ასევე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით- 5 წლამდე.

შედეგად, მსჯავრდებული პირობით ვადამდე გათავისუფლდა, რაც უსამართლობის განცდას იწვევს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სს კოდექსში არსებობს მუხლი, (144<sup>1</sup>), რომლიც გაცილებით მკაცრად სჯის მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს აღნიშნული ქმედების ჩადენისთვის.

აღნიშნული საქმის ანალიზის საფუძველზე, კიდევ უფრო ნათელია თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკაში სსკ 144<sup>1</sup> და სსკ 335-ე მუხლის ურთიერთმიმართების საკითხს. როგორც არაერთხელ აღინიშნა, თუ საქმე გვაქვს ზოგადი და სპეციალური მუხლების ურთიერთმიმართებასთან, განხილულ საქმეზე კვალიფიკაცია სწორია. თუ აღნიშნული ნორმები ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფება, ვიღებთ უსამართლობის განცდას. ვინაიდან, ერთგვარ „კანონიერ გამოსავალთან“ გვაქვს საქმე, როდესაც საქმე ეხება მოხელის/მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩანელ ქმედებას.

## თავიVIII. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

### §8.1 საქმეები, რომლებშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა წამებას

როგორც არაერთხელ აღინიშნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ აქვს დადგენილი კონკრეტული შემთხევევები, რა დროსაც ქმედება ავტომატურად დაკვალიფიცირდება როგორც წამება. ქვემოთ განხილული მაგალითები მეტნაკლებად წარმოაჩენს, თუ სისასტიკის რა მინიმალური ზღვარი უნდა დააკმაყოფილოს ქმედებამ, რათა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შეფასდეს, როგორც წამება.

#### 1. Aksoy v. Turkey

ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა წამებას. განმცხადებლის მიმართ გამოყენებული იქნა ე.წ „პალესტინური დაკიდების“ მეთოდი. რაც გამოიხატა შემდეგში: დზარალებული გააშიშვლეს და ზურგს უკან შეკრული ხელებით, მკლავებით დაკიდეს. ქმედება რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. შედეგად, დაზარალებულს ორივე მკლავი პარალიზებული ჰქონდა, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი დროით შრომისუნარიანობის მოშლა. ხსნებული მეთოდის სისასტიკე და მსხვერპლის მიერ განცდილი ფიზიკური ტკივილი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააკვალიფიცირა, როგორც წამება.<sup>187</sup>

#### 2. Aydin v. Turkey

განმცხადებელი დაექვემდებარა ცემასა და გაუპატიურებას, რაც განხორციელდა არაერთგზის. სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ სწორედ გაუპატიურების შედეგად დაკარგა დაზარალებულმა ქალწულობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მტკიცებულებათა შესწავლის შედეგად,

<sup>187</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (Aksoy v. Turkey), No 21987/93, 18 დეკემბერი 1996.

დაადგინა რომ, ყველა ის ქმედება რაც განხორციელდა განმცხადებლის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი გაუპატიურება, წარმოადგენდა წამებას.<sup>188</sup>

### 3. Cakici v. Turkey

განმცხადებელი წარმოადგენს ქურთების წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის შედეგად თავისუფლება აღკვეთილ პირს. დაპატიმრების შემდეგ, მას 3 თვის განმავლობაში სასტიკად სცემდნენ. დაკითხვისას მის წინააღმდეგ იყენებდნენ ელექტრო შოკს. ცემის შედეგად განცმხადებელმა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, კერძოდ: ჩაემსხვრა ნეკნები და გაუტყდა თავი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განხილული ქმედება ცალსახად მიიჩნია წამებად. მიუხედავად იმ ფაქტის დადგენისა თუ რა მიზანს ემსახურებოდა განმცხადებლის წამება ან რა ზომის ტანჯვა თუ ტკივილი განიცადა მან.<sup>189</sup>

### 4. Selmouni v. France

განმცხადებელი გახლდათ ჰოლანდიისა და მარკოს მოქალაქე, რომელიც დააპატიმრეს საფრანგეთში. დაკავების შემდეგ ის დაექვემდებარა წამებას. მის წინააღმდეგ გამოყენებული იყო, როგორც ფიზიკური ისე ფსიქოლოგიური ძალადობის ელემენტები. კერძოდ, სცემდნენ უმოწყალოდ, ათრევდნენ თმებით აიძულებნენ ერბინა დერეფანში, რომლის გაყოლებაზეც ორივე მხარეს იდგნენ პოლიციელები, რათა ფეხი წამოედოთ მისთვის. მას აიძულეს დაეჩოქა ქალის წინაშე, რა დროსაც პოლიციელმა ქალს უთხრა, რომ ის გაიგებდა ვიღაცის სიმღერას. მას ზედ აშარდავდნენ, ასევე ემუქრებოდნენ, რომ შეტრუსავდნენ. განმცხადებელის წინააღმდეგ გამოყენებული იყო სექსუალური ხასიათის ძალადობა და გაუაუღმართებული ქმედება. განხილული საქმეს ამძიმებს ის გარემოებაც, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ აღნიშნული ქმედებები გრძელდებოდა მთელი პატიმრობის პერიოდში. დაზარალებული იყო მუდმივი თავდასხმის ობიექტი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შესწავლილი მტკიცებულების საფუძველზე დადგინა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ მიმართული ფიზიკური და

<sup>188</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, აიდინი თურქეთის წინააღმდეგ (Aydin v. Turkey), No 57/1996/676/866, 25 სექტემბერი 1997.

<sup>189</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ჩავიჩი თურქეთის წინააღმდეგ (Cakici v. Turkey), No 23657/94, 8 ivlisi 1999.

ფსიქოლოგიური ძალადობა თავისი ხასიათით და ინტენსივობით აღწევდა სისასტიკის ზღვარს. შესაბამისად, საქმე დაკვალიფიცირდა, როგორც წამება.<sup>190</sup>

## 5. Akkoc v.Turkey

განმცხადებელი დაევემდებარა ცემასა და მუქარას. მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ელექტროშოკი, ცხელი და ცივი წყლის პროცედურები. ასევე ემუქრებოდნენ შვილების მიმართ არაადამიანური მოპყრობის განხორციელებით. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განმცხადებელს დაუტოვა შიშისა და დაუცველობის განცდა. სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ განცდილი ძალადობის შედეგად მას ჩამოუყალიბდა პოსტტრამვული სტრესული მოშლილობა და მოითხოვდა მკურნალობას სამედიცინო პრეპარატებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საქმე დააკვალიფიცირა, როგორც წამება.<sup>191</sup>

## 6. Dikme v. Turkey

განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებული იყო, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობა. მდგომარეობას ამძიმებდა ის ფაქტი, რომ ის სრულიად იზოლირებული იყო და თვალები ჰქონდა ახვეული. მსგავსი მოპყრობის მიზანი ფიზიკური და სულიერი ტანჯვის მიყენება გალხდათ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, მსგავსი მოპყრობის მიზანი შიშისა და დაუცველობის აღძვრა წარმოადგენდა, რაც მის დამცირებასა და არასრულფასოვნების განცდას გააღვივებდა. სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო, მოპყრობის ხანგრძლივობა და აღნიშნა, რომ ქმედება ხორციელდებოდა ხანგრძლივად, პოლოციის განყოფილებაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ განხორციელებული მოპყრობა, მიზნისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, იყო სასტიკი და შეეძლო

<sup>190</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ ( Selmouni v. France) No 25803/94, 28 ივლისი 1999.

<sup>191</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, აკოჩი თურქეთის წინააღმდეგ (Akkoc v. Turkey) No 22947/93 და 22948/93, 10 ოქტომბერი 2000.

გამოეწვია ძლიერი ტკივილი და ტანჯვა. შესაბამისად, ქმედება შეფასდა, როგორც წამება.<sup>192</sup>

თითოეული საქმე ნათელი დასტურია იმისა, რომ წამების ქმედება ინდივიდუალურად ფასდება თითოეულ საქმესთან მიმართებით. მიუხედავად ამისა პრაქტიკაში გამოკვეთილია რამდენიმე კრიტერიუმი, რომელთა კუმულაციურად ყოფნაც სავალდებულოა ქმედების წამებად შესაფასებლად მათ შორის: განზრახვა, მიზანი, ინტენსიონი, მიყენებული ტანჯვის ხარისხი.

## გვ.2 ეროვნული სასამართლო პრაქტიკა

მოქმედი პრაქტიკით, წამებად კვალიფიცირდება ისეთი არაკანონიერი მეთოდების გამოყენება, რომლებიც მიზნად ისახავს თავისუფლება აღვეთილი პირებისთვის მძიმე პირობების შექმნასა და მოპყრობას რაც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით აყენებს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს. აღნიშნული მოპყრობა კი თავის მხრივ ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას იწვევს. განაჩენთა ანალიზით ირკვევა, რომ მსგავს შემთხვევებში მიზანი მსჯავრდებულთა დაშინება და იძულებაა, შეასრულონ ან/და თავი შეიკავონ ისეთი ქმედების შესრულებისაგან, რომლის განხორციელებაც მათ კანონიერ უფლებას წარმოადგენს. მათ შორისაა საჩივრების წარდგენა, წარდგენილ საჩივრებსა თუ სხვა სამართლებრივ პროცედურებზე უარის თქმა, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნისთვის დასჯა. სასამართლო პრაქტიკა განხილული მუხლის ქვეშ მოიაზრებს დაკავებულისთვის აღიარებითი ჩვენების მიღების სანაცვლოდ ცემას, თავისუფლება შეზღუდულ პირზე სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის სასუნთქი ორგანოების გადაკეტვით ძალადობას.<sup>193</sup>

ქართული სასამართლო პრაქტიკიდან არაერთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, მათ შორის ე.წ „კასრების საქმე“.

<sup>192</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დიკმე თურქეთის წინააღმდეგ (Dikme v. Turkey), No 20869/92, 11 ივლისი 2000.

<sup>193</sup> იხ. იმამე გ. და კუკავა ქ. „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმები საქართველოში - მიღწევები და გამოწვევები“. თბილისი, 2021, გვ. 51-52

## საქმე #1

მოქალაქე მ.ქ-ს ბრალი ედებოდა ე.წ „კასრების საქმეზე“, კერძოდ გამოძიება მას ედავებოდა, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების, წაამებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ჩადენას. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის თანახმად, ის დამნაშავედ სცნეს სსკ-ის 138-ე, 143-ე და 144<sup>1</sup> მუხლებით გათავლისწინებული დანაშაულის ჩადენაში. სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. გამოძიების შედეგად დადგენილი ფაქტების თანახმად, 2011 წლის 29 მაისსა და 2 აგვისტოს, მ.ქ-მ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლებთან ერთად უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება 2 პირს. აღსანიშნავია, რომ მ.ქ-ს იმ დროისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ხსენებულმა პირებმა, დაკავებულები მიიყვანეს ზუგდიდის რაიონის, სოფელ განმუხურის ტერიტორიაზე არსებულ მიწურში. თავისუფლების უკანონო აღკვეთის მიზანი, აღიარებითი ჩვენების მოპოვება იყო, კერძოდ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა. სასურველი ჩვენების მისაღებად მ.ქ-მ გამოიყენა არაერთი მეთოდი, მათ შორის: ელექტრო შოკით დენის დარტყმა, ფიზიკური შეურაცხყოფა და გაუპატიურების მუქარა. ასევე ორივე პირის მიმართ განხორციელდა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება.<sup>194</sup>

სასამართლომ ზემოაღნიშნული ქმედებები დააკვალიფიცირა დანაშაულთა ერთობლიობით, მათ შორის სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლით. აღნიშნულ შემთხვევაში კვალიფიკაცია სწორია, ვინაიდან მოხელეები მოცემულ შემთხვევაში არ აწარმოებდნენ გამოძიებას, ისინი მოქმედებნენ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, რისთვისაც იყენებდნენ სამსახურეობრივ მდგომარეობას.

<sup>194</sup>იხ. საქართველოს პროკურატურა, საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 17 სექტემბრის განცხადება, <https://pog.gov.ge/news/saqrTvelos-generaluri-prokuraturis-shuamgomlobis-safuZvelze-ukrainidan-araerTi-mZime-da-gansakuTr> (05.06.2024 წ.).

## საქმე #2

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ბრალდებულ ჯ.შ-ს მიმართ.<sup>195</sup>

განაჩენის თანახმად, მსჯავრდებული ჯ.შ-ს მიმართ გამამტყუმნებელი განაჩენი დადგა სსკ-ის 144<sup>1</sup>მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.

გამოძიების მიერ დადგენილი გარემოებების თანახმად ჯ.შ იყო ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი დაბის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი. 2006 წლის აგვისტოში პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს ბრალდებული ბ.ფ, რომელსაც ბრალად ედებოდა ქურდობა. კერძოდ, მობილური ტელეფონის, ოქროს ყელსაბამისა და ბეჭდის. მიუხედავად წარდგენილი ბრალდებისა, ბ.ფ-მ აღიარა მხოლოდ მობილური ტელეფონის ქურდობა, ასევე მიუთითა ადგილსამყოფელზეც სადაც მოპარული ნივთი შეინახა. მოგვიანებით, პოლიციელებმა სწორედ იმ ადგილიდან ამოიღეს ნაქურდალი მობილური ტელეფონი. ბრალდებული არ აღიარებდა ოქროს ყელსაბამისა და ბეჭდის ქურდობის ფაქტს.

პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსმა ჯ.შ-მ, აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით, გადაწყვიტა საკუთარ სამუშაო კაბინეტში გამოყენებინა მართლსაზინააღმდეგო მეთოდები დაკავებული პირის მიმართ. მიუხედავად მუქარისა და დაშინების მცდელობისა ჯ.შ-მ სასურველი ჩვენება ვერ მიიღო.

აღნიშნულ ფაქტები განაწყენებულმა ჯ.შ-მ გადაწყვიტა სხვა მეთოდებისათვის მიემართა. მან გაშლილი ხელისგულის ქვედა ნაწილი გაარტყა ქვედა ტუჩზე, რის გამოც ბრალდებულს ტუჩის შიგნით, ლორწოვანი გარსის მხრიდან სისხლი წამოუვიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დაკავებულს თიაქრის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, სწორედ ამიტომ შეძლებისდაგვარად ცდილობდა ნაოპერაციები ადგილის დაფარვას. თავდაცვის დროს, დაკავებულს ხელიდან გაუვარდა ანთებული სიგარეტი.

პოლიციის უფროსს სიგარეტის დავარდნის ფაქტი არ გამორჩენია, მან აიღო ანთებული სიგარეტი და დაკავებულს კისრის არეში მიადო. რის შედეგადაც

<sup>195</sup>იბ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, საქმე #2157-აპ  
<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/20286/2> (29.05.2024)

დაკავებულს მიადგა ძლიერი ფიზკური ტკივილი. ამ ფაქტისგან წახალისებულმა ჯ.შ-მ მარჯვენა ხელზეც დაადო ანთებული სიგარეტი. აღნიშნული დამწვრობების შედეგად დაკავებულმა მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება. უფრო ზუსტად: მომრგვალო ფორმის კანის დეფექტი მარჯვენა წინა მხარსა (ორი) და კისრის უკანა ზედაპირზე (ერთი), ასევე ლორწოვანი ნახეთქი ჭრილობა ტუჩის მარჯვენა შიდა ზედაპირზე.

პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის ეს ქმედება დაკვალიფიცირდა წამებად, რაც ჩადენილია მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დაკავებული პირის მიმართ - სსკ-ის 144<sup>1</sup> მ-ის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვებით.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. ჩვენების მიცემის იძულება, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით.

აღნიშნული კვალიფიკაცია ვერ იქნება სწორი, რადგან პოლიციელის მიზანს წარმოადგენდა იმ ინფორმაციის მიღება, რომელსაც საქმეში გამოიყენებდა, მისი მიზანი არ იყო სხვა სახის ინფორმაციის მიღება, თუნდაც, მაგალითად პირადი მიზნებისთვის. ამასთან, როგორც აღინიშნა, 335-ე მუხლი არის სპეციალური და 144<sup>1</sup>-ე მუხლთან კონკურენციისას სწორედ 335-ე მუხლს ენიჭება უპირატესობა და რაც მთავარია, მიზანი არის გადმწყვეტი ფაქტორი ქმედების კვალიფიკაციისას - მოცემულ შემთხვევაში დამნაშავის მიზანს სწორედ ჩვენების მიცემის იძულება წარმოადგენდა, რომელსაც საქმეში გამოძიების პროცესში გამოიყენებდა, შესაბამისად, ძალადობაც ამ მიზნით განახორციელა. ამიტომ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

გარდა ამისა დღის წესრიგში დგას კიდევ ერთი საკითხი, რამდენადაა გამართლებული ქმედება დაკვალიფიცირდეს 144<sup>1</sup> მუხლის, როგორც „ა“, ასევე „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით). მსგავსი კვალიფიკაცია არასწორია, ვინაიდან მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი წამება, თავის თავში გულისხმობს სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებას.

### საქმე #3

ბრალდებული ოფ გახლდათ მოხელე, ვინაიდან ის დაინიშნა №-დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. ოფ-ს იმავე განყოფილების თანამშრომლებთან ერთად შემუშავებული პქონდათ პატიმრებთან მოპყრობის წესები. აღნიშნული წესები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, პატიმრობის კოდექსს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღიარებული უფლებებსა და თავისუფლებებს.

მათი წესები დაკავშირებული იყო სისტემურ ძალადობასთან. როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობა პატიმრების ყოველდღიურ დღის წესრიგს წარმოადგენდა. პატიმრებს ეზღუდებოდათ გასეირნება, ბანაობა, სამედიცინო შემოწმება, ინფორმაციის რადიოთი მიღება და სხვა.

სასჯელაღსრულების დაწესებულების დაუწერელ წესს ე.წ „კარანტინის დაშლა“ წარმოადგენდა. რაც გულისხმობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულების თანამშრომლების მიერ მოწყობილ დერეფანში პატიმრების გატარებას. გავლის პერიოდში პატიმრებს სცემდნენ ხელვატების გამოყენებით, ასევე ურტყავდნენ წიხლებსა და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. აღნიშნული ქმედება პატიმართა საკნებში განაწილების უპირობო რიტუალს წარმოადგენდა.

ხსენებული მიდგომების გამოყენებით, პატიმრებში ნერგავდნენ შიშს, არასრულფასოვნების განცდასა და დამცირებას. შედეგად კი იღებდნენ უპირობო მორჩილებას.

ოფ ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

განხილულ შემთხვევაში სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა ქმედება, ვინაიდან მოხელე მოქმედებდა პირადი მოტივით, მას სურდა უპირობო მორჩილება მიეღო პატიმრების მხრიდან, რაც ვერ მოექცევა სსკ-ის 335 მუხლის კვალიფიკაციის ქვეშ, ვინაიდან ამ უკანასკნელის შემთხვევაში აუცილებელია პირს ამომრავებდეს არა

პირადი ინტერესი, არამედ სისხლის სამართლის საქმის გახსნისათვის „საჭირო აუცილებლობა“.<sup>196</sup>

#### საქმე #4

შ. ს-ს, პ. ხ-ს, და ლ. ქ-ს ბრალი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის გ-ის რაიონის სოფელ ბ-ის საგუშაგოზე მივლინებულმა წვევამდელებმა – გ. გ-მა, ზ. ნ-ემ და ა. თ-ემ 2014 წლის ივლისში ოცეულის მეთაურ შ.ს-სთვის ათი კოლოფი სიგარეტის მისატანად თვითნებურად დროებით დატოვეს საგუშაგო. საგუშაგოს უნებართვოდ დატოვებისათვის, მათი დაშინებისა და დასჯის მიზნით, შ. ს-მა, ათეულის მეთაურმა პ. ხ-მა და ათეულის სერქანტმა ლ. ქ-ემ გ. გ-ი, ზ. ნ-ე და ა. თ-ე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიყვანეს ყაზარმის სარდაფში, სადაც ჯგუფურად მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. კერძოდ, სცემეს ხელებითა და ფეხებით, დააყენეს მუხლებზე, რა დროსაც შ. ს-მა საქამრიდან ამოიღო მასზე განპირობებული სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი და დაემუქრა მათ სიცოცხლის მოსპობით. წვევამდელების ცემა, ფსიქიკური და მორალური ტანჯვა გრძელდებოდა დაახლოებით 30 წუთს. აღნიშნულის შემდეგ, კვლავ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, შ. ს-მა, პ. ხ-მა და ლ. ქ-ემ, დადგენილი წესის უგულებელყოფით, ზ. ნ-ე, გ. გ-ი და ა. თ-ე აიძულეს, ჯარისკაცის სრული აღჭურვილობით დაახლოებით 24 საათის განმავლობაში შეუცვლელად მდგარიყვნენ საგუშაგოზე. ზ. ნ-ემ და გ. გ-მა ვერ გაუძლეს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას, რის შედეგადაც კვლავ თვითნებურად დატოვეს საგუშაგოს ტერიტორია.<sup>197</sup>

სასამართლოს მიერ ქმედების 144<sup>1</sup> მუხლით კვალიფიკაცია სწორია, თუ გავითვალისწინებთ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ქვენაგრძნობას,

<sup>196</sup> იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, საქმე #400-აპ <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/39377/2> (29.05.2024)

<sup>197</sup> იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, საქმე #133-აპ <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/38709/2> (29.05.2024)

თუმცა საკითხის მხოლოდ ამგვარად გადაწყვეტა მართებული ვერ იქნება და ბუნებრივია მოითხოს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას, რაც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო, პრობლემის აქტუალობა. აღნიშნული პრაქტიკა გაუმართლებელია, ვინაიდან ირღვევა ზოგადი და სპეციალური მუხლების კონკურენციისათვის კანონით არსებული წესი, გარდა ამისა საკითხი წყდება პირის საზიანოდ, რადგან არაერთხელ აღინიშნა სანქციებს შორის სხვაობა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ კიდევ ერთი პრაქტიკული მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მსჯავრდებული ქალის, ქეთევან ხმალაძის დარღვეული უფლებების აღსადგენად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით მიმართა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ ქეთევან ხმალაძის დაკავებისას, რომელიც განხორციელდა 2016 წლის 13 იანვარს ქალაქ ახალციხეში, პოლიციის თანამშრომლებმა განახორციელეს წამება და არაადამიანური მოპყრობა. დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შემდეგი მუხლები: მე-3, მე-6, მე-13 და მე-14. სახელმწიფომ ეფექტიანად ვერ უზრუნველყო, გამოეძიებინა 2016 წელს ქეთევან ხმალაძის მიმართ განხორციელებული წამება და არაადამიანური მოპყრობა, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მის ჯანმრთელობაზე. ამასთან, სახელმწიფომ დღემდე ვერ უზრუნველყო პირის დაზარალებულად ცნობა.

სახელმწიფომ დღემდე ვერ შეიმუშავა ობიექტური გამოძიებისა და დაცვის მექანიზმი, რომლის მიზანი იქნებოდა წამების ეფექტიანი პრევენცია, მიუკერძოებელი გამოძიება და ეფექტიანი სამართლებრივი შედეგის დადგომა.

საქართველოს სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშების თანახმად, 2015 წელს არსებითად გაზრდილია პოლიციელთა მხრიდან მოქალაქეებზე განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევები. სისტემურ გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პირის დაკავებისას პოლიციის თანამშრომლები ახორციელებენ სასტიკ ფიზიკურ ძალადობას ბრალის აღიარების მოტივით, არ ხდება სასჯელადსრულებისა და პოლიციის განყოფილებებში ვიდეო

მონიტორინგი, ძალადობის მსხვერპლის ჩვენება კი არასაკმარისად მიიჩნევა იმისათვის, რომ პირს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭოს.

დაკავებული პირების წამება და მათ მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის მანკიერი პრაქტიკა აღწერილია ადამიანის უფლებათა ცენტრის დოკუმენტურ ფილმში „სამართალდამრღვევი სამართალდამცველები“, ფილმში მასზე განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებზე საუბრობს მსჯავრდებული ქეთევან ხმალაძე.

აღნიშნულ საჩივარში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს და დაადგინოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რაც გულისხმობს წამებას, ღირსების შემლახავ და არაადამიანურ მოპყრობას, რომელიც განხორციელდა სწორედ აღიარებითი ჩვენების მიღების მოტივით. ქეთევან ხმალაძეზე, საკუთარი არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, პოლიციის ათეულობით თანამშრომელმა დაკავებისას განახორციელა დამამაცირებელი, ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასტიკი წამება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ ასევე დაირღვა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რაც გულისხმობს დისკრიმინაციას. ქეთევან ხმალაძეს, როგორც ქალს, აყენებდნენ შეურაცხყოფას კაცი სამართალდამცველები, რაც არ იქნა გამოძიებული. მათ მიერ გამოყენებული ძალისმიერი მეთოდები იყო შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი.

2019 წლის 23 მაისს, ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებით, მსხვერპლს საბოლოოდ ეთქვა უარი დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო წამების მსხვერპლი ქალის დაზარალებულად ცნობა. საქმეში დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება, წამების მსხვერპლმა გამოიყენა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა მექანიზმი გამოძიების ორგანოებისა და საერთო/რაიონული სასამართლოების სახით.<sup>198</sup>

<sup>198</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ცენტრი, „მსჯავრდებული ქალის მიმართვა ადამიანის უფლებათა ევროპულს სასამართლოს“, 2019. <http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=19874&lang=geo> (30.05.2024).

ზოგადად, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, შესაბამისად, თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა უზრუნველყოს შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების დროული გადადგმა, როდესაც სახეზეა უფლების შესაძლო დარღვევა.

ეროვნული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილების მოყვანაა შესაძლებელი, სადაც სისხლის სამართლის საქმე არასწორი კვალიფიკაციით წარიმართა და პირიქით არ არსებობს რეალური სტატისტიკა იმ სისხლის სამართლის საქმეებისა, რომლებიც სსკ 335-ე ან სსკ 144<sup>1</sup> უნდა დაწყებულიყო. თუმცა, პრაქტიკული პრობლემა, სწორედ აღნიშნული ნორმების არაზუსტი დოქტრინალური განმარტებებიდან მომდინარეობს. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ სსკ 335-ე მუხლი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ქმედების შესამსუბუქებლად გაჩნდა კანონმდებლობაში. ვინაიდან, როგორც პრაქტიკის ანალიზიდან გამოიკვეთა ინდივიდზე მორგებულ კანონმდებლობასთან გვაქვს საქმე.

## თავი IX. წამების/არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება

პრევენციულ ღონისძიებეთან ერთად ეფექტური გამოძიების წარმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეების წარმოებისას. საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოებს დროული და ეფექტური გამოძიების წარმოებისკენ მოუწოდებენ.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ოპერატიულად გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით შექმნილია სპეციალური სახელმძღვანელო. სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით, „წამების შემთხვევათა ნებისმიერი რეალური გამოძიების ფუძემდებელ პრინციპებს წარმოადგენს მისი კომპეტენტურობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, სისწრაფე და გულმოდგინება“.<sup>199</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით წარმოადგენილ მტკიცებულებებთან მიმართებაში ადგენს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტადნარტს. მსგავსი მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს დასკვნებიდან ან ფაქტის გაუქარწყლებელი პრეზუმფციიდან. მსგავსი შემთხვევები უმეტესწილად ექსკლუზიურადაა ცნობილი ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლებისთვის. ასევე ფაქტების პრეზუმფცია მოქმედებებს იმ დაზიანებებთან მიმართებით, რომლებიც მიღებულია პატიმრობისას. მსგავს შემთხვევებში მტკიცების ტვირთი გადადის ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლებზე, სწორედ ისინი არიან ვალდებულნი წარმოადგინონ უყტური და დამაჯერებელი განმარტებები.<sup>200</sup> ხელისუფლების მხრიდან ასეთი ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განაჩენი, რომელიც შესაძლოა, არ იყოს სახარბიელო მოპასუხე მთავრობისთვის.<sup>201</sup>

<sup>199</sup> იხ.გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო (სტამბოლის პროტოკოლი), 2004, HR/P/PT/8/Rev.1; 373.

<sup>200</sup> იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სალმანი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Salman v. Turkey [GC], No21986/93, § 100, ECHR-2000-VII).

<sup>201</sup> იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ორჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Orhan v. Turkey), No25656/94, § 274, 18 ივნისი 2002.

არსებობს მტკიცების ტვირთის ასპექტები, რომლებიც ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ გამომიების წარმართვის დროს, რათა მათი ქმედებები შესაბამისობაში იყოს კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან. სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ:

როდესაც დაკავების მომენტში პირს არ აღენიშნება სხეულის დაზიანება, თუმცა დაკავებისას მას აღენიშნება რაიმე სახის დაზიანება, მტკიცების ტვირთი ეკისრება ხელისუფლების ორგანოებს. სწორედ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები არიან ვალდებული წარმოადგინონ ახსნა-განმარტებები, თუ რამ გამოიწვია არსებული დაზიანებები. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.<sup>“202</sup>

როდესაც კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილია საჩივარი, ევროპულმა სასამართლომ ის განსაკუთრებით ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს.<sup>203</sup> თუმცა, როდესაც ხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოება, სასამართლომ ფაქტების დამდგენი ეროვნული სასამართლოების შეფასება არ უნდა ჩაანაცვლოს თავისი შეფასებით და ზოგადად მიღებული წესის თანახმად, ამ სასამართლოებმა უნდა შეაფასონ მათ წინაშე წარდგენილი მტკიცებულება.

წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოსაძიებლად საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს სპეციალური მუხლები. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დასჯადია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, ასევე, განმარტების, ჩვენების და დასკვნის მიცემის იძულება.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკის შესწავლამ ცხადჰყო, რომ საქმეების უმრავლესობაში გამომიება სისხლის სამართლის 333-ე მუხლით იწყება, რაც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

<sup>202</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ (Tomasi v. France), §108-111, სერია a №241-A, 27 აგვისტო 1992.

<sup>203</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მატკო სლოვენიის წინააღმდეგ (Matko v. Slovenia), № 43393/98, § 100, 2 ნოემბერი 2006.

აღსანიშნავია, რომ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში (სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) კანონმდებლობით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით 9-დან 15 წლამდე, ხოლო სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემთხვევაში - 5-დან 8 წლამდე.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სსკ-ს 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით გამოძიების დაწყება, წახალისებას წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის. როგორც მუხლების სანქციებიდან იკვეთება კანონმდებელს ბევრად ნაკლები სასჯელი აქვს დადგენილი სწორედ აღნიშნული მუხლით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

როგორც აღინიშნა სამართალდამცველთა მხრიდან დაკავების ან/და გამოკითხვა/დაკითხვის დროს მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების დაკვალიფიცირება უფლებამოსილების გადამეტების მუხლით არასწორია. თუმცა არანაკლებ საყურადღებოა თუნდაც ამ მუხლით დაწყებული გამოძიებების მიმდინარეობის ხარისხი, კერძოდ, გამოძიების ხანგრძლივობა, დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებში მნიშვნელოვანია დროული და ეფექტური გამოძიების ჩატარება. გარდა ამისა არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გონივრულ ვადაში მიღებას. შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებაში იგულისხმება ბრალის წარდგენა და სასამართლოში საქმის წარმართვა.

#### §9.1 არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევის გამოძიება

არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების პროცედურების დადგენა სახელმწიფოების პრეროგატივაა. ვალდებულება მოიცავს მთელ რიგ კომპონენტებს, გამოძიების დაწყების საშუალების უზრუნველყოფიდან ადეკვატური სასჯელის

შეფარდებამდე. ამგვარად, პასუხისმგებლობით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ყველაზე უკეთ განიხილება, როგორც საერთო პასუხისმგებლობა, როდესაც ყველა - პოლიტიკოსი, დამოუკიდებელი გამომძიებელი, ბრალდების ორგანო და მოსამართლე - ასრულებს თავის მოვალეობას.

გაერომ 1988 წელს მიიღო პრინციპები ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც:

დაუშვებელია დაპატიმრებული პირისაგან რაიმე ხერხით ინფორმაციის მიღება ან და აღიარების. ასევე არც ერთი პირი შეიძლება დაექვემდებაროს იძულების რომელიმე ღონისძიებას, რაც საკუთარი ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიაღებინებს.<sup>204</sup>

საქმეში არსენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ<sup>205</sup> სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

როდესაც პირი წარმოადგენს საფუძვლიან საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავებისას ან პოლიციის განყოფილებაში, მასზე განხორციელდა ძალადობა, სახელმწიფო ვალდებულია საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოს კონვენციით ნაკისრი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. სახელმწიფო ვალდებულია კონვენციის 1-ლი მუხლით დაკისრებულ ზოგად ვალდებულებასთან ერთად აწარმოოს ეფექტური გამოძიება.

კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია დროული და ეფექტური გამოძიება აწარმოოს, შესაძლო ფიზიკური ძალადობის ფაქტის დასადგენად. უფრო მეტიც, სახელმწიფო ვალდებულია გამოძიება აწარმოოს კერძო პირებს შორის არსებული ფიზიკური ძალადობის შემთხვევების დროსაც.<sup>206</sup>

გამოძიება „ეფექტურად“ ჩაითვლება, იმ შემთხვევაში, თუ: გამოძიების შედეგად დადგინდა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გამოვლინდა პასუხისმგებელი პირები

<sup>204</sup> იხ. მიერი ე., ჰანკოვი ბ., ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისთვის, ევროკომისიის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა, 2008, გვ. 46.

<sup>205</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, არსენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Assenov and others v. Bulgaria), N 90/1997/874/1086, 28 ოქტომბერი, 1998.

<sup>206</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მს. ბულგარეთის წინააღმდეგ (M.C. v. Bulgaria), No39272/98, ECHR 2003-XII.

და შეეფარდათ კანონმდებლობით დადგენილი სასჯელი.<sup>207</sup> ამ დებულების მიხედვით, საგამოძიებო უწყებების ვალდებულება, არა მხოლოდ შედეგზე ორიენტირებულობაა, არამედ თავად გამოძიების სწორად წარმართვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყურადღება არაერთხელ გაუმახვილებია, თუ რამდენად დროული იყო ამა თუ იმ შემთხვევაზე ხელისუფლების ორგანოების რეაგირება.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს  
წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება არასათანადო  
მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოძიებას**

კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის საკითხი აქტუალური იყო საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ არაერთ საჩივარში. მომჩივანები ძირითადად ასაჩივრებდნენ წინასწარი დაკავების იზოლატორში ან პატიმრობის დროს მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების დაკავშირებით გამოძიების ჩატარებლობას.<sup>208</sup> საქართველოში პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების გაჭიანურებული და არაეფექტური გამოძიების საკითხი პირველად ასახულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის გადაწყვეტილებაში ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.<sup>209</sup> ამ ტიპის დავებს ღარიბაშვილის ჯგუფის საქმეები დაერქვა. აღნიშნულ საქმეებზე სასამართლომ დაადგინა, რომ ჩატარებული გამოძიებები არ იყო სათანადოდ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რაც ძირითადად განპირობებული იყო სავარაუდო დამნაშავეთა და გამომძიებლებს შორის ინსტიტუციური კავშირით და

<sup>207</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სტოიკა რუმინეთის წინააღმდეგ (Stoica v. Romania), No42722/02, §67, 4 მარტი 2008.

<sup>208</sup> იხ. მამალაძე ე., დათეშიძე ნ., წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2019, გვ.36.

<sup>209</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Gharibashvili v. Georgia), No11830/03, 29 ივნისი, 2008.

რიგ შემთხვევაში იერარქიული სუბორდინაციითაც კი. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული დარღვევა.

გადაწყვეტილებაში საქმეზე დანელია საქართველოს წინააღმდეგ<sup>210</sup> მომჩივანი დაობდა, რომ წინასწარი პატიმრობის დროს წამების მსხვერპლი გახდა, თუმცა, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლებმა მას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით დამოუკიდებელი ექსპერიტის ჩატარების ნება არ დართეს, რამაც საბოლოოდ აღნიშნული ფაქტის გამომიებას ხელი შეუშალა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ განაცხადა: როდესაც მომჩივანი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომელთა ან სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან უკანონო და კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებებს, ხსენებული დებულება ამავე კონვენციის 1-ელ მუხლთან მიმართებით, რომელიც წევრ სახელმწიფოებს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველა პირისათვის კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებას აკისრებს, ასეთ შემთხვევაში ოფიციალური და ეფექტიანი გამოძიების წარმოებას მოითხოვს.<sup>211</sup>

სასამართლოს განმარტებით:

გამოძიების შედეგად გამოვლენილი და დასჯილები უნდა იყვნენ ქმედების ჩადენაზე პასუხისმგებელი პირები. სხვა შემთხვევაში, ისეთი დანაშაულების აკრძალვა როგორიცაა წამება და დამამცირებელი მოპყობა, უშედეგო იქნება. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, დაუსჯელობის სინდრომმა შესაძლოა წაახალისოს სახელმწიფო მოხელეები დაარღვიონ იმ პირთა უფლები, რომლებიც გარკვეული გარემოებებისდა გამო მათი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.

მოცემულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ, არასათანადო მოპყრობის შესახებ წარდგენილი საჩივრის პასუხად საგამოძიებო მოქმედებათა ჩაუტარებლობის

<sup>210</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დანელია საქართველოს წინააღმდეგ (Danelia v. Georgia), №068622/01, 17 ოქტომბერი 2006.

<sup>211</sup> იხ.მამალაძე ე., დათეშიძე ნ., წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2019, გვ.37.

საფუძვლით, კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-3 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დარღვევა დაადგინა საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ კიდევ ერთ საჩივარში. კერძოდ, გადაწყვეტილებაში საქმეზე ალიევი საქართველოს წინააღმდეგ.<sup>212</sup>

სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც სრულად იყვნენ ინფორმირებულნი #88 საკანში 2022 წლის 3-4 ოქტომბრის დამეს მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენებული ძალის შესახებ, უნდა ჩაეტარებინათ გამოძიება მომჩივნის მიერ საჩივრის ოფიციალურად შეტანამდე. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი იმის შესახებ, რომ მომჩივანს უნდა შეეტანა საჩივარი და გამოძიების დაწყებისთვის ჩაეტარებინა შესაბამისი პროცედურები. სასამართლომ აღნიშნა, რომ:

მე-3 მუხლი ხელისუფლების წარმომადგენლებს ავალდებულებს, საჩივრის შეტანისთანავე დაიწყონ მოქმედება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჩივარი არ არის შეტანილი, თუმცა არსებობს გარემოებები, რომლის მიხედვითაც ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, აუცილებელი გამოძიების დაწყება. აღნიშნულ კონტექსტში, სისწრაფისა და გონივრული გულმოდგინების მოთხოვნა აშკარაა.<sup>213</sup>

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა და მიიჩნია, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ გამოიძია მომჩივანის წინააღმდეგ ძალის გამოყენების პროპორციულობის საკითხი.

გადაწყვეტილებაში საქმეზე დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ<sup>214</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის არსებითი

<sup>212</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ალიევი საქართველოს წინააღმდეგ (Aliiev v. Georgia), No 522/04, 13 იანვარი 2009.

<sup>213</sup> იხადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გლდანის კონგრეციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ (Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia) No 71156/01, § 97, 3 მაისი 2007.

<sup>214</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Dvalishvili v. Georgia), No 19634/07, 18 დეკემბერი 2012.

ნაწილის დარღვევა და მიიჩნია, რომ პოლიციის მხრიდან მომჩივანის მიმართ, აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით, ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას. აღნიშნულ საქმეში აპლიკანტი ასევე ასაჩივრებდა მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა გამოიძიეს მომჩივანის ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და სწრაფად გაატარეს გარკვეული საგამოძიებო ღონისძიებები, როგორიცაა სხვადასხვა მოწმეთა დაკითხვა, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ გამოძიება საკმარისად სრულყოფილი და ეფექტიანი იყო. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა შესაბამისი ორგანოების მხრიდან მტკიცებულებათა შეფასებისადმი არასწორ მიდგომაზე. სასამართლოსთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ დაეყრდნენ პასუხისმგებელი ორგანოები მომჩივანის აღიარებით ჩვენებას, რომელიც, მომჩივანის მტკიცებით, ფიზიკური ზეწოლის ქვეშ მისცა; აგრეთვე პოლიციელთა ჩვენებებს, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ აღნიშნული ჩვენებები სუბიექტური შეიძლება ყოფილიყო და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის არიდებას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებმა არ დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, რათა შეემოწმებინათ პოლიციელთა ჩვენებების უტყუარობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოძიება წარიმართოს სწორად და კანონიერად.

დროული გამოძიების ჩატარების ვალდებულებას ეხებოდა გადაწყვეტილება საქმეზე მიქაშვილი საქართველოს წინააღმდეგ<sup>215</sup>. სასამართლომ განაცხადა, რომ მოცემულ საქმეში დაგვიანდა მთელი რიგი აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა, რამაც გაართულა ან საერთოდ შეუძლებელი გახადა პროკურატურის მიერ მომჩივანის მიერ გასაჩივრებული სავარაუდო ინციდენტის დეტალური გამოძიება. ამ კუთხით გამოძიების ყველაზე სერიოზული შეცდომა იყო მომჩივნისათვის სამედიცინო შემოწმების დაგვიანებით ჩატარება. უფრო მეტიც, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის დაკავებისას პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტებასთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოება ორი თვით

<sup>215</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მიქაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (MIKIASHVILI v. GEORGIA), No 18996/06, 9 იანვარი 2013.

დაგვიანებით დაიწყო. ეს შეუთავსებელია დროული გამოძიების ჩატარების ვალდებულებასთან, ვინაიდან არსებობს რისკი იმისა, რომ დროსთან ერთად, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული სამხილები გაქრება და დაზიანდებები მოშუშდება.<sup>216</sup>

2019 წლის 21 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე გაბლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ<sup>217</sup>, რომელიც ეხებოდა პატიმართა მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას და სახელმწიფოს მიერ ამ ფაქტის არასათანადო გამოძიებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2009 წლის 30 მარტს მომჩივნები სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობის დროს დააკავეს, რა დროსაც ციხის თანამშრომლებმა ხის ჯოხებითა და რკინის მილებით სასტიკად სცემეს. დაკავების შემდეგ მომჩივანები საკანში მოათავსეს, სადაც ციხის თანამშრომლებმა გააგძლეს მათი ცემა. მომჩივანებმა დაკითხვის დროს გამომძიებელს უთხრეს, რომ მიღებული დაზიანები ციხის მაღალი კედლიდან გადმოხტომას უკავშირდებოდა, თუმცა სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის დროს მათ შეცვალეს თავდაპირველი ჩვენებები და განაცხადეს, რომ დაკავებისას და დაკავების შემდგომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას.

მომჩივანებმა 2009 წლის 10 ნოემბერს მიმართეს მთავარ პროკურორს, რათა დაწყებული არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის სქმის გამოძიება. გამოძიების ფარგლებში დაიკითხა ციხის უფროსი და ოთხი თანამშრომელი, რომლებიც დაზარალებულთა დაკავებაში მონაწილეობდნენ. დაკითხვისას არც ერთმა მათგანმა აღიარა მომჩივანის ცემის ფაქტი. გამომძიებელმა სრულად გაიზიარა ციხის თანამშრომელთა მოსაზრება და დაასკვნა, რომ დაზიანებები შესაძლოა კედლიდან გადმოხტომას გამოეწვია. პროკურორმა საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის საფუძველზე შეწყვიტა გამოძიება.<sup>218</sup>

<sup>216</sup> იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პადურეტი მოლდოვის წინააღმდეგ (Paduret v. Moldova), No33134/03, §64, 5 იანვარი 2010.

<sup>217</sup> იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Gablishvili v. Georgia, No7088/11, 2019 წლის 21 თებერვალი.

<sup>218</sup> იხ.მამალაძე ე., დათეშიძე ნ., წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში,

წინამდებარე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური და პროცედურული ნაწილების დარღვევა დაადგინა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მსგავს საქმეებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან სწრაფი რეაგირება არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, ფუნდამენტურია. აღნიშნული ჟესტით ისინი ინარჩუნებენ საზოგადოების ნდობას და ხაზს უსვამენ თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის უზენაესობას. ასევე, თუ როგორი მკაცრი მიღებობა აქვთ ნებისმიერი უკანონი ქმედებისა და მათი ჩამდენი პირის/პირების მიმართ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დამოუკიდებელი, ეფექტიანი და ყოველმხრივი გამოძიების წარმოება 2009 წლის 30 მარტის შემთხვევასთან დაკავშირებით.

სასამართლომ აღნიშნა, ის ფაქტი, რომ ყველა საგამოძიებო მოქმედება განახორციელა სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა ანუ იმავე უწყებამ, რომელიც პასუხისმგებელი იყო ციხის სისტემაზე, ეს ყოველივე კი წარმოშობდა გონივრულ ეჭვებს გამოძიების დამოუკიდებლობასთან მიმართებით. ასევე, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა მომჩივანთა დაზიანებების წარმოშობის დადგენის თაობაზე ვერ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობის სტანდარტებს. სასამართლო ექსპერტიზა ჩატარდა იმ გამომძიებელთა უშუალო მონაწილეობით, რომლებსაც ბრალი ედებოდათ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განცხადებით, გამოძიების ეფექტიანობას ეჭვებეშ აყენებდა ასევე ის ფაქტიც, რომ სისსხლისამართლებრივი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილებაში არსებული დასკვნები ეყრდნობოდა მხოლოდ მოცემულ საქმეში მონაწილე ციხის თანამშრომელთა ჩვენებას.<sup>219</sup>

---

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2019, გვ.39.

<sup>219</sup> იხ.მამალაძე ე., დათეშიძე ნ., წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2019, გვ.40.

პროცესურორმა ყოველგვარი მსჯელობის გარეშე, ციხის თანამშრომელთა მოსაზრებები უტყუარად მიიჩნია. მან არც კი დაუშვა, რომ მათი ეს განცხადებები შესაძლოა პასუხისმგებლობის არიდებას წარმოადგენდა ისეთი მძიმე დანაშაულისგან, როგორიც არასათანადო მოპყრობაა. აღნიშნულ საქმეში, კი ციხის თანამშრომელთა სანდოობის შემოწმებას უდიდესი როლი ენიჭებოდა. გამოძიებას უნდა დაედგინა, მათი პასუხისმგებლობის საკითხი აღმდეგ სისხლის სამართლის საქმეში.

გარდა ამისა, განმცხადებელთა დაკავებაში მონაწილე ძალოვანები ზედაპირულად დაიკითხნენ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ძალოვანი უწყების წარმომადგენელთა განცხადებები იყო ერთმანეთის მსგავსი და შაბლონური. ისინი უარყოფდენენ არასათანადო მოპყრობის ფაქტის განხორციელებას მომჩივანის წინააღმდეგ. დაკავებისას გამოყენებული ფიზიკური ძალა, მათივე მოსაზრებით იყო პროპორციული და აუცილებელი.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განცხადებით, დაუდგენელია გამოიკითხნენ თუ არა საქმისათვის პოტენციურად მნიშვნელოვანი მოწმეები. მაგალითისთვის:

- ციხის დაცვა - მომჩივანები ამტკიცებდნენ, რომ მან ციხის უფროსისგან სროლის ბრძანება მიიღო, თუმცა არ დაემორჩილა;
- გამომძიებელი - რომელმაც მომჩივანების განცხადების მიხედვით აიძულა თანდაპირველი განცადების გაკეთება;
- ციხის უფროსი, რომელმაც განცმცხადებლებს, სიჩუმის სანაცვლოდ შემწყნარებლობა შესთავაზა.
- სახელმწიფოს არ წარმოუდგენია ზემოაღნიშნულ პოტენციურ მოწმეთა ჩვენებების რაიმე ასლი, როგორც გამოძიების შემადგენელი ნაწილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო სრულყოფილი, ეფექტიანი და მიუკეძოებელი გამოძიების ჩატარება.<sup>220</sup>

<sup>220</sup> იხ.მამალაძე ე., დათეშიძე ნ., წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2019, გვ.40.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, სრულყოფილად გამოიძიონ ის დაზიანებები, რომლებიც პირს დაკავების ან პატიმრობის დროს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შედეგად მიადგა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ შესაძლოა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოიწვიოს.<sup>221</sup>

საქმეში ირნალდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა მსხვერპლთა დაკითხვის ე.წ „ხუთი ტექნიკის“ დარღვევის გამო და აღნიშნა:

„დაუჯერებელია, რომ სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელეებს, სულ მცირე, არ სცოდნოდათ ამგვარი პრაქტიკის არსებობის შესახებ. უფრო მეტიც, კონვენციის თანახმად, ეს მოხელეები მკაცრად აგებენ პასუხს ქვეშევრდომების ქმედებებზე; მათ უნდა უზრუნველყონ მათი ნების აღსრულება ქვეშევრდომების მიერ და არ შეიძლება თავი დაიძვრინონ იმის მტკიცებით, რომ ვერ მოახერხეს ამის უზრუნველყოფა“.<sup>222</sup>

მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულების მიუხედავად, შესაძლოა არ დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც ადგილი აქვს ცალკეულ პირთა მხრიდან უდისციპლინობის ინდივიდუალურ აქტებს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები ამგვარი ქმედების პრევენციისთვის. სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა პასუხი აგებინოს დამნაშავე პირებს და განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომ მსგავსი ქმედებების გამეორება დაუშვებელი იყოს.

კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად:

- სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს პირთა დაცვა არამხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენელთა, არამედ კერძო პირთა მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისაგან;

<sup>221</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მიქაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v. Georgia), No18996/06, 9 ოქტომბერი 2012.

<sup>222</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom), 18 იანვარი 1978, §159, სერია „ა“ #25.

- და პროცედურული ვალდებულება, რომელიც გულისხმობს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოძიებას.

## §9.2 პირთა დაცვა წამებისა არასათანადო მოპყრობისგან

კონვენციის 1-ლი მუხლის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, მის იურისდიქციაში მყოფი პირები დაიცვას მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობისაგან. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება კერძო პირების შემთხვევაშიც.

აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს, კონვრეტულ პირთა დაცვას, მესამე პირების მხრიდან ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისაგან. გარდა ამისა, პრევენციული ზომების გატარებას, რათა თავიდან იქნას აცილებული ფიზიკური ძალადობა, რომლის შესახებაც ხელისუფლების ორგანოებისათვის ცნობილი იყო ან კიდევ მათ უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია ამის შესახებ.<sup>223</sup>

წინამდებარე საქმეში ბავშვი სასტიკად სცემა მამინაცვალმა, რომელიც შემდგომში წარსდგა მართლმსაჯულების წინაშე თავდასხმისთვის; თუმცადა, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა მშობელს ქმედების გასასამართლებლად წებას რთავდა არგუმენტად მოეყვანა, მშობლის მიერ დისციპლინარული სასჯელის გამოყენება. ბავშვმა და მამამ საჩივრით მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, იმ მიზნით, რომ სასამართლოს დაედგინა კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობა. მათ ასევე დასძინეს, რომ თითეულ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ვალდებულება, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ კერძო პირების დაცვა, რათა არ დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობასა და დასჯას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ:

---

<sup>223</sup> იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ტ.მ დაა ს.მ მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ T.M. and C.M. v. the Republic of Moldova), No26608/11, § 38, 28 იანვარი 2014.

„ბავშვები და სხვა მოწყვლადი პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ სახელმწიფოს მხრიდან დაცვა ეფექტური, შემაკავებელი ფორმით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ხელშეუხებლობის სერიოზული გარანტიები.“

უფრო მეტიც, სასამართლომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია პატიმრობაში მყოფ ნებისმიერ პირზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი, იმყოფება რა სახელმწიფო მოხელეთა ხელში, სუსტ პოზიციაშია და ხელისუფლების მოვალეობაა მისი დაცვა.<sup>224</sup>

გარდა ამისა, სახელმწიფოს არ შეუძლია თავი აარიდოს პასუხისმგებლობას იმ ორგანოთა ქმედებაზე, რომელთაც გადასცა საკუთარი ვალდებულებები. თუ კერძო სკოლაში გამოიყენებენ სასჯელის ისეთ ფორმას, რომ ის მიაღწევს მე-3 მუხლით განსაზღვრულ დონეს, ამგვარი ქმედებისათვის დადგება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რადგანაც სახელმწიფო ავტომატურად აგებს პასუხს განათლების უფლების უსაფრთხოებაზე.<sup>225</sup>

გადაწყვეტილებაში საქმეზე კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-3 მუხლი მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, შექმნას ისეთი სამართლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების სათანადო დაცვას.

<sup>224</sup>იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ბერკტაი თურქეთის წინააღმდეგ (Berkay v. Turkey), No22493/93, § 167, 1 მარტი 2001.

<sup>225</sup>იხ.კადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. United Kingdom), 25 მარტი 1993 გ 27, სერია ა No247-C.

## თავი X. სასჯელის მიზანი სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით

სასჯელი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა. ბუნებრივია, რომ თუ არ არის ჩადენილი დანაშაული, სასჯელიც ვერ დაინიშნება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გაწერული სასჯელის სახეხეები, მათ შორის ჯარიმა, თავისუფლების შეზღუდვა, თავისუფლების აღკვეთა და სხვა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ განმარტავს სასჯელის კონკრეტულ ცნებას. იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს სასჯელის არსთან დაკავშირებით. დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, სასჯელი სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იძულების უკიდურესი ზომაა, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს ეკისრება, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. სასჯელის დაკისრების შედეგად პირს ეზღუდება გარკვეული უფლებები და იწვევს ფსიქოლოგიურ-მორალურ ტანჯვას.

სასჯელის არსთან ერთად არანაკლებ მნიშვნელობანია სასჯელის მიზნის განმარტებაც. სასჯელის არსის მსგავსად, არც მიზანზეა ჩამოყალიბებული ერთი კონკრეტული მიდგომა, რაც დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწევევს მეცნიერ-იურისტთა შორის. გავრცელებული შეხედულების თანახმად სასჯელის მიზანი შეიძლება იყოს ის საბოლოო შედეგი, რისკენაც მიისწრაფვის კანონმდებელი სასჯელის დაწესებითა და სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნით.

ისტორიას, რომ გადავხედოთ მივწვდებით, რომ სასჯელის დანიშვნის ძირითადი მოტივატორი სამაგიეროს გადახდა გახლდათ. სხვაგვარად, რომ ვთქვათ პირი ისჯებოდა, რათა პასუხი ეგო მის მიერ ჩადენილ ბოროტებაზე.

დროთა განმავლობაში სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან ერთად, სასჯელის მიზანიც იცვლებოდა. საინტერესოა ჰეგელის მოსაზრება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, დამნაშავე ხელისუფლების ობიექტია და ამავდროულად სამართლის სუბიექტიც. რაც იმას ნიშნავს, რომ სასჯელი თავის თავში ადამიანის ღირსების დამცირებას არ უნდა გულისხმობდეს.

ბუნებრივია, სამაგიეროს გადახდის მოსაზრებასაც ჰყავდა მოწინააღმდეები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სასჯელი თანაფარდობაში უნდა ყოფილიყო ჩადენილ ქმედებასთან. სასჯელის მიზანი არა სხეულის დასჯა და ფიზიკური ტკივილის მიყენება, არამედ ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენა იყო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.“<sup>226</sup>

როგორც აღნიშნული ნორმიდან იკვეთება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სასჯელის ერთ-ერთი მიზანია.

არსებობს პრევენციის 2 სახე: ზოგადი და სპეციალური.

ზოგადი პრევენციის მიზანს საზოგადოების დაცვა წარმოადგენს. გარდა ამისა, შესაძლოა დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდება, ერთგვარი გამაფრთხილებელი და პრევენციული ხასიათის მატარებელი იყოს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არამდგრადი დამოკიდებულება აქვთ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით. დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული სასჯელი და მუქარა აღნიშნული სასჯელის გამოყენების თაობაზე, შესაძლოა ფსიქოლოგიური ეფექტის მატარებელი იყოს საზოგადოებისათვის, რამაც ხელი შეუშალოს შემდგომში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას.

სასჯელმა ხელი უნდა შეუწყოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. სასჯელმა საზოგადოებაში უნდა გამოიწვიოს მართლწესრიგის დაცვის და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. სასჯელის მიზანი საზოგადოებაზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა არ უნდა იყოს. სასჯელი დამაშინებელი არ არის საზოგადოებისთვის, ის ერთგვარი გამაფრთხილებელი ფორმაა, თუ რა შედეგს უნდა ელოდეს ადამიანი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში.

სპეციალური პრევენციის არსი გახლავთ, რომ სასჯელის დანიშვნისა და მოხდის შემდეგ დამნაშავეს გაუქრეს ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის სურვილი.

<sup>226</sup> იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1995, მუხლი 39. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=254>

ისევე, როგორც ზოგადი, აგრეთვე სპეციალური პრევენცია, ემსახურება დანაშალის ჩადენის არიდებას.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ ძირითად მიზანს, გამაწყვეტი როლი აქვს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სასჯელი, თავისი ობიექტური ხასიათიდან გამომდინარე, გულისხმობს პირისათვის არასასურველი შედეგის დადგომას. ვინაიდან, სასჯელს შეიძლება მოჰყვეს თავისუფლების შეზღუდვა, აღკვეთა ან სხვა რაიმე უფლების შეზღუდვა, სწორედ ეს ფაქტორები შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის ხელის შემშლელი ფაქტორები.

როგორც ავღნიშნეთ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს სამართლიანობის აღდგენა წარმოადგენს.

სამართლიანობის აღდგენა დაკავშირებული არ უნდა იყოს სამაგიეროს გადახდასთან. პირის დასჯა იმიტომ ხდება, რომ მიღწეული იქნას სასჯელის მიზანი. ტალიონის პრინციპი, რომელიც გულისხმობს „თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ“ ბუნებრივია სამართლიანობის აღდგენად ვერ ჩაითვლება. სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული და ამავდრიულად რაციონალური.

ამასთან, მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნის პროცესში დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებაც, ვინაიდან არ დარჩეს უსამართლობის განცდა. დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებას მნიშვნელობა ენიჭება თავად ამ პირის უფლებების დაცვის თვალსაზრისით და ამავდროულად საქმის სწორი კვალიფიკაციისთვის.

დამნაშავე ძირითად შემთხვევებში აღქმულია, როგორც საჯარო ინტერესებისთვის ზიანის მიმყენებელი პირი. როგორც არაერთხელ აღინიშნა სასჯელის მიზანი ანგარიშწორება არ გახლავთ, შესაბამისად დაზარალებული ვერ იქნება მხარე. გასაჩივრების უფლების მინიჭება, პირისათვის რომელიც მხარეს არ წარმოადგენს მხარეთა შეჯიბრობითობის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას

გამოიწვევს“.<sup>227</sup> სასამართლომ კი აღნიშნა: „სასჯელის სიმძიმე ყოველთვის ვერ იქნება დაზარალებულის გამოხატული ემოციის პროპორციული. სასჯლი უნდა იყოს რეალურად ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, დაფუძნებული როგორც ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე, ისე დანაშაულის ყველა ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებაზე.

სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, რაც იმას გულისხმობს რომ საზოგადოებისათვის სარგებლის მომტანი იყოს. ასევე აუცილებელია სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული იყოს შემდეგი ფაქტორები: ოჯახური პირობები, ბრალდებულის პიროვნება და სხვა. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია სოცილური სამართლიანობის აღდგენის საკითხიც. დამნაშავის მიერ შელახული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის აღდგენა.

სოციალური სამართლიანობის აღდგენა შესაძლოა ქონებრივ ხასიათს ატარებდეს, ასე მაგალითად მორალური ან მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ასევე საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვა დანაშაულებრივი ქმედებებისგან, რაც პროპორციული სასჯელის დანიშვნით მიიღწევა.

რაც შეეხება დამნაშავის რესოციალიზაციის საკითხს, ის გულისხმობს დამნაშავის გამოსწორებასა და მის საზოგადოებაში ინტეგრაციას. საჯელის მიზანიც სწორედ ეს არის, რომ მსჯვრდებულ პირს გაუჩნდეს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. რესოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია ეტაპების ზუსტად და სწორად გავლა, იმისათვის, რომ გარკვეული შედეგის მიაღწევა იყოს შესაძლებელი.

სისხლის სამართლის წესით დასჯა, სერიოზული და საჭირო მოქმედებაა საზოგადოებრივ-სოციალური სამართლიანობის აღსადგენად. სახელმწიფო დამნაშავის დასჯის პარალელურად აღადგენს იმ სოციალურ სიკეთეს, რომელიც დამნაშვერ საკუტარი ქმედებით დაარღვია. სოციალური სამართლიანობის აღდგენა ინდივიდუალურია, ჩადნილი დანაშაულის სიმძიმისა და ხასიათის გათვალისწინებით.<sup>228</sup> თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოციალური

<sup>227</sup>იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 30.09.2016. N1/8/594

<sup>228</sup>იხ.მუავანამე ზ. და მინდამე ო., „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“. ქუთაისი, 2005, გვ.302.

სამართლიანობა აღდგენილად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც დაზარალებულსა და საზოგადოებას უჩნდება სამართლის უზენაესობის შეგრძნება.<sup>229</sup>

სასჯელი სხვა ელემენტებთან ერთად უნდა იყოს სამართლიანი. სასჯელის სამართლიანობას, რამდენიმე დატვირთვა გააჩნია, ერთი მხრივ, აკმაყოფილებს საზოგადოებრივ გრძნობას, მართლშეგნებას, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოყენებული სანქციით სამართლიანობა აღდგენილია, ხოლო მეორე მხრივ ის ხელს უწყობს სასჯელისადმი სწორი დამოკიდებულების შემუშავებას.<sup>230</sup>

სამართლოანობა აღდგენილად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როდესაც პირი დაისჯება ბრალის შესაბამისად. აღნიშნულის მიღწევის ელემენტია არ იქნეს დარღვეული პროპორციულობა ჩადენილ ქმედებასა და გათვალისწინებულ სასჯელს შორის. პირმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც მან კანონით აკრძალული ქმედების ჩადენის შედეგად დაიმსახურა. არ არსებობს სასჯელი დანაშაულის გარეშე, იმ მისი თანმდევი შედეგია. არანაკლებ მნიშვნელოვანია, სასჯელის ადეკვატურობის საკითხი პიროვნებასთან მიმართებით, რაც იმას ნიშნავს რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები და ჩადენილი ქმედების სიმძიმე.

სამართლიანობის მოთხოვნა დაირღვევა იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავის მიმართ გამოყენებული იქნება შეუსაბამო (ზედმეტად მკაცრი/მსუბუქი) სასჯელის სახე და ზომა.<sup>231</sup>

შესწავლილი საქმეების ანალიზმა ცხადჰყო, რომ ბრალდების და სასამართლო ორგანოების მიერ სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით კვალიფიცირებული ქმედებები უკავშირდება მოხელის სამსახურებრივ მდგომარეობას და ჩადენილია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. საგულისხმოა, რომ ძალადობა, პირის ღირსების შეურაცხყოფა ყოველთვის სცილდება მოხელის უფლებამოსილებას. რაც შეეხება ძალის არაპროპორციულ გამოყენებას, ასეთი შემთხვევებიც არასათანადო მოპყრობას წარმოადგენს. შესაბამისად, სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დაკვალიფიცირებული ქმედებებს მოიცავს სსკ-ის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup>

<sup>229</sup>იხ.მინდამე ო. და მინდამე გ. „სასჯელაღსრულებითი სამართალი“. ქუთაისი, 2008, გვ.104.

<sup>230</sup>იხ.ნაკუებია გ.„სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“. თბილისი, 2011, გვ.102.

<sup>231</sup>იხ.იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ. „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“. თბილისი, 2005, გვ.383.

მუხლების ქმედების შემადგენლობები. აღნიშნულს ადასტურებს შესწავლილი საქმეებიც, სადაც მოხელეთა მხრიდან ჩადენილი ქმედებები მათი არასათანადო მოპყრობით კვალიფიკაციის საფუძველს იძლევა, თუმცა რატომღაც უფრო მსუბუქი, სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით მოხდა ბრალდება და მსჯავრდება.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლების და საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისად, ცალკე არსებობს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მაკრიმინალიზებელი ნორმები. სპეციალური მუხლების არსებობა მიზნად ისახავს სახელმწიფოს წარმომადგენელთა პასუხისმგებლობას, არასათანადო მოპყრობისთვის სწორედ ამ მუხლების მიხედვით დადგეს. შესაბამისად, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებზე მოხელეების პასუხისმგებლობა მხოლოდ შესაბამისი სპეციალური მუხლებით უნდა მოხდეს და არა სხვა ნორმის საფუძველზე.

არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმების გამოუყენებლობა ამგვარი კანონმდებლობის პრევენციულ ეფექტს ვერ გამოიწვევს. ამიტომ სამოხელეო დანაშაულის იმგვარი ზოგადი ნორმების არსებობა კანონმდებლობაში, რომელსაც ისედაც მოიცავს არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლები, ზედმეტია და მხოლოდ არაერთგვაროვანი პრაქტიკის საფუძველს ქმნის.

იგივე შეიძლება ითქვას სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციაზეც, სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლთან მიმართებით რომელზეც ზემოთაც არაერთხელ იყო მსჯელობა. ნათელია თუ რაოდენ დიდია სხვაობა საქნციებს შორის.

საკანონმდებლო რეალობაში მივიღეთ გარკვეული სახის უმართლობა. კერძოდ, მოხელე რომელიც აწარმოებს გამოძიებას ან სისხლის სამართლებრივ დევნას, პროცესის მონაწილე რომელიმე პირის წამების შემთხვევაში სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში გაცილებით მსუბუქად დაისჯება, ვიდრე სხვა მოხელე, რომელიც რაიმე ინფორმაციის მისაღებად ჩადის წამებას. მაგალითად, გამომძიებელი, რომელიც აწამებს მოწმეს იმისათვის, რომ მისცეს ჩვენება, რომელსაც შემდეგ საქმეში გამოიყენებს უფრო მსუქუბუქად ისჯება, ვიდრე გამომძიებელი, რომელიც, მაგალითად, სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირისაგან ინფორმაციის

მისაღებად განახორციელებს წამებას. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სასჯელი არ არის სამართლიანი, შესაბამისად, სწორი იქნება თუ მოხდება სასჯელების გადახედვა და ზემოთ მოყვანილი ორი შემთხვევის კვალიფიკაციისას საჯელი იქნება ერთაირი.

## თავი XI. საკანონმდებლო ნაკლოვანების აღმოფხვრის საჭიროება

საქართველოს კანონმდებლობით, არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით სსკ- ის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლები გათვალისწინებული დანაშაულები - წამება, წამების მუქარა, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა სრულად და ამომწურავად მოიცავს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს. ამავდროულად, არასათანადო მოპყრობას გულისხმობს, მოხელის მიერ ძალადობით, იარაღის გამოყენებით და ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები; ასევე, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულების სსკ-ის 335-ე მუხლი და ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმები ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს, ხოლო მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებები, კერძოდ, უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება იარაღით, ძალადობით, ღირსების შეურაცხყოფით მოპყრობის ხარისხის, ინტენსივობის, ხანგრძლივობის და მიყენებული ტანჯვის შესაბამისად შესაძლებელია გვაძლევდეს როგორც წამების, ასევე, მინიმუმ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შემადგენლობას. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენების მიცემის, შეცვლის ან მის მიცემაზე უარის თქმის იძულებაზეც.

ხსენებული საკანონმდებლო ხარვეზი პრაქტიკაში ქმნის პრობლემას და საშუალებას აძლევს საგამოძიებო, ბრალდებისა და სასამართლო ორგანოებს არასათანადო მოპყრობის ფაქტები უფრო მსუბუქი მუხლებით დაკვალიფიცირდეს.

ბუნდოვანების აღმოფხვრისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარების მიზნით საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომ მხოლოდ არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმების (სსკ-ის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლები) დისპოზიცია მოიცავდეს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს და სხვა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დუბლირების რისკები შემცირდეს.

ამგვარ საშუალებად მიმაჩნია მოხელის მიერ ძალადობით, იარაღის გამოყენებით, ღირსების შეურაცხყოფით უფლებამოსილების გადამეტების და ბოროტად გამოყენების; ასევე, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით იძულების შემთხვევების მხოლოდ არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით დასჯადობის არსებობა. შესაბამისად, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, ასევე, 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილის ამოღება.

ამასთან, აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ საკანონმდებლო ცვლილება არ გულისხმობს მოცემული ქმედებების დეკრიმინალიზაციას, რადგან როგორც უკვე ითქვა, მოხელის მიერ ძალადობით, იარაღის გამოყენებით და ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და ბოროტად გამოყენების ფაქტები, ასევე, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას. საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ცვლილება მიმდინარე და დასრულებულ საქმეებს პრობლემებს არ შეუქმნის: არასათანადო მოპყრობა დანაშაულს წარმოადგენდა და წარმოადგენს, მიმდინარე გამოძიების პროცესში კვალიფიკაციის შეცვლა დასაშვებია, ასევე, შესაძლებელია 332-333-ე და 335-ე მუხლების ბრალდების შეცვლა  $144^1$ - $144^3$  მუხლებით წინასასამართლო სხდომამდე, რაც შეეხება სასამართლოს განხილვაში არსებულ და დასრულებულ საქმეებს, იმის გამო, რომ არ ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია, პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდებიან ბრალდებულები, თუმცა ბრალდების არსებითი განხილვის ეტაპზე დამძიმების დაუშვებლობის გამო, წაყენებული ბრალდების სანქციის ფარგლებში უნდა იყოს სასჯელი განსაზღვრული, მსჯავრდებულებისთვის კი განაჩენის გადასინჯვას არ გამოიწვევს, რადგან ცვლილება არ გააუქმებს ან შეამსუბუქებს პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი რეგულაციის პირობებში საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არაერთი ხარვეზი ფიქსირდება, რასაც სწორედ საკანონმდებლო ნაკლოვანება განაპირობებს.

სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან მიმართებით არსებობს საკითხის გადაწყვეტის ალტერნატივები:

იურიდიულ საზოგადოებაში არსებობს, ორი თეორია რომლის მიხედვითაც შესაძლოა გადაწყვდეს სადაო საკითხი მართებულად.

### პირველი თეორიის მიხედვით:

როცა მოხელე იყენებს წამებას იმ მიზნით, რათა აიძულოს მოწმე დაზარალებული ან ბრალდებული მისცეს განმარტება ან ჩვენება ან/და ექსპერტმა მისცეს დასკვნა, ქმედების კვალიფიკაციისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს და არა წამების დამამდიმებელ გარემოებას.

ხოლო მაშინ, როდესაც მოხელე აწამებს პირს, არა იმ მიზნით, რომ მიღებული აღიარებითი ჩვენება, თუ მტკიცებულება გამოიყენოს სისხლის სამართლის საქმეში-სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მოხელე არ აწარმოებს გამოძიებას ან სს დევნას. ის აწამებს პირს, რათა მოიპოვოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან მტკიცემულება, რაც მას აინტერესებს პირადი ან სამსახურეობრივი ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

### მეორე თეორიის მიხედვით:

გაეროს და ევროპის საბჭოს სტანდარტების მიხედვით, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება წამების ან არაადამიანური მოპყრობის ჩადენის შესაძლო შემთხვევა, აცილებელია გამოძიების დაწყება და ქმედებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება. (საქართველოს შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით).<sup>232</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლში გაწერილია სისხლის სამართლის საქმეებზე ხანდაზმულობის ვადები.<sup>233</sup> სწორედ ამავე მუხლის მე-

<sup>232</sup>იხ.სპეციალური საგამომიებო სამსახური. „სახელმძღვანელო - სისხლისსამართლის კოდექსით გათვალისწინებული წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მათთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებით“. თბილისი, 2023, გვ.13

<sup>233</sup>იხ.საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ხმუხ. 71, პუნქ. 5<sup>1</sup>. (22.07.1999) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=261>

5<sup>1</sup>პუნქტი გამორიცხავს ხანდაზმულობის ვადების მოქმედებას სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე. აღნიშნულის საპირჩონედ ხანდაზმულობის ვადა (15 წელი) მოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსის 332-342<sup>1</sup> მუხლებთან მიმართებით.<sup>234</sup>

გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-2 ზოგადი მოხსენება და შესაბამისი იურისპრუდენცია, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცალსახად კრძალავს წამების ან არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ქმედების გამომიებისას რაიმე სახის ხანდაზმულობის ვადის გამოყენებას. თუკი პირი, დაეჭვემდებარა ინტენსიურ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, რათა მისგან მოპოვებული იყოს აღიარებითი ჩვენება, მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან კიდევ ექსპერტისგან დასკვნა, ქმედება აუცილებლად უნდა დაკვალიფიცირდეს წამებად ანუ 144<sup>1</sup> მუხლით და არა 335-ე მუხლით.<sup>235</sup>

ორივე თეორია ურთიერთგამომრიცხავია, რადგან პირველი ხაზს უსვამს მოხელის მიზანზე, თუ რისთვის გამოიყენებს მიღებულ ჩვენებას, დასკვნას თუ მტიცებულებას, პირადი მიზნით, თუ სს საქმის „სასიკეთოდ“. მეორე თეორია ხაზს უსვამს ხანდაზმულობის ვადებს და შესაძლებლობას, რომ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა შესაძლოა თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ორივე თეორიას აქვს არსებობის უფლება, თუმცა საინტერესოა თუ როგორ რეგულირდება ესოდენ სადაც საკითხი სასამართლო პრაქტიკაში. სწორი იქნება თუ გაზიარებული იქნება პირველი თეორია და კვალიფიკირისას გათვალისწინებული იქნება დამნაშავის მიზანი, რადგან სისხლის სამართალში კვალიფიკირისას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ სუბიექტურ ფაქტორს ენიჭება. პირველი თეორიის მიხედვით კი, სწორედ მიზნის მიხედვით ხდება კვალიფიკაცია.

<sup>234</sup>იხ. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 71, ნაწ. 1, ქვეპ. გ (22.07.1999) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=261>

<sup>235</sup>იხ. United Nations Committee Against Torture (UNCAT). "General Comment No. 2: Implementation of Article 2 by States Parties." January 24, 2008. <https://www.refworld.org/docid/47ac78ce2.html>. (29.05.2024)

ვფიქრობ ,არსებულ საკანონმდებლო რეალობაში, აქცენტი უნდა გაკეთდეს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიზანზე, ვინაიდან დღეს მოქმდედი სს კოდექსში არსებული მუხლები (144<sup>1</sup> და 335 ) არ იძლევიან უფრო მკაფიო გამარტების საშუალებას. საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, რაც ვფიქრობ ერთადერთი სწორი შესაძლებლობაა საკითხის გადაწყვეტის, აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ დანაშაულის ჩამდენი პირის ქვენაგრძნობაზე.

## დასკვნა

სამოხელეო დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ერთ-ერთი სახეა, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობასა და მისი ცალკეული რგოლების სწორ ფუნქციონირებას. სამოხელეო დანაშაულის ჩადენა ძირითადად სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, საჯარო მოხელის მიერ ხდება. შესაბამისად, ნაშრომში შემავალი დანაშაულების აბსოლუტურ უმრავლესობას ჰყავს სპეციალური სუბიექტი – სახელმწიფო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

სამოხელეო დანაშაულების სიმრავლე, ქმნის ნდობის ნაკლებობას საზოგადოების მხრიდან სახელმწიფო ორგანოებისადმი. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანისათვის აუცილებელია დაცულობის განცდა, რისი გარანტიც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები არიან. თუმცა არცთუ ისე იშვიათად თავად სამართალდამცველი ორგანოს წარმომადგენლები გვევლინებიან დამნაშავეებად. სამართლიანობის ბალანსისა თუ საზოგადოებრივი მართლწესრიგის შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოხელეო დანაშაულების სწორ კვალიფიკაციასა და გამოძიებას. აქედან გამომდინარე, ყოველი სამოხელეო დანაშაულის მიმართ შეუმწყნარებელი დამოკიდებულება უნდა იგრძნობოდეს თავად სახელმწიფოს მხრიდან, მაღალი საგამოძიებო სტანდარტითა და სამართლიანობის აღდგენის ხარისხით.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, ქართული კანონმდებლობა გარკვეულ პრობლემებს აწყდება რიგი დანაშაულების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ განსაკუთრებით ბუნდოვანებას სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი წარმოადგენს. უშუალოდ აღნიშნული მუხლების დაპირისპირებამდე და სამართლებრივი გამოსავალის პოვნამდე, თავად წამების მაკვალიფიცირებელი ელემენტების დადგენაა აუცილებელი. მიუხედავად განხილული არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული კანონმდებლობისა წამების ზუსტი დეფინიციის განსაზღვრა ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს, როგორც საერთაშორისო, ასევე ქართულ სისხლის

სამართლის დოქტრინაში. მიუხედავად დეფინიციის სახესხვაობისა სხვადასხვა აქტებში, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა მეტნაკლებად შესაძლებელი გახადა წამების მაკვალიფიცირებელი ელემენტების იდენტიფიცირება. თუმცა, როდესაც საქმე ეხება ისეთ ფუნდამენტურ საკითხს, როგორიცაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლისა და ამავე კოდექსის 335 მუხლის ურთიერთგამიჯვნა, სასამართლო პრაქტიკა მაინც არაერთგვაროვანია. აღნიშნული უფრო მეტ დაბნეულობას იწვევს პრაქტიკოს მეცნიერ-იურისტებს შორის, ვინაიდან, ასეთ დროს წყდება ლოგიკური ჯაჭვი დოქტრინალურ და პრაქტიკულ მიდგომებს შორის.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი იყო ყველა იმ პრობლემის სააშკარაოზე გამოტანა, რასაც ქართული კანონმდებლობა აწყდება ამ ორი დანაშაულებრივი ქმედების ანალიზისას. აღნიშნული მიზნის მიღწევა ბევრად გაამარტივა კვლევის სისტემური მეთოდის გამოყენებამ და საბოლოოდ პრობლემების ცალ-ცალკე იდენტიფიცირებამ ხელი შეუწყო მათი გადაჭრის გზების პოვნას.

ნაშრომში არაერთი პრობლემა დაისვა, მათ შორის თავად სსკ-ის 335-ე მუხლის მიმართება მომიჯნავე შემადგენლობებთან და მისი ადგილი სისხლის სამართლის დოქტრინაში. რაც შეეხება თავად 335-ე მუხლის არსებობას სს კოდექსში, როგორც ზემოთ განიმარტა ის 333-ე მუხლის სპეციალური ნორმაა, რომელიც თავის თავში გულისხმობს ისეთი ხერხის გამოყენებას, როგორიცაა შანტაჟი, მოტყუება, მუქარა, ან სხვა უკანონო ქმედების გამოყენება, შესაბამისად მისის არსებობა აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა ერთ-ერთ ძირითად და ფუნდამენტურ საკითხზე, წამების დეფინიციისა და სისასტიკის მინიმალური სტანდარტის განსაზღვრაზე, რაც მეტნაკლებად შესაძლებლობას მოგვცემს სწორად დავაკვალიფიციროთ ესა თუ ის ქმედება. რადგან, კანონმდებელმა ბუნდოვნად დატოვა საკითხი, თუ რა შეიძლება ვიგულისხმოთ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობასა და ასეთი ძალადობის განხორციელების მუქარაში.

პრაქტიკული მაგალითების განხილვამ ცხადყო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი განმარტების ჩამოყალიბებას, ვინაიდან საკანონმდებლო რეალობაში

გვაქვს შემთხვევები, როდესაც მსგავსი გარემოებების არსებობისას, მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი სისხლის სამართლის სხვადახვა მუხლით ისჯება. რამაც დღის წესრიგში დააყენა, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ქვენაგრძნობის წინ წამოწევის საკითხი, რათა გაივლოს მკაფიო ზღვარი სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლსა და სსკ-ის 335-ე მუხლს შორის.

მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად დღის წესრიგში დგას სანქციის საკითხი, რაც ერთგვარ უსამართლობის განცდას იწვევს, არა მარტო იურისტებს შორის, არამედ საზოგადოებაშიც. როგორც განიმარტა სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის სანქცია გაცილებით მძიმეა ვიდრე სსკ-ის 335-ე მუხლის. ის რაც 144<sup>1</sup> მუხლის შემთხვევაში სასჯელის მინიმუმია-335 მუხლითან სასჯელის მაქსიმუმია, რაც ბუნებრივია უსამართლოა, როდესაც მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი გაცილებით მსუბუქად შეიძლება დაისაჯოს, ვიდრე კერძო პირი.

გვერდს ვერ ავუვლიდით, სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადოდ გამოიძიოს წამების შემთხვევები, განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებებში. საქართველოს ანგარიშზე არაერთი წამების შემთხვევაა, რომლის გამოძიებაც არასათანადოდ ან არასწორი კვალიფიკაციით მოხდა.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა მოითხოვს ისეთი საკანონმდებლო ცვლილების გატარებას, რის შედეგადაც მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ წამების ქმედების განხორციელებისას სადავო არ გახდება ქმედების კვალიფიკაცია წამების მუხლის მე-2 ნაწილით.

კერძოდ, სსკ-ის 335-ე მუხლიდან ამოღებული უნდა იყოს მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რაც გულისხმობს იგივე ქმედების ჩადენას სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. როდესაც აღნიშნული ცვლილება შევა კანონიერ ძალაში სადაო აღარ იქნება, მოხელის მიერ ჩადენილი წამება კვალიფიკაციის საკითხი. მსგავსი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება.

რაც შეეხება თავად 335-ე მუხლის არსებობას სს კოდექსში, როგორც ზემოთ განიმარტა ის 333-ე მუხლის სპეციალური ნორმაა, რომელიც თავის თავში გულისხმობს ისეთი ხერხის გამოყენებას, როგორიცაა შანტაჟი, მოტყუება, მუქარა, ან სხვა უკანონო ქმედებას.

ნაშრომში მკაფიოდ გამოიკვეთა, როგორც დოქტრინალური, ასევე პრაქტიკული პრობლემები. გაანალიზდა თითოეული შემთხვევა, თეორიულ ჭრილში, ასევე შემოთავაზებული იქნა, პრობლემის გადაჭრის ალტერნატივები. ნაშრომში განხილულია, საკითხის რეგულირების არსებული სისტემა და წარმოჩენილია საკანონმდებლო რეგულირების გზები.

## **ბიბლიოგრაფია**

**წიგნები და მონოგრაფიები:**

### **ქართული ენაზე არსებული წყაროები**

1. ბატონიშვილი დ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“. თბილისი, სამართლის ინსტიტუტი, 2013.
2. გაბისონია ი., გაბელია ჯ, დარსანია თ., ხუციშვილი ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, „მერიდიანი“, 2021.
3. გამყრელიძე ო. (ავტორთა კოლექტივი) „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი - დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. თბილისი, 2008.
4. იაკობიშვილი მ. „თეთრსაყელოიანთა დანაშაული“. თბილისი, 2015.
5. იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ. „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“. თბილისი, 2005.
6. იმნაძე გ. და კუკავა ქ. „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმები საქართველოში - მიღწევები და გამოწვევები“. თბილისი, 2021.
7. კარვერი რ., ჰენდლი ლ., „მუშაობს თუ არა საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი?“. ლონდონი, ოქსფორდის ბრუკსის უნივერსიტეტი, (თ.გ.).
8. კერესელიძე ნ., წამება და ადამიანის უფლებები საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2020.
9. კუბლაშვილი კ., „ძირითადი უფლებები“. თბილისი, ჯისაი, 2014.
10. ლეველიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“. წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2023.
11. ლიჩი ფ. „როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს“. თბილისი, 2013.

12. მეტრეველი ვ. „რომის სამართალი“. თბილისი, მერიდიანი, 2009.
13. მეტრეველი ვ., „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“. თბილისი, მერიდიანი, 2003.
14. მინდაძე ო. და მინდაძე გ. „სასჯელადსრულებითი სამართალი“. ქუთაისი, 2008.
15. მუავანაძე ზ. და მინდაძე ო., „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“. ქუთაისი, 2005.
16. ნაჭყებია გ. „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“. თბილისი, 2011.
17. სპეციალური საგამოძიებო სამსახური. „სახელმძღვანელო - სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მათთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებით“. თბილისი, 2023.
18. სურგულაძე ი., „ქართული სამართლის ისტორიის წყაროები“. თბილისი, 2002.
19. ურბნელისა ნ. „ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“. თბილისი, „ივერიის“ რედაქციის გამოცემა, 1890 წელი.
20. ჩეხია. მ, წამება ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი, 2018.
21. ფოული კ. „წამების დასამარცხებლად“. დიდი ბრიტანეთი, 2003.
22. ჩერნილოვსკი ზ.მ. 1992 წელი. „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.
23. ჯავახიშვილი ი., „ქართული სამართლის ისტორია“. წიგნი მე-2, თბილისი, 1928.
24. ჯავახიშვილი ი. „ქართული სამართლის ისტორია“. წიგნი მე-2, თბილისი, 1929.

### **უცხოურ ენაზე არსებული წყაროები**

25. Darden C. "In contempt." New York, HarperCollins, 1996.
26. Harris L. "Policy Considerations in Crafting Special Articles." Harvard Law Review 40, no. 3. 2017.
27. Jones R. "The psychology of police misconduct: Behavioral, personality, and situational factors." New York, Routledge, 2019.

28. Kassin S. M. and Wrightsman L. S. "Psychology and the legal system". Boston, Cengage Learning, 2019.
29. Michael D. "Addressing Emerging Challenges: The Role of Special Articles in Criminal Law." *Criminal Law Quarterly*, 2022.
30. Miller L. "Ethical problems in the practice of law: Concise edition for two-credit courses". New York, Wolters Kluwer, 2017.
31. Roberts J. "Cybercrime: Legal and Policy Implications". Cambridge, Cambridge University Press, 2019.
32. Суровень Д.А. "Должностные преступления в древней и раннесредневековой Японии Издательская группа "Юрист""'. Москва, № 20. 2019.

სამეცნიერო სტატიები პერიოდულ გამოცემებში:

ქართულ ენაზე არსებული:

33. ბურჯანაძე გ. „არასათანადო მოპყრობის აკრძალვა საქართველოს მატერიალური და საპროცესო სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან“. ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“ N1. 2013.
34. გვასალია თ. „წამება როგორც დანაშაული და სასჯელი როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმური ზეწოლის მექანიზმი“. ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ №4. 2016.
35. მამალაძე ე., დათეშიძე ნ., წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2019.
36. მიერი ე., ჰანკოკი ბ., ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროცესურორებისთვის, ევროკომისიის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა, 2008.
37. კერესელიძე ნ., წამება და ადამიანის უფლებები საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020.

38. ჩეხია. მ, წამება ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ურნალი, 2018.

**უცხოურ ენაზე არსებული წყაროები:**

39. Bellamy A.R., *The Medieval Inquisition*, London: Cambridge University Press, 2000.
40. Borelli M. "Justice perverted: The wrongful conviction of Ken Anderson". Austin, University of Texas Press. 2013.
41. John H. Langbein, *Torture and the Law of Proof: Europe and England in the Ancien Régime*, Chicago: University of Chicago Press, 1977.
42. Johnson D. "Interpreting General Articles in Criminal Statutes." *Yale Law Journal* 115, no. 2. 2018.
43. Long D. "Guide to Jurisprudence on Torture and Ill-treatment". Geneva, 2002.
44. Marc L. Lacey, *The Art of Torture: A History of the Dark Side of the Middle Ages*, New York: Abrams, 2006.
45. Michael M. Swisher, *Medieval Torture Devices and Their Use*, New York: Oxford University Press, 1999.
46. Miller J. "Enhancing Clarity through Special Provisions." *Journal of Legal Studies* 15, no. 2, 2018.
47. Peter K. Smith, *The History of Torture and Execution in the Middle Ages*, London: Palgrave Macmillan, 2009.
48. Rodley, Nigel S., "The Treatment of Prisoners Under International Law", Oxford University Press, 2009.
49. Smith J. "The Role of Mens Rea and Actus Reus in Criminal Liability." *Journal of Criminal Law* 20, no. 3. 2019.
50. Smith J. "Corruption in law enforcement: Causes, consequences, and solutions". New York, Routledge. 2018.
51. Smith K. "Prosecutorial misconduct: Types, consequences, and reform". Chicago, University of Chicago Press, 2020.
52. White E. "Transparency and Accountability in Criminal Justice." *Stanford Law Review* 30, no. 1. 2020.

53. Wilson A. "Empowering Law Enforcement: Special Directives for Prosecutors." *Criminal Justice Policy Review* 28, no. 2. 2021.

**დისერტაციები:**

54. ბახტაძე მ. „ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში (ძვ.წ. აღ-ის. III საუკუნიდან-ან.წ. აღ-ის X საუკუნის ბოლომდე“. დისერტაცია, თბილისი, 2005.

**ნორმატიული აქტები:**

55. საქართველოს კონსტიტუცია, 1995.
56. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1995.
57. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1995.
58. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, 2015 წელი.
59. Council of Europe. European Convention on Human Rights. Adopted November 4, 1950.
60. United Nations. Universal Declaration of Human Rights. Adopted December 10, 1948
61. United Nations. International Covenant on Civil and Political Rights. Adopted December 16, 1966.
62. United Nations. Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment. Adopted December 10, 1984.
63. Basic Law for the Federal Republic of Germany (Grundgesetz), 1949, Article 2.
64. German Criminal Code (Strafgesetzbuch, StGB), 1872, Article 136.

**სახელისუფლებო და საერთაშორისო დოკუმენტები:**

65. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება „Ireland v. the UK (განაცხადი N გ167).“
66. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1995 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება „Ribitsch v. Austria“ განაცხადი N18896/91 გ39.
67. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Assenov and others v.Bulgaria“ (განაცხადი N 90/1997/874/1086) გ94.

68. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება „Selmouni v. France“ (განაცხადი N25803/94) §97.
69. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2001 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება „Price v. The UK“ (განაცხადი N33394/96) §30.
70. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2002 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება „Pretty v. the UK“ (განაცხადი N2346/02) §52.
71. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2004 წლის 08 ივლისის გადაწყვეტილება „Ilascu and others v. Moldova and Russia“ (განაცხადი N48787/99) §426.
72. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება „Ilascu and Others v. Moldova and Russia“ [GC], (განაცხადი N 48787/99) §425.
73. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2005 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება „Moldovan and others v. Romania“ (განაცხადი N41138/98, N64320/01) §111-113.
74. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Valeriu and Nicolae Roșca v. Moldova“, განაცხადი N41704/02, §32-33, §74, §76.
75. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2010 წლის 01 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „Gäfgen v. Germany“ განაცხადი N22978/05 §131.
76. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2010 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილება „Paduret v. Moldova“ განაცხადი N33134/03, პარ. 74.
77. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2010 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება „Gäfgen v. Germany [GC], (განაცხადი N22978/05) §89.
78. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება „M.S.S. v. Belgium and Greece“ [GC], (განაცხადი N 30696/09) §220.
79. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება „Identoba and others v. Georgia“ განაცხადი N73235/12 პარ. 65.
80. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2016 წლის 04 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Yaroslav Belousov v. Russia“ განაცხადი N 2653/13, 60980/14 § 111.

81. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2016 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Mursić v. Croatia [GC] (განაცხადი N7334/13) §97.
82. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება Women's Initiatives Supporting Group and Others v. Georgia (განაცხადი N73204/13, N74959/13) §60-61.
83. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება „Women's initiatives supporting group and others v. Georgia“ განაცხადი N73204/13 და N74959/13 პარ. 59.
84. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2022 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება „Oganezova v. Armenia“ (განაცხადი N71367/12,72961/12) §97 .
85. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Aksoy v. Turkey, (განაცხადი N 21987/93) 18.12.1996, პ.14., პ.64
86. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Aliev v. Georgia, NoNo522/04, ECHR 2009.
87. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Assenov and Others v. Bulgaria, 28 ოქტომბერი 1998, ანგარიში 1998-VIII.
88. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Dvalishvili v. Georgia, No 19634/07, 18 დეკემბერი 2012.
89. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, East African Asians v. the United Kingdom, #4403/70, 1973.
90. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Gablishvili v. Georgia, No7088/11, 2019 წლის 21 თებერვალი.
91. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Gharibashvili v. Georgia, No11830/03, 2008 წლის 29 ივნისი.
92. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, IRELAND v. THE UNITED KINGDOM, no. 5310/71.
93. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Ireland v. UK, ( განაცხადი N 5310/71) პარ. 162 (1978).
94. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Kudla v. Poland [GC], №30210/96, 2000, ECHR 2000-XI.

95. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, MASLOVA AND NALBANDOV v. RUSSIA (განაცხადი: 839/02) 28.01.2008, პ.13,14,31.
96. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, MIKIASHVILI v. GEORGIA (განაცხადი: 18996/06) 09.01.2013.
97. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Mikiashvili v. Georgia, №18996/06, 9 ოქტომბერი 2012.
98. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Peers v. Greece, №28524/95, ECHR 2001-II.
99. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Selmouni v. France, 28 ივლისი 1999, №25803/94, §101, ECHR 1999-V.
100. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Selmouni v. France, p.82,91 (განაცხადი: 25803/94) 28.09.1999.
101. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Tyer v. United Kingdom, 25 აპრილი 1978, სერია ა №26.
102. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Soering v. United Kingdom), № 14038/88, 7 ივლისი 1989.
103. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ოკალანი თურქეთის წინააღმდეგ (Ocalan v. Turkey), №46221/99, 22 აპრილი 2005.
104. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დანელია საქართველოს წინააღმდეგ (Danelia v. Georgia), №68622/01, 17 ოქტომბერი 2006.
105. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ბერკტაი თურქეთის წინააღმდეგ (Berktay v. Turkey), №22493/93, § 167, 1 მარტი 2001.
106. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გლდანის კონგრეცეციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ (Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia) №No71156/01, § 97, 3 მაისი 2007.
107. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom), 18 იანვარი 1978, §159, სერია „ა“ #25.

108. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. United Kingdom), 25 მარტი 1993 გ 27, სერია a №247-C.
109. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ (M.C. v. Bulgaria), №39272/98, ECHR 2003-XII.
110. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მატკო სლოვენიის წინააღმდეგ (Matko v. Slovenia), № 43393/98, გ 100, 2 ნოემბერი 2006.
111. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v. Georgia), №18996/06, გ 69, 9 ოქტომბერი 2012.
112. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ორჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Orhan v. Turkey), №25656/94, გ 274, 18 ივნისი 2002.
113. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პადურეტი მოლდოვის წინააღმდეგ (Paduret v. Moldova), №33134/03, გ64, 5 იანვარი 2010.
114. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სალმანი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Salman v. Turkey [GC], №21986/93, გ 100, ECHR-2000-VII).
115. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სტოიკა რუმინეთის წინააღმდეგ (Stoica v. Romania), №42722/02, გ67, 4 მარტი 2008.
116. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ტ.მ დაა ს.მ მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ T.M. and C.M. v. the Republic of Moldova), №26608/11, გ 38, 28 იანვარი 2014.
117. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დანია, ნორვეგია, შვედეთი, ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (The Greek Case) №3321/67, №33322/67, №3323/67, №3344/67, 12 დეკემბერი 1969.
118. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ (Tomasi v. France), 27 აგვისტო 1992, გ გ108-111, სერია a №241-A.
119. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება „Ulemek v. Croatia“ განაცხადი N21613/16, გ130.
120. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2006 წლის 11 ივლისის განჩინება საქმეზე „Jalloh v Germany”, პარ 68.

121. ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, ვილაგრან -მორალესი გუატემალას წინააღმდეგ (Villagran-Morales v. Guatemala), 19 ნოემბერი 1999.
122. ბანკოკის წესები, წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, წესი 57.
123. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948, <https://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>
124. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ, ზოგადი კომენტარი №2.
125. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია(10.12.1984)  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>
126. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 1995,  
[http://www.sps.gov.ge/images/files/pdf/text\\_14182885786.pdf](http://www.sps.gov.ge/images/files/pdf/text_14182885786.pdf)
127. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება (17.07.2024)  
<http://www.humanrights.ge/files/Rome%20Statute.pdf>
128. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო (სტამბოლის პროტოკოლი), 2004, HR/P/PT/8/Rev.1; ნელსონ მანდელას წესები, წესი 34.
129. გენერალური ანსამბლეა, მართლწესრიგის დამცველ პირთა ქცევის კოდექსი №34/169, 1979,  
<http://www.humanrights.ge/files/marTl wesrigis%20damcvel%20Tanamdebobis%20pirTa%20qcevis%20kodeksi.pdf>
130. ევროკომისია, ტრანსპორტის გენერალური დირექტორატი, „სერიოზული ტრავმები“, 2015.
131. ევროპის საბჭო, წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები, (თ.გ.)  
<https://rm.coe.int/168008126e>

132. ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. The United Kingdom), 1978, №5310/71, სერია ა №25.
133. მოსამართლე ზუპაჩინის თანმხვედრი მოსაზრება საქმეზე „იალო გერმანიის წინააღმდეგ (Jalloh v. Germany), №54810/00, 1999.
134. საქართველოსმთავარიპროკურორი, ანგარიში, (22.11.2016),  
<https://pog.gov.ge/uploads/8ca43d9c-mTavari-prokuroris-angarishi-28-11-2016.pdf>
135. საქართველოს პარლამენტი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა „წარსულში (2004-12 წლებში) ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური დანაშაულის შესახებ“. თბილისი, 2016.
136. საქართველოს პარლამენტი, დადგენილება 2004–2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ (10.06.2016)  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315583?publication=0>
137. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი(22.07.1999) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=261>
138. საქართველოს პარლამენტი, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი №4346-III (27.10.2015)  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=50>
139. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუცია, (24.08.1995), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
140. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 14.05.2013 წ. N2/2/516,542, § II - §31.
141. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 30.09.2016. N1/8/594

142. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016.
143. საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიშიარასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი 2023, <https://ombudsman.ge/res/docs/2023081816200941495.pdf>
144. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (30.12.1960), [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/321696/1/Saqartvelos\\_Sabchota\\_Socialisturi\\_Rеспубликис\\_Sisxlis\\_Samartlis\\_Kodeksi.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/321696/1/Saqartvelos_Sabchota_Socialisturi_Rеспубликис_Sisxlis_Samartlis_Kodeksi.pdf)
145. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, „წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში“. თბილისი, 2019, <https://rm.coe.int/turtore-geo/1680993fe0>
146. საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #2157-აპ.
147. საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #400-აპ.
148. საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #133-აპ.
149. წამების აღკვეთის ევროპული კომიტეტი (cPt), „სამედიცინო დახმარების სერვისი ციხეებში“, მე-3 ზოგადი ანგარიში, 1993, cPt/Inf(93) 12.
150. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (cPt) 2013 წლის 4-16 აპრილის ვიზიტის ანგარიში საბერძნეთის მთავრობას, cPt/Inf(2014)26.
151. წითელი ჯვარის საერთაშორისო კომიტეტი (Icrc), 1992 წლის 3 დეკემბრის დამხმარეჩანაშერი.

#### ინტერნეტ წყაროები:

152. საქართველოს პროკურატურა, საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 17 სექტემბრის განცხადება, [https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-generaluri-prokuraturishi-ruamdgomlobis-safuZvelze-ukrainidan-araerTi-mZime-da-gansakuTr\(05.06.2024 წ.\)](https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-generaluri-prokuraturishi-ruamdgomlobis-safuZvelze-ukrainidan-araerTi-mZime-da-gansakuTr(05.06.2024 წ.))